

24 საათი ექიმის ცხოვრებიდან

A4



როგორი იქნება TBILISI CITY თბილისში?

A6



„პატრულის პრესტიჟს უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა"

A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 14 მაისი, 2005 წელი. №106 (966)

ფასი 50 თეთრი

# დიდი რუსეთი პატარა საქართველოს „გუდიანი კაცით" ემუქრება

სოფო ბუკია

*იმ შემთხვევაში, თუ საქართველო საკუთარ მუქარას შეასრულებს და საქართველოში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს კანონგარეშედ გამოაცხადებს, რუსეთს არჩევანი არ დარჩება - იგი იძულებული გახდება, საქართველოსთან ყოველგვარი ურთიერთობა გაყინოს, - ასეთი განცხადებები ისმოდა გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში...*
*"რუსული ბაზებისგან საქართველოს გათავისუფლება რეალურად სავსებით შესაძლებელია რამდენიმე თვეში, თუმცა ამის გაკეთება წარმატებით შეიძლება რამდენიმე წელიწადშიც," – აცხადებს "24 საათთან" საუბარში რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი.*

დაუყოვნებლივ შეწყდეს ვიზების გაცემა რუსეთში მიმავალ საქართველოს მოქალაქეებზე; გამკაცრდეს რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის პროცედურები; საქართველოსთვის ენერგომატარებლების მიწოდება მოხდეს

გაგრძელება A3 გვერდზე



*შესაძლოა, ეს ჭარისკაცები აღმოჩნდნენ რუსული ბაზის ბოლო როტაციული ნაკადი.*

# ბუზი ცეცე და იაფფასიანი შოუ პარლამენტში

*გუშინ პარლამენტი ერთდროულად "ორ კურდღელს დასდევდა": კომიტეტებში საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია იხილებოდა, რიგგარეშე სხდომაზე შემორჩენილი ცალკეული დეპუტატები კი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების გამკაცრებაზე მსჯელობდნენ. თუ "მთავარ ფრონტზე" (სხდომათა დარბაზში) მშვიდი ვითარება იყო და პარლამენტარები, თავის გასამხიარულებლად, არარსებულ საფრთხეებს იგონებდნენ, "მეორე ფრონტზე" "მემარჯვენე ოპოზიციამ" ხმაურიანი დებატები გამართა.*

გიორგი ასანიშვილი

რიგგარეშე სხდომის მიმდინარეობისას, გუშინ დარბაზში რამდენჯერმე გაისმა უცნაური ხმა. "ეტყობა, ბუზი ცეცე შემოფრინდა," "შეიძლება, პდე შემოაგდეს," - სხვადასხვა "ვარაუდს" გამოთქვამდნენ ხალხის "შეშფოთებული" რჩეულები. "პანიკა" უსაფუძვლო აღმოჩნდა: მალე გაირკვა, რომ არაბუნებრივი ხმები რადიოაპარატურიდან მოდიოდა, რასაც მოჰყვა ოპოზიციის მოთხოვნა მისი გამოცვლის თაობაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უდარდელი მხედრები




## პოლიტიკა

### გზების აღდგენა თბილისში არ შეჩერებულა



დედაქალაქის მერი თავად აკონტროლებს გარეუბნებში გზების მშენებლობას.

A2

## უცხოეთი

### ვლადიმირ პუტინი - ილუზიებსა და რეალობას შორის



ის იური ანდროპოვის საფლავს მიუახლოვდა, ქვაზე ყვავილები დააწყო და გარკვეული პერიოდი გაუნძრევლად იდგა - თითქოს ლოცულობდა.

A5


იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8


## ამინდი

| | 14/05 | 15 /05 | 16 /05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 20 | 24 |
| ქუთაისი | 14 | 20 | 26 |
| ბათუმი | 9 | 11 | 22 |
| სოხუმი | 12 | 21 | 22 |
| ფოთი | 11 | 16 | 24 |
| თელავი | 21 | 18 | 22 |
| ზუგდიდი | 13 | 21 | 26 |
| გორი | 15 | 17 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3134 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3976 |
| რუბლი | 0.0654 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# აშშ საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის შეწყვეტას ითხოვს

ნინო გომართელი

*მას შემდეგ, რაც, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებზე შეუთანხმებლობის გამო, თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები საკმაოდ დაიძაბა, ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთს მოუწოდებს, რაც შეიძლება, სწრაფად დაუსვას წერტილი საქართველოში მის სამხედრო ყოფნას.*

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გუშინ სენატორებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ აშშ ზეწოლას ახორციელებს რუსეთზე, რათა ამ უკანასკნელმა, რაც შეიძლება, სწრაფად გაიყვანოს საკუთარი სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან.

**"ჩვენ რუსეთს მოვუწოდებთ ეს საკითხი გადაწყვიტოს და გაიყვანოს ბათუმიდან და ახალქალაქიდან საკუთარი სამხედრო ბაზები, რათა საქართველომ თავისი ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა შეძლოს,"** – თქვა მან.

სახელმწიფო მდივანმა სენატორები საქმის კურსში ჩააყენა და უამბო, რომ რუსული მხარე აცხადებს, თითქოს განზრახული აქვს, დატოვოს საქართველო, თუმცა **"საკითხავია - როგორ და როდის. ჩვენ მტკიცედ მოვუწოდებთ მას, ეს, რაც შეიძლება, მალე გააკეთოს".**

სახელმწიფო მდივანი შეეხო საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის სტუმრობასაც და ხაზი გაუსვა, რომ ამ ვიზიტის მთავარი მიზანი იყო აშშ-ს მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და მისი ახალგაზრდა დემოკრატიისათვის მხარდაჭერის დემონსტრირება.

გაგრძელება A5 გვერდზე

# შუააზიური ამბოხი ისლამისტური შეფერილობით

ნიკა თარაშვილი

*სახელისუფლებო ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს უზბეკეთის საზღვრისპირა ქალაქ ანდიჟანში (ეს ქალაქი ყირგიზეთის საზღვრიდან სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული) ათასობით მომიტინგეს. გუშინ, მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა პირებმა ციხე აიღეს და, დაუზუსტებელი ცნობებით, ორი ათასამდე პატიმარი გაათავისუფლეს, ქალაქში მასშტაბური არეულობა დაიწყო. როგორც "ესოშეითიდ პრესი" იუწყება, შტურმის შედეგად, სულ მცირე, 50 ადამიანი დაიღუპა.*

უზბეკეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ გუშინ მთელი დღის განმავლობაში ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები ვრცელდებოდა. აშკარა იყო, რომ მთელი ქვეყანა ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა. ასეთივე ძნელი იყო სარწმუნო ინფორმაციის მიღება ამბოხებულ ქალაქში მიმდინარე ამბების შესახებ. საინფორმაციო სააგენტოები იუწყებოდნენ, რომ უზბეკეთში ბლოკირებულია ყველა უცხოური ტელევიზიის მაუწყებლობა. ამასთან, ზოგიერთი ცნობით, ქალაქ ანდიჟანში გამორთული იყო ტელეფონებიც.

ასე რომ, თუ რა მოხდა გუშინ ფერგანას ველზე (ანდიჟანი - შუააზიის ამ ყველაზე ნაყოფიერ, თუმცა, პარალელურად, ყველაზე ღარიბ რეგიონში მდებარეობს), საკმაოდ ძნელი გასაგები აღმოჩნდა.

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი, მოვლენები ასე ვითარდებოდა:

გაგრძელება A5 გვერდზე

# ქალაქის ბიუჯეტში 10 მილიონი ლარი გამოუყენებლად დევს

*მიწისძვრით დაზარალებულთა სარეაბილიტაციო პროგრამის მიხედვით, რომელიც ქალაქის მთავრობამ გასული წლის ბოლოს შეიმუშავა, ავარიული სახლების რეაბილიტაცია 3 წელიწადში უნდა დასრულდეს. დაზარალებულთა პრობლემის მოგვარებაში კი ლომის წილი მუნიციპალურმა მშენებლობებმა უნდა შეიტანოს. თუმცა, ქალაქის მთავრობას ჯერ მუნიციპალური მშენებლობების განვითარების პროგრამაც არ შეუმუშავებია.*

ნანა ქადაგიშვილი

ბოლო მონაცემებით, თბილისში მიწისძვრის შედეგად 22 ათასი სახლია დაზიანებული. მათ აღდგენას 300 მილიონი ლარი სჭირდება. 22 ათასიდან განსაკუთრებით ავარიული 4 ათასი მაინც იქნება. მიწისძვრით დაზარალებულთა სარეაბილიტაციო პროგრამის მიხედვით, ამ 4 ათასი შენობის აღდგენა სამ წელიწადში უნდა მოესწროს. აღნიშნული პროგრამის შემუშავებისას ქალაქის მთავრობა იმედს, ძირითადად, მუნიციპალურ მშენებლობებზე ამყარებდა და მომავალი წლისთვის, ამ გზით, 600 ოჯახის დაბინავებას გეგმავდა.

ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 25 მილიონი ლარიდან 10 მილიონი მუნიციპალური მშენებლობებისთვის არის გათვალისწინებული. მუნიციპალური მშენებლობა იგივე თანადაფინანსებაა, ანუ მშენებლობაში თანხის ნაწილს სახელმწიფო დებს და ნაწილს – ინვესტორი. როგორც კომპეტენტური ადამიანები აცხადებენ, მშენებლობის ეს ფორმა ჩვენს სიტუაციაში ავარიული სახლების პრობლემის მოგვარების საუკეთესო შანსია. **"ქალაქის მთავრობას ამ საკითხებზე წინა წლებში რომ ემუშავა, დღეს 500-600 ბინა მაინც ექნებოდა,"** – აცხადებს საბინაო მეურნეობის სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელობა. ქალაქის პრემიერი კი ჯერ კიდევ 2005 წლის დასაწყისში ამბობდა, რომ მთავრობამ ინვესტორებთან მუშაობა უკვე დაიწყო. **"ბევრი ინვესტორი დაინტერესდა. მათ შორის ქართველებიც არიან და უცხოელებიც,"** – აცხადებდა თემურ ქურხული. თუმცა, უკვე 4-5 თვე გავიდა და ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ინვესტორების მოძებნამდე მთავრობას ჯერ მუნიციპალური მშენებლობის განხორციელების ფორმა უნდა დაედგინა. განსაკუთრებით, ქალაქის ისტორიულ ნაწილში, სადაც მრავალსართულიანი სახლების აშენება იკრძალება და ინვესტორის დაინტერესება ძნელია. ეს ყველაფერი კი სპეციალური პროგრამით უნდა განსაზღვრულიყო. პროგრამა, როგორც პრემიერი აცხადებს, ქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურს უნდა შეემუშავებინა. **"ურბანული დაგეგმარების სამსახურს საინვესტიციო პროგრამების, მათ შორის, მუნიციპალური მშენებლობის პროგრამის მომზადება რამდენიმეჯერ დავავალეთ, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა. ამდენი ხანია, ბიუჯეტში თანხა გამოუყენებლად დევს. სამსახურს დავალების შეუსრულებლობისთვის პასუხს მოვთხოვთ,"** – აცხადებს ქურხული. ურბანული დაგეგმარების სამსახურის ხელმძღვანელობა კი თავს იმით იმართლებს, რომ პროგრამის შემუშავებაში ხელი მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ შეუშალა.

# აბიტურიენტის მეგზური

*აბიტურიენტებო, არ დაგავიწყდეთ მომართოთ რადიო ყოველ შაბათ-კვირას 15. 10 სთ-ზე, FM 102. 4-ზე და ყოველ შაბათსა და ორშაბათს იკითხოთ გაზეთი "24 საათი".*

დალი კუპრავა

დღეიდან, ვიდრე გამოცდების დაწყებამდე - 10 ივლისამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ერთიანი ეროვნული ცენტრი რადიო FM 102. 4 -ზე იწყებს გადაცემების ციკლს "აბიტურიენტის რადიომეგზური", ავტორი და წამყვანი - ნინო დათუკიშვილი. ყოველი გადაცემის თემა ერთიანი ეროვნული გამოცდების სხვადასხვა საკითხი იქნება. ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადება და ორგანიზება შეფასების ცენტრს ევალება, ამიტომ, ყოველი გადაცემის სტუმარი ცენტრის ერთ-ერთი წარმომადგენელი იქნება. გადაცემა გადის პირდაპირ ეთერში და თქვენ საშუალება გექნებათ, დარეკოთ და დასვათ თქვენთვის საინტერესო კითხვები.

დღეს, პირველი გადაცემის სტუმარი იქნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი, ხოლო კვირას, 15 მაისს გადაცემის სტუმრები იქნებიან: გამოცდების ორგანიზატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი მერაბ თოფურია და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის კონსულტანტი მარიკა დარჩია.

გადაცემა "აბიტურიენტის რადიომეგზური" დაიწყება 15. 10 სთ-ზე რადიო FM 102.4 -ზე ყოველ შაბათ-კვირას.

ყოველ შაბათსა და ორშაბათს კი გაზეთი "24 საათი" შემოგთავაზებთ რუბრიკას "აბიტურიენტის მეგზური". დარეკეთ 20 24 24 - აბიტურიენტის მეგზური.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს გურიაში პრეზიდენტის რწმუნებულის

**ბეჟან (ჟანი) კალანდაძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**ქ.თბილისის მერია და საკრებულო** ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გურიის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის

**ბეჟან კალანდაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 23 ნოემბერს, გამოტანილ იქნება N16 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 18 მაისს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 18 მაისის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

# გზების აღდგენა თბილისში არ შეჩერებულა



*დედაქალაქის მერი თავად აკონტროლებს გარეუბნებში გზების მშენებლობას.*

*გუშინ ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი გზების საფარის აღდგენითი სამუშაოების შესამოწმებლად თბილისის გარეუბნებს ესტუმრა. ქალაქის მთავრობა საზოგადოებას უმტკიცებს, რომ გზების შეკეთება ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემდეგაც გრძელდება და თბილისის ცენტრალური უბნების გარდა, ყურადღება გარეუბნებსაც ექცევა.*

თამარ დვალი

ქალაქის მთავრობა მიიჩნევს, რომ ქალაქის გალამაზება ისეთივე ტემპებით მიმდინარეობს, როგორც ეს ბუშის ვიზიტამდე ხდებოდა. ამ მოსაზრების გასამყარებლად ქალაქის მთავრობას მედიის წარმომადგენლები თითქმის ყველა უბანში მიჰყავს, სადაც გზების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ვაზისუბნის მიკრორაიონების მონახულების შემდეგ, გუშინ ამავე მისიით ქალაქის მერი საარბრიუკენის მოედანს, აგლაძისა და 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩებს ესტუმრა.

**"ამ მომენტისთვის თბილისის ათ ქუჩაზე მიმდინარეობს მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები. ვვარაუდობთ, რომ წლის ბოლომდე 90 მილიონი ლარის ათვისებას და 60 ქუჩის შეკეთებას შევძლებთ. ვფიქრობ, მაქსიმალური ტემპით მივდივართ. მარტო მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შეკეთება იმის მესამედია, რაც ქალაქში უნდა გაკეთდეს. მომავალ კვირაში მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე უბანში დაიწყება. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ მთელი ქალაქი მოვიცვათ, რასაც ვახერხებთ კიდეც. ორ-სამ კვირაში გლდანში, ვარკეთილში და სხვა გარეუბნებშიც შევალთ,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ქალაქის მერმა.

მას შემდეგ, რაც შერჩეული თურქული კომპანია "ნუროილის" ნაცვლად, მოულოდნელად, უპირატესობა ჰოლანდიურ კომპანიას მიანიჭეს, გზების საფარის აღდგენითი სამუშაოების დათვალიერებას თითქმის ყოველთვის ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდში გავრცელდა ხმები ქალაქის მერსა და პრემიერს შორის არსებულ დაპირისპირებაზე, რასაც ორივე მხარე კატეგორიულად უარყოფდა. როგორც ჩანს, მერის გუშინდელი შემოვლა, გარკვეულწილად, ამ ჭორების გაბათილებასაც ისახავდა მიზნად.

ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ მიანიჭეს უპირატესობა ჰოლანდიურ კომპანიას, ქალაქის მერმა შემდეგნაირად გვიპასუხა: **"რა თქმა უნდა, თურქული კომპანია ძალიან გამძლე და ფუნდამენტურ სამუშაოებს გვპირდებოდა, მაგრამ მისი მომსახურება ძვირი გვიჯდებოდა. ახლა ჯიბე რაზედაც გაგვწვდება, იმას გავაკეთებთ. ამჟამად ჩვენ ვაგებთ ასევე ხარისხიან, მაგრამ ნაკლები კონსტრუქციის მქონე გზას. ამ შემთხვევაში გარანტია 5 წელიწადია,"** – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

კომპანია "გზა 2005"-ის ხელმძღვანელი გურამ კილაბერიძე, რომელიც აღდგენით სამუშაოებს "ელიავას ბაზრობის" მიმდებარე ტერიტორიაზე აწარმოებს, მიიჩნევს, რომ თბილისში გზების დაგება ქართული კომპანიების მეშვეობითაც იყო შესაძლებელი. **"პროექტი არის შემუშავებული, და იმის მიხედვით ვმუშაობთ. ზოგ ადგილას ასფალტის საფარი 5 სანტიმეტრი, ზოგან კი 8 სანტიმეტრი იქნება, გააჩნია, სად რამდენს მოითხოვს. თუკი წესიერად მოვუვლით, ამ გზებმა 10, 12 წელიწადი უნდა გაძლოს. თბილისში გზები თანამედროვე დონეზე, თანამედროვე ტექნოლოგიებით კეთდება. მართალია, საქართველოში მძლავრი ტექნიკა არ არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც შეიძლებოდა, გზები ქართული ფირმების მიერ დაგებულიყო,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას გურამ კილაბერიძემ.

# ქართული პროდუქციის ექსპორტი ჩინეთში

ევროპული სავაჭრო პალატის ინიციატივით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვანგ კაივენი ქართველ ბიზნესმენთა ერთ ჯგუფს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელიც ევროპული სავაჭრო პალატის პრეზიდენტის, კომპანია "ყაზბეგის" პრეზიდენტის გოგი თოფაძის ინიციატივით შედგა, ჩინეთში ქართული პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობაზე იმსჯელეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი განსაკუთრებით დაინტერესდა ქართული ღვინოების, კერძოდ კომპანიების "ვაზიანისა" და "თბილღვინოს" პროდუქციის ჩინეთში ექსპორტის შესაძლებლობებით. ჩინური მხარისათვის განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოში გადამუშავებული ხე-ტყის პროდუქციის გატანაც. შეხვედრაზე ითქვა იმის შესახებაც, რომ ქართული წარმოების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინური ელექტრომოწყობილობების და მანქანათმშენებლობის პროდუქციის იმპორტს. ევროპული სავაჭრო პალატის და ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლების შეხვედრაზე განიხილეს საბაკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის კონკრეტული წინადადებები ქართული კომპანიების "ინტელექტბანკისა" და "იმედი-L"-ის მონაწილეობით.

საქართველოში ევროპული სავაჭრო პალატა საქართველოში აკრედიტებული ყველა ქვეყნის ელჩთან შეხვედრებს გეგმავს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების და კონკრეტული ბიზნეს პროექტების განხორციელების შესაძლებლობების გასარკვევად.

*ევროპული სავაჭრო პალატის პრესსამსახური*

# თერჯოლელ მოხუცებს შენობას ედავებიან

*მეორე დღეა, თერჯოლელი ხანდაზმულები ადგილობრივი ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, სოციალურად დაუცველი მოხუცების რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი შენობა უნდა გასხვისდეს. საქმე ისაა, რომ თერჯოლის ინფექციური საავადმყოფოს ერთი ფლიგელი, სადაც 12 წლის განმავლობაში, 90 სოციალურად დაუცველი ადგილობრივი ხანდაზმული ცხელ კერძს იღებდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საპრივატიზაციო ნუსხაშია შეტანილი და აუქციონის წესით გაიყიდება.*

ირმა კახურაშვილი

მოხუცები შენობის სათნოების სახლისთვის გადაცემას ითხოვენ. მათი განცხადებით, შენობა საერთაშორისო ორგანიზაცია "კათარზისის" დახმარებით რამდენიმე თვის წინ შეკეთდა. მისი გასხვისების შემთხვევაში, უმწეო და მარტოხელა ხანდაზმულები შიმშილისთვის იქნებიან განწირულნი. სხვათა შორის, თერჯოლის რაიონში, ჯერჯერობით, ეს ერთადერთი უფასო სასადილოა.

"ჩვენ წინასარემონტო სამუშაოებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა დავხარჯეთ. კარ-ფანჯრის გამოცვლას ვაპირებდით. ეს გაპარტახებული შენობა სათნოების სახლად უნდა გვექცია, სადაც, სადილის გარდა, მოხუცებს საპარიკმახეროს, სამედიცინო პუნქტისა და მომსახურების სხვა სერვისს შევთავაზებდით," – აცხადებს თბილისში არსებული, სათნოების სახლ "კათარზისის" დირექტორი ზაურ ალადაშვილი. მისი თქმით, ახლო მომავალში შენობა უზურფრუქტის ფორმით უნდა გადასცემოდა და ამისათვის საჭირო დოკუმენტაციაც მომზადებული ჰქონდა. ალადაშვილის თქმით, აქამდე პრობლემის მოგვარება მხოლოდ იმის გამო ვერ მოახერხა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში რაიონის ხელმძღვანელობა რამდენჯერმე შეიცვალა. ამან კი შენობის გადაცემის პროცედურა გააჭიანურა.

"12 წელიწადია, ამ უფუნქციო შენობაში 90-მდე მოხუცი იკვებებოდა და როცა საქმე გასხვისებამდე მივიდა, ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. რამდენადაც ვიცი, შენობა საპრივატიზაციო ნუსხაში ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ შეიტანა და 10 ათას ლარად შეაფასა. გარდა იმისა, რომ ეს არაჰუმანურია, არაგონივრული ნაბიჯიცაა, რადგან სათნოების სახლის ამოქმედებისთვის ჩვენ სახელმწიფოსგან არაფერს ვითხოვდით," – ამბობს ალადაშვილი, რომელსაც შენობების გადაცემასთან დაკავშირებული პრობლემები ადრეც ჰქონია. შეგახსენებთ, რომ "კათარზისის" ქსელში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე 17 სათნოების სახლია გაერთიანებული.

რაც შეეხება აქციას ქალაქის ცენტრში, რომლის დროსაც ხანდაზმულები საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ხატებითა და სანთლებით ხელში ცდილობდნენ, უშედეგოდ ჩაიარა. თუმცა მოხუცები იმედოვნებენ, რომ "სამართლიანობა იზეიმებს" და ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც კომპრომისს გამონახავს. "აქცია პროტესტის ნიშნად მოეწყო, ახლა შევეცდები ოფიციალურად შევხვდე იმ კონკრეტულ პირებს, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება რეალურად შეუძლია," – ამბობს ალადაშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ვლადისლავ არძინბას დღეს 60 წელი შეუსრულდება. მის შესახებ წიგნის დაწერას გეგმავს პოლიტიკურ საკითხებში არძინბას მრჩეველი ასტამურ ტანია, თუმცა წიგნზე მუშაობის დაწყებას ის ჯერჯერობით არ ჩქარობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს მომავალში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვას, შესაძლოა, თანამდებობის დატოვება მოუწიოს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ასტემიროვას ადგილს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ზინაიდა ბესტაევას უწინასწარმეტყველებენ. თავად ეთერ ასტემიროვა ამ ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს. ჯერჯერობით, კომენტარებისგან თავს იკავებენ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც, მათ შორის - ზინაიდა ბესტაევაც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტმა, 93 ხმით 6-ის წინააღმდეგ, თბილისის ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს გიორგი ყარყარაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა. ამის თაობაზე ყარყარაშვილმა პარლამენტს თავად მიმართა. მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა სახელდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26 მაისს თბილისში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი გაიმართება. მასში მონაწილეობას 9300 სამხედრო მოსამსახურე და ას ავტომანქანაზე განთავსებული სამი ათასამდე რეზერვისტი მიიღებს. აღლუმის მომზადება დაევალა საარტილერიო დაჯგუფების სარდალს, ბრიგადის გენერალს ჯიმი ზარიძეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერს დავით გამყრელიძესა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობას შორის მორიგი დაპირისპირება დარგობრივი ეკონომიკისა და თავდაცვის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე 2005 წლის ბიუჯეტში ცვლილების პროექტის განხილვამ გამოიწვია. "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა მთავრობა მავნებლობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ აღნიშნული თანხები ბიუჯეტში გაწერილი არ არის. მისივე თქმით, თავდაცვის სამინისტრომ იარაღისა და ტექნიკის შესყიდვა წინასწარ ისე განახორციელა, რომ ბიუჯეტში განბაჟების თანხები არ გაითვალისწინა და სწორედ ამას მოჰყვა 46 მილიონი ლარის დამატების აუცილებლობა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერაყში სამასი ქართველი სამხედრო მოსამსახურე მიემგზავრება, რომლებიც ბაქუბაში მდგარ კონტინგენტს შეცვლის. ამჟამად სამშვიდობო მისიით საქართველოს ერაყში 858 სამხედრო მოსამსახურე ჰყავს გაგზავნილი. აქედან, 558 სამხედრო ბაღდადშია, 300 კომანდოელი კი ბაქუბაში დგას და პერიოდულად იცვლება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, გალის რაიონში გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნა აფხაზური მხარისთვის მიუღებელია. "აფხაზეთში გაერო-ს ოფისში წარმატებით ფუნქციონირებს სოხუმის ცენტრში და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მის მუშაობას ხელს არ უშლის," - აცხადებს სერგეი შამბა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში აზერბაიჯანის სამხედრო ატაშედ გენერალ-მაიორი ელბრუს ორუჯევი დაინიშნა. ახალი სამხედრო ატაშე თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მიიღო. მან ელბრუს ორუჯევს მაღალ პოსტზე დანიშვნა მიულოცა და ხაზი გაუსვა საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობას. თავის მხრივ, ახალმა სამხედრო ატაშემ განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებს ორი ქვეყნის სამხედრო უწყებათა ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისათვის. მხარეებმა, აგრეთვე, საქართველო-აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროების სამუშაო საკითხები განიხილეს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„რადიო დილა“ ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



### ბუშის ჩამოსვლა საქართველოსთვის აშშ-ს მხარდაჭერას ნიშნავს

წამყვანები: ქეთევან კორძახია, გაგა გობრონიძე

სტუმარი: ლორენს მიტსი, „ნეიშნლ ფაბლიქ რედიოს“ წარმომადგენელი თბილისში.

ლორენს მიტსი: ბუში მიჩვეული არ არის იმგვარ თბილ დახვედრას, როგორიც მას თბილისში მოუწყეს. ამიტომ გასაგებია მისი ადამიანური რეაქცია. მაგრამ მას მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი ხანმოკლე შეხვედრები ჰქონდა და რაიმე ახალი გადაწყვეტილებები, რაზეც მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, მიღებული არ ყოფილა. ბუშის ვიზიტი აშშ-ს მხარდაჭერას ნიშნავს, მაგრამ შიდა პრობლემების მოგვარების გარეშე სერიოზულ ცვლილებებს მოკლე ხანში არ უნდა ველოდოთ. ყველაფერს დრო ჭირდება.

# ბუში ცეცხლი და იაფფასიანი შოუ პარლამენტში

პირველი გვერდიდან

**"მალე, 235-ის ნაცვლად, პარლამენტში 150 დეპუტატი იქნება. ამიტომ, ნუ ვიჩქარებთ და ზედმეტ ხარჯებს წინასწარ ნუ გავიღებთ,"** - მიხეილ მაჭავარიანის ამ ქარაგმულ მინიშნებას ოპოზიციონერები აღარ გამოხმაურებიან.

სხდომათა დარბაზს გამოცოცხლება მეორედ მაშინ დაეტყო, როდესაც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი წარადგინა. კანონპროექტის მიხედვით, საქალაქთაშორისო და მცირე ზომის ავტობუსთა სიჩქარის მაქსიმალური ზღვარი 80 კმ/სთ-ს არ უნდა აღემატებოდეს (ეს ზღვარი ამჟამად 90 კმ/სთ-ია). ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას ხუროშვილი იმით ხსნის, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა ტრაგიკული შედეგებით დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევები, რომლებიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობამ განაპირობა.

მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ცვლილებას დეპუტატი კოტე გაბაშვილი მიესალმება, თუმცა, იქვე დასძენს, რომ ზღვრული სიჩქარის შემცირება საკმარისი არ არის და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელისუფლებამ სხვა ზომებიც უნდა მიიღოს.

**"გზების საფარი მოუწესრიგებელია, გზის სავალი ნაწილი დახაზული არ არის, საჭეს ხშირად ნასვამი და ნარკოტიკებით გაბრუებული მძღოლები უსხედან. ამას ისიც ემატება, რომ ბევრი მანქანა ტექნიკურად გაუმართავია,"** - აცხადებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის თქმითაც, **"დღეს საქართველოს გზებსა და ავტომაგისტრალებზე სიკვდილი დააბიჯებს."**



*პარლამენტში ყველაზე აქტუალური თემა უსაფრთხოება იყო.*

ალმასრულებელი ხელისუფლების ცალკეული სტრუქტურების მიმართ საყვედურებს გამოთქვამს ნინო კალანდაძეც, რომელმაც გუშინდელ სხდომაზე გაიხსენა, რომ თავის დროზე, შსს-ს მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა მის საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც ავტომობილის მართვის დროს უსაფრთხოების ქამრების გამოყენებას და მობილური ტელეფონით საუბრების შეზღუდვას ითვალისწინებდა...

უსაფრთხოების საკითხებზე იყო მსჯელობა რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზეც, ოღონდ, გაცილებით გლობალური მასშტაბით - პარლამენტარებმა განიხილეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოში შემუშავდა.

კონცეფციაში საუბარია ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებზე, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე, საფრთხეებზე და გამოწვევებზე, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე, აგრეთვე, ეკონომიკური, სოციალური, საინფორმაციო და ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკაზე...

ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი დეპუტატებს უშუალოდ სხდომის დაწყების წინ დაურიგდათ და პარლამენტარებმა მისი საფუძვლიანად შესწავლა ვერ მოასწრეს, სავარაუდო იყო, რომ პრეზენტაცია წყნარად, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე ჩაივლიდა. თუმცა, პრეტენზიების წამოსაყენებლად ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ კონცეფციის ზერელედ შესწავლაც საკმარისი გამოდგა: "კონსერვატორი" გიგა ბუკია უკმაყოფილოა იმით, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში საერთოდ არაფერია ნათქვამი დსთ-სთან დამოკიდებულების შესახებ, "მემარჯვენე" დავით გამყრელიძის თქმით კი, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებას საფუძვლად უდევს პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა, ხოლო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებას, - ე.წ. "ბოდენის დოკუმენტი", მაშინ, როდესაც ამ ორივე სტრატეგიის დეტალები საზოგადოებისთვის უცნობია.

დავით გამყრელიძის განსაკუთრებული "გაოცება" კი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ გუშინდელი პრეზენტატორი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი პაატა გაფრინდაშვილი თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, სულ ცოტა ხნის წინათ, "კრიმინალად" მონათლა და მისი ციხეში ჩასმა მოითხოვა, დღეს კი მას ასეთი საპატიო მისია აკისრია.

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის ამ განცხადებამ საპარლამენტო უმრავლესობის გაღიზიანება გამოიწვია.

**"თქვენ გინდოდათ, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განხილვა იაფფასიან შოუდ ქცეულიყო და მიზანსაც მიაღწიეთ,"** - უსაყვედურა გამყრელიძეს და მის თანაფრაქციელებს დავით კირკიტაძემ.

"შოუს", ოღონდ, უფრო ფართო აუდიტორიისთვის, ოპოზიცია, ალბათ, ორი კვირის შემდეგაც მოაწყობს, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დეტალური განხილვა გაიმართება.

# ზესტაფონი სამართლებრივი უწყებების ეპიცენტრი ხდება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ივნისიდან საქართველოში საზოგადოებრივი, იგივე სახაზინო ადვოკატის სამსახურის ორი ტერიტორიული ბიურო ამოქმედდება. ერთი მათგანი თბილისში განთავსდება, მეორე კი - ზესტაფონში. ზესტაფონზე არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ სასამართლო უწყების რეფორმის შედეგად, ზესტაფონში რაიონული ინსტანციის სასამართლო ცენტრის განთავსება იგეგმება და, შესაბამისად, აღნიშნული ბიუროს მომსახურების გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

**"ეს არის ერთწლიანი პილოტური პროექტი, რომლის ფარგლებში თბილისსა და ზესტაფონში ტერიტორიული ბიუროების გახსნა საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ როგორც დატვირთული, ასევე, ნკლებად დატვირთული სასამართლოს ქვემდებარე ტერიტორიაზე ამგვარი ბიუროების მუშაობის დინამიკას. ბიუროთა ფუნქციონირების გაანალიზების შედეგად, გაადვილდება უფასო იურიდიული დახმარების სისტემის გამართვის პროცესი, მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის მოძიება. განისაზღვრება იურიდიული დახმარების ბიუროს ფარგლებში ერთ საქმეზე გაწეული მომსახურების საშუალო ღირებულება, იურიდიული დახმარების ზონის ფარგლებში სამართლებრივ მომსახურებაზე მოთხოვნილების საშუალო მოცულობა. ეს ინფორმაცია შემდგომი ხარჯების პროგნოზირების საშუალებას მისცემს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურს. გამოიკვეთება იურიდიული დახმარების სისტემის ფარგლებში საქმის წარმოების თავისებურებანი,"** - აცხადებს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის უფროსი თამთა ქოჩაკიძე "24 საათთან" საუბარში.

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირის სახით ჩამოყალიბდა. აღნიშნული სამსახურის შექმნის აუცილებლობა უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმირების პროცესში წარმოიშვა. რეფორმა, რომლის მიზანია ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა საზოგადოების თითოეული წევრისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ შემუშავებული კონცეფციისა და რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება.

**"დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნა ფორმალურ ხასიათს ატარებს და გადამწყვეტ როლს ადვოკატსა და პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამშრომელთა შორის ნაცნობობა თამაშობს. ასეთი ფორმით დანიშნული ადვოკატის მომსახურების დაბალ ხარისხს, სისტემურ ხარვეზებთან ერთად, სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ დამცველთა შრომის უკიდურესად დაბალი ანაზღაურებაც განაპირობებს,"** - აცხადებს "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი რუსუდან ტაბატაძე.

**"სახაზინო ადვოკატის ანაზღაურება შეადგენს დღეში 2 ლარს. ფაქტობრივად, სახაზინო დაცვის უფლება დღეს საქართველოში მოშლილია",** - აცხადებს სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთში გიორგი მშვენიერაძე.

ერთწლიანი პილოტური პროექტის ფარგლებში თბილისსა და ზესტაფონში მცხოვრებ მატერიალურად შეზღუდულ ადამიანებს კვალიფიციური ადვოკატები უფასოდ მოემსახურებიან. საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ზესტაფონის ტერიტორიული ბიურო ადგილობრივი გამგეობის მიერ გამოყოფილ ფართში განთავსდება. ფინანსურად კი ორივე ბიუროს ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" და "IRIS საქართველო" უზრუნველყოფენ. ტერიტორიული ბიუროები კონკურსის წესით შერჩეული კადრებით დაკომპლექტება. თბილისსა და ზესტაფონში პილოტური პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ბიუროები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიხსნება. ამასობაში კი პარლამენტმა სახაზინო ადვოკატის შესახებ კანონი უნდა მიიღოს.

# დიდი რუსეთი პატარა საქართველოს „ბუდიანი კაცით“ ემუქრება

პირველი გვერდიდან

**საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაჯგუფება, სხვადასხვა ინფორმაციით, 4-4,5 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს ითვლის, რომლებიც ორ - ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე ბაზებზე არიან დისლოცირებული.**

**ბათუმის მე-12 ბაზა: დაახლოებით 2,5 ათასი კაცი, 74 ტანკი, 80 ქვეითთა ჯავშან-მანქანა (ბმო), 120 საარტილერიო დანადგარი.**

**ახალქალაქის 62-ე ბაზა: დაახლოებით 2 ათასი კაცი, 40 ტანკი, 130 ქვეითთა ჯავშან-მანქანა (ბმო) და ჯავშანტრანსპორტიორი (ბრპ), 50 ერთეული არტილერია.**

**გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიის გავლით ხდება გიუმრიში (სომხეთი) განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზასთან დაკავშირება და მისი მომარაგება.**

**რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში 90-იანი წლების შუა ხანებში ახალქალაქსა და ბათუმში დისლოცირებული მოტომსროლელი დივიზიის ბაზაზე ჩამოყალიბდა.**

მსოფლიო ბაზრის ფასების მიხედვით და საგრძნობლად შემცირდეს საქართველოში ელექტროენერგიისა და გაზის ექსპორტი, - ამ უკვე ტრადიციად ქცეული მუქარის ამოქმედებას რუსეთის სახელმწიფო სათათბირო საკუთარი მთავრობისა და პრეზიდენტისგან იმ შემთხვევაში მოითხოვს, თუ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის პროცედურებს ცალმხრივად დაიწყებს.

საქართველოს გადაწყვეტილებას რუსეთის სამხედრო ბაზების კანონგარეშედ ცნობასთან დაკავშირებით, რუსი დეპუტატები "რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულსა" და "ექსტრემისტულს" უწოდებენ.

სახელმწიფო დუმის ოთხი კომიტეტის მიერ პრეზიდენტ პუტინისა და რუსეთის მთავრობის სახელზე მომზადებულმა მიმართვამ გუშინ დუმის პლენარულ სხდომაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. მიმართვა, შესაშური ერთსულოვნებით - 412 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი - მიიღეს.

დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა აღნიშნა, რომ რუსი დეპუტატები **"შეშფოთებულნი არიან"** ბაზებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების უკანასკნელი განცხადებებით. მისი თქმით, მოსკოვი მზადაა, საქართველოს მუქარებს გაცილებით უფრო მკაცრი სანქციები დაუპირისპიროს.

**"საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო განცხადებები და მათი მოქმედებები მიმართულია მოლაპარაკებათა პროცესის ჩაშლისაკენ და, ასევე, რუსეთის ინტერესებისა და ზოგადად რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ,"** – აღნიშნულია მიმართვაში, რომელიც დუმის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დსთ-სთან ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელმა ანდრეი კოკოშინმა წაიკითხა.

კოკოშინის ინიციატივის "წინააღმდეგ" ლდპრ-ელი ალექსეი მიტროფანოვი გამოვიდა: **"ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს მიმართვა მოლდოვასთან დაკავშირებით – მათაც სანქციებს ვპირდებოდით, მაგრამ სად არის ეს სანქციები? მსახიობები ქაქანებენ, ქაქანებენ, იარაღი კი კვლავ არ ისვრის,"** – სწყინს მიტროფანოვს.

რუსი დეპუტატები მოითხოვენ საქართველოში რუსეთის ფედერაციის ელჩის ვლადიმირ ჩხიკვიშვილის სასწრაფოდ გამოწვევას და მასთან იმ **"ადეკვატური საპასუხო ზომების"** შეთანხმებას, რასაც საქართველოს მიმართ განახორციელებენ.

აქვე რუსი პარლამენტარები იმედოვნებენ, რომ ქართული მხარე გონს მოეგება და **"უარს იტყვის რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით დესტრუქციულ მოქმედებებზე".**

გარდა ამისა, გუშინვე ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო დუმის კომიტეტებმა საქართველოში განლაგებულ ბაზებთან დაკავშირებით მთელი რიგი დამატებითი წინადადებების შემუშავება დაიწყეს, რასაც შემდგომ საკუთარ მთავრობას წარუდგენენ. **"ეს წინადადებები ქართული მუქარების წინააღმდეგ რუსეთის საპასუხო ალტერნატიულ ქმედებებს შეეხება. ეს საკითხი დახურულ კარს მიღმა დუმის უშიშროების კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზეც განიხილებოდა, რომელშიც რუსეთის საგარეო და თავდაცვის უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ,"** – აცხადებს დუმის უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი ვიქტორ ზავარზინი.

რუსი დეპუტატები ქართულ მხარეს მოლაპარაკებათა პროცესისა და ორი ქვეყნის საგარეო უწყებათა მიერ მიღწეული ორმხრივი შეთანხმების "ჩამშლელად" ასახელებენ.

როგორც ჩანს, რუსეთისთვის სიტყვა "ორმხრივი შეთანხმება" უკვე დიდი ხანია თავის ეტიმოლოგიას დაშორდა.

რუსეთს რომ საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის თანამიმდევრული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა არ გააჩნია, ის განცხადებებიც ცხადყოფს, რაც მოსკოვიდან ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით ისმის. ჯერ თერთმეტი, შემდეგ რვა, ახლა ოთხი – ციფრთა ამ უწყვეტი კასკადის მიხედვით ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რა თარიღს დაასახელებს კრემლი ხვალ.

რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტექნიკური საკითხები აქ არაფერ შუაშია, მთავარია საამისოდ არსებობდეს კრემლის ნება, რომელიც, ჯერჯერობით, არ არის.

რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი "24 საათთან" საუბრისას აცხადებს: **"რუსული ბაზებისგან საქართველოს გათავისუფლება რეალურად სავსებით შესაძლებელია რამდენიმე თვეში, თუმცა ამის გაკეთება წარმატებით შეიძლება რამდენი წელიწადშიც.**

**ბათუმიდან ტექნიკის გაყვანა პრობლემა არ არის – პორტი იქვეა. არც ახალქალაქია პრობლემა – აქ ტექნიკის ნაწილი შეიძლება ადგილზეც დატოვონ, ზოგი რამ სომხებს გადსცენ. ტექნიკა ახალქალაქში ძალიან ძველია, ამიტომ მისი თრევის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ასეთი "რელიქვიები" რუსეთში ისედაც ბევრია. ამ ბაზების ბრძოლისუნარიანობა ნულია. სამხედრო თვალსაზრისით, ეს ბაზები რუსეთისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. რუსეთს იმედი აქვს, რომ სტრატეგიული კუთხით მათ გამოყენებას შეძლებს. რუსეთს სომხეთში უფრო ძლიერი ბაზები აქვს და, საქართველოს ბაზებთან ერთად, ეს თურქეთის საზღვართან ერთ საერთო ხაზს ქმნიდა,"** – აცხადებს რუსი ექსპერტი.

დუმის პარალელურად, საქართველოში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებზე გუშინ აშშ-ს სენატშიც იმსჯელეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკულმა სენატმა სპეციალური რეზოლუცია მიიღო, სადაც რუსეთს საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანისკენ მოუწოდებს. როგორც რეზოლუციაშია აღნიშნული, **"უკვე 10 წელზე მეტია მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ამ ქვეყანამ დღემდე ვერ მოახერხა რუსული სამხედრო ყოფნისაგან თავის დაღწევა."** რეზოლუცია სარეკომენდაციო ტიპისაა და აშშ-ს ადმინისტრაციისთვის სავალდებულო შესასრულებელი არ გახლავთ. მისი ავტორები სენატის რესპუბლიკელთა უმრავლესობისა და დემოკრატთა უმცირესობის ლიდერები არიან.

საქართველოს ხელისუფლება კი, თავის მხრივ, დათმობებზე წასვლას არ აპირებს, თუმცა პოზიციებს შედარებით არბილებს. როგორც გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, **"თავისთავად პარლამენტის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, მაგრამ უახლოეს დღეებში არ ვაპირებთ რუსულ ბაზებთან დაკავშირებით რადიკალური ზომების მიღებას. არსებობს რუსულ მხარეზე ზემოქმედების რადიკალური და ლიბერალური ზომები. ამ ეტაპზე ჩვენ პრიორიტეტს ლიბერალურ ზემოქმედებას მივანიჭებთ. თუ ვნახავთ, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებს რაიმე პერსპექტივა აქვს, მაშინ, ცხადია, შეთანხმებას ვამჯობინებთ, თუ არადა ყველა ბერკეტს ავამოქმედებთ."**

ბაზების თემაზე მუშაობა ორი ქვეყნის საგარეო უწყებების დონეზეც განახლდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ რუსეთის საგარეო უწყებისგან სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით ახალი დოკუმენტი მიიღო.

ამის შესახებ გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა. **"კონკრეტულ კომენტარებს მხოლოდ მას შემდეგ გავაკეთებთ, რაც დეტალურად გავეცნობით დოკუმენტს,"** – აღნიშნა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. მისი თქმით, ამ დოკუმენტში მხარეების პოზიციები უფრო დაახლოებულია, ვიდრე 9 მაისამდე, როდესაც მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რაც მიხეილ სააკაშვილის მოსკოვში წაუსვლელობის მიზეზი გახდა. ზურაბიშვილის თქმით, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს სერგეი ლავროვს იგი ვარშავაში, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სამიტზე შეხვდება.

# ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმას საქართველო წარმატებით ასრულებს

საქართველოში აკრედიტებული, ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩების შეფასებით, ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმას (IPAP) საქართველო წარმატებით ასრულებს.

როგორც სახელმწიფო კანცელარიაში ნატო-ს ქვეყნების ელჩებთან გამართული შეხვედრის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ქართული მხარის მიერ ჩატარებული სამუშაოებით ნატო-ში კმაყოფილნი არიან და იმედოვნებენ, რომ უკვე წლის ბოლოსათვის საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების ახალ სამოქმედო გეგმაზე (MAP) მუშაობას დაიწყებს.

ზურაბიშვილის ოპტიმიზმს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც იზიარებს, თუმცა აღიარებს, რომ გარკვეული შენიშვნები ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ნატო-ს წარმომადგენლებს მაინც აქვთ.

ოქრუაშვილის თქმით, ალიანსის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი და იმ ფონდების საქმიანობა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფაში იღებენ მონაწილეობას, უფრო გამჭვირვალე და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ოქრუაშვილის მოსაზრებით, ამ შენიშვნების გამოსწორება პრობლემას არ წარმოადგენს და თავდაცვის სამინისტრო შესაბამის ზომებს ახლო მომავალში მიიღებს.

ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულების პერსპექტივებს და დეტალებს ქართული მხარე ნატო-ს ექსპერტებს უფრო დაწვრილებით ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში გააცნობს, სადაც 16 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ჩავლენ.

*ინტერ-პრესი*

# რუსეთი ვალებს ვადამდე ფარავს

რუსეთმა და პარიზის კლუბმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთის ვალის თითქმის ერთი მესამედის ვადამდე დაფარვის შესახებ. მოსკოვი 15 მილიარდ დოლარს ვადაზე ადრე, სამი თვის განმავლობაში გადაიხდის.

პარიზის კლუბის პრეზიდენტმა ჟან-პიერ ჟუიემ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ განაცხადა, რომ ეს კლუბის ისტორიაში სახელმწიფო ვალის ყველაზე დიდი ერთდროული დაფარვაა.

პარიზის კლუბის მიმართ ვალის ვადამდე დაფარვის წინადადებით რუსეთი გამოვიდა. მათ შორის მოლაპარაკება რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მოსკოვი ვალის ვადაზე ადრე დაფარვისთვის შეღავათებს ითხოვდა. თუმცა, ზოგიერთი კრედიტორი, პირიქით, საჯარიმო სანქციებს მოითხოვდა, რადგან რუსეთის მიერ მთელი თანხის ერთბაშად დაფარვის შემთხვევაში, კრედიტორები პროცენტებს კარგავენ. მიუხედავად ამისა, ვალის დაახლოებით მესამედის გადახდის თაობაზე შეთანხმებას მხარეებმა მაინც მიაღწიეს.

სულ, რუსეთმა პარიზის კლუბს 43 მილიარდ დოლარზე მეტი უნდა გადაუხადოს. რუსეთის ყველაზე დიდი კრედიტორი გერმანიაა. მოსკოვს მისი 18 მილიარდი დოლარი მართებს.

*24 საათი*

# 24 საათი ექიმის ცხოვრებიდან

*ბავშვობაში მამამისის, ირაკლი ფალავას პაციენტი ვიყავი. ახლა რომ ვუკვირდები, არაფერი განსაკუთრებული არ მჭირდა. ამისდა მიუხედავად, თვე ისე არ გავიდოდა, მე და ჩემი და ექიმთან არ მივეყვანეთ. ჩემი მშობლები პანიკიორები იყვნენ – ამას წყალი არ გაუვა, თუმცა ახლა იმასაც ვაცნობიერებ, რომ გახშირებული ვიზიტები მხოლოდ საექიმო კონსულტაციით არ ყოფილა განპირობებული. მასთან ურთიერთობა ერთ რამედ ღირდა. ახლა ჩემს მეგობრებს დაჰყავთ შვილები ფალავასთან - ოღონდ ყარამან ფალავასთან. დაჰყავთ საავადმყოფოში, დაჰყავთ სახლში, ურეკავენ ტელეფონით. ისტორია მეორდება: დანიშნულებას ხანგრძლივი და ამომწურავი საუბარი მოჰყვება, ოღონდ ერთი ნიუანსის გათვალისწინებით: დღევანდელი მშობელი გაცილებით ცნობისმოყვარეა და მხოლოდ წამლის გამოწერით არ კმაყოფილდება. ზოგი ხვდება ამას და კარგი ექიმის სახელს იმკვიდრებს, ზოგიც საავადმყოფოს დერეფნებში დადევნებული დედების შეკითხვებზე კანტიკუნტად იძლევა პასუხს.*


*ყარამან ფალავას აზრით, თვით პროფესორის განათლებაც უწყვეტი უნდა იყოს.*

სოფიო თოდუა

ადრე ადგომა უჭირს - ცოტათი ძილისგუდაა და იმიტომ. არადა, ცდილობს და როცა ახერხებს, დილა საცურაო აუზით იწყება. თუ პოლიტექნიკურის სტადიონზე მოჰკრავთ თვალს, ესე იგი გვიან გაეღვიძა. ისეც ხდება, ძილს თავს ვერ ართმევს და მაშინ ჰანტელებითა და ცივი შხაპით დაკმაყოფილება უწევს. ასეა თუ ისე, ყოველი დილა ვარჯიშით იწყება, ყოველი სამუშაო დღე - კლინიკით. მარშრუტი უცვლელია: გმირთა მოედანი, ბარათაშვილის ხიდი და ძველი თბილისის ახლა უკვე განახლებული სახლები, სამების ტაძარი, მარჯვნივ - ნარიყალა, ოდნავ მარცხნივ - მეტეხი და ბოლოს ქალაქის ერთ-ერთი უძველესი - N1 კლინიკური საავადმყოფო. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია: ბავშვთა და მოზარდთა ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრის გამგე ყარამან ფალავა ამ საავადმყოფოს ყველაზე გაუბედურებულ შენობაში ზის. არადა, თავის დროზე ქართული პედიატრიის კორიფეებმა სწორედ აქ გაითქვეს სახელი. მათი გახუნებული ფოტოები შეუღებავ კედელზე გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ტრაფარეტული სტენდი და უფროსი თაობისათვის პატივის მიგების ტრადიციული ფორმა. ეს ის შემთხვევაა, როცა გარეგნული იერსახე ნაკლებად მნიშვნელოვანია - აუდიტორიებში ლექციებს კითხულობენ, დერეფნებში პაციენტები იცდიან, აქაურობას შეხიზნული ლტოლვილები კი პედიატრიაზე პერსონალზე არანაკლები კომპეტენტურობით ლაპარაკობენ.

ტრადიციული საპროფესორო "შემოვლა" ოთხშაბათობით ეწყობა, დანარჩენ დღეებში ექიმისა და პაციენტის ურთიერთობას უფრო ინფორმაციის გაცვლა ეთქმის: რა ხდება, როგორია ავადმყოფის მდგომარეობა, ახალი პაციენტი თუ შემოვიდა, რა დიაგნოზით, რა სჭირდება... 9 საათზე ლექცია იწყება, ამჯერად ინგლისურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტებთან. ესეც ფაქტია: ჩვენი ქვეყნის საკმაოდ მძიმე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩვენთანაც ჩამოდიან ახალგაზრდები სამედიცინო განათლების მისაღებად. ლექციები ინგლისურ ენაზე, შეიძლება, სიახლეა, სამაგიეროდ, კარგა ხანია თვალი შეეჩვია კათედრაზე მდგომ ყარამან ფალავას - იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას 1974 წლიდან ეწევა. ინტერაქტივი მისი ლექციების განუყოფელი ნაწილია. მის სახელსვე უკავშირდება ახალი კურსების დანერგვა: ეკოლიგიური პედიატრია, მოზარდთა მედიცინა, იშვიათი დაავადებები, ბავშვთა და მოზარდთა ზრდა-განვითარების ძირითადი საკითხები და ა. შ.

უწყვეტი პროფესიული განათლება პროფესორსაც სჭირდება: ახალშობილთა დაავადებები - ჩაჩავას ინსტიტუტში, ნეფროლოგია - მერი გელოვანთან, პულმონოლოგია - ავსტრიაში, რევმატოლოგია - იტალიაში, ზოგადი პედიატრია - გერმანიასა და რუსეთში... მაგრამ მთავარი მაინც კლინიკაში ყოველდღიური მუშაობაა. როცა საქმე ითხოვს, არც კოლეგებთან კონსულტაციას გაურბის, თუმცა ამ უკანასკნელთა სია განსაზღვრულია. დღის პირველი ნახევარი, ძირითადად, საკონსულტაციო მუშაობას ეთმობა. მისაღებში ჩვილებიც იცდიან და მოზარდებიც, თბილისელებიც და პროვინციებიდან ჩამოსულებიც. სატელელეფონო ზარები ზოგჯერ სხვა ქვეყნებიდანაც გაისმის. ავადმყოფობების ნუსხა მრავალფეროვანია: ბრონქული ასთმა და ალერგიული რინიტი, ფსიქოსომატური დარღვევები და სკოლაში სწავლის სიძნელეები, ხშირად მოავადე ბავშვი და კვების პრობლემები...

თორმეტი საათისთვის შესვენების დრო დგება. ინგლისურად - ლანჩი, ჩვენებურად - წახემსება: ყავა, ჩაი, კოლეგებთან მასლაათი, პოლიტიკაზე სჯაბაასი და ისევ სამედიცინო სიახლეებზე ლაპარაკი.

■ ■ ■

სამუშაო დღის მეორე ნახევარი უმთავრესად პედაგოგიურ, სამეცნიერო და საორგანიზაციო საკითხებს ეთმობა. ფალავების ოჯახი საერთო ჯამში 120 წელი ემსახურება უმაღლეს სამედიცინო განათლებას. კათედრის გამგე იყო პაპამისი (დედის მხრიდან), მამამისი, კათედრის გამგეა ისიც - სხვათა შორის, მამის კაბინეტში ზის. სამედიცინო უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და ზოგადად უმაღლესი განათლების პრობლემატიკა მისთვის ამადაცაა მნიშვნელოვანი. ყველაზე მეტად რა აწუხებს? სტუდენტების მომზადების დონე. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენმა კურსდამთავრებულებმა სხვებს ტოლი არ დაუდონ. 300-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორს ბევრი მისცა ევროპის მოზარდთა მედიცინის სასწავლო პროგრამის შემადგენელ ჯგუფში მონაწილეობამ. ცნობისათვის, ამ ჯგუფში ათიოდე წევრია გაერთიანებული, აღმოსავლეთ ევროპას ყარამან ფალავა წარმოადგენს. სხვა ფაქტორებთან ერთად, ალბათ, ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც გაითვალისწინეს: 1996 წელს, პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში (დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე 5-6 წლით გვიან), მისი ინიციატივით კათედრას სახელი შეეცვალა და პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრა ეწოდა. ეს ნიშნავს, რომ ბავშვთა ექიმი მარტო კი არ კურნავდეს, არამედ პასუხისმგებელიც იყოს ბავშვის ჯანმრთელობასა და მის აღზრდა-განვითარებაზე. სახელის შეცვლა არც ისე ძნელია, სამაგიეროდ ახალი მიმართულების განსაზღვრაა რთული.

მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო პრობლემების მოგვარებას, ახალი სამეცნიერო კვლევების შეჯამებას, მეთოდოლოგიური სიახლეების გაცნობას, დისერტაციების განხილვას, ასპირანტებთან და რეზიდენტებთან მუშაობას უმთავრესად დღის მეორე ნახევარი ეთმობა. თუ სასწრაფო შემთხვევაა, ცხადია, ყველა საქმე გვერდზე იდება და ყურადღების ცენტრში ავადმყოფი ექცევა.

ჰქონდა პატივი, წლების განმავლობაში საქართველოს მთავარი პედიატრის მოვალეობები შეესრულებინა. ამიტომაც იცის, რომ სამედიცინო სფეროში შექმნილი მდგომარეობა გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელია, თანაც სასწრაფოდ. იგეგმება თანამშრომლობა იტალიის საერთაშორისო კლინიკური კვლევებისა და ამერიკის ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენების ცენტრებთან. ახლახან დამთავრდა ფიზიკური განვითარების ნორმატივების შემუშავება ქართული პოპულაციისათვის. ეს სამუშაო გერმანელ კოლეგებთან ერთად შესრულდა. უკანასკნელი წლების დიდი მიღწევაა მოზარდების ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის შესწავლა. შვეიცარიელებთან ერთად ჩვენი ქვეყნის 10 000 მოზარდი გამოიკვლიეს. ამერიკიდან ახლახან დაბრუნდა - როგორც მიწვეულმა ლექტორმა, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სიმპოზიუმში ამერიკის მოზარდთა მედიცინის ნაციონალური კონგრესის ფარგლებში. იგი ასევე ხელმძღვანელობს სამედიცინო ენციკლოპედიის რედაქციის პედიატრიულ ნაწილს. ეს ისე, ცნობისათვის და ამასობაში დღის მეორე ნახევარიც იწურება.

■ ■ ■

ნასადილევს ათი-თხუთმეტი წუთი BBC-სა და CNN-ს ეთმობა, უმთავრესად ინგლისურის გასაღრმავებლად. შვილები წამოეზარდნენ, მშობლების რჩევა ნაკლებად სჭირდებათ, მაგრამ მაინც ოჯახის უფროსია და როგორც Pater Femilias, ცდილობს, დედას, მეუღლესა და ქალ-ვაჟს პრობლემები მოუგვაროს. და ისევ საქმე - ამჯერად შინ. თუ გინდა, რომ თანამედროვე მედიცინას ფეხი აუწყო, ინტერნეტით საჭირო ინფორმაციასაც უნდა გაეცნო, ახალი მედიკამენტების მოძიებაც უნდა შეძლო და კოლეგებთან მიწერ-მოწერაც უნდა გააჩაღო. კაბინეტში ცალკე უდევს საქაღალდეები, პედიატრიის სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ნაშრომები, ჯერაც განუხორციელებელი პროექტები......

გენეალოგია მისი ჰობია. უმთავრესად საკუთარი და მონათესავე გვარების (ოცდაათამდე გვარს მიაკვლია) ისტორიითაა გატაცებული, თუ საერთოდაც შეიძლება ამას მხოლოდ გატაცება უწოდო. ამზადებს მონოგრაფიას პაპამისზე, მამამისზე და იმ კათედრაზე, რომელსაც ახლა თავად უდგას სათავეში. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ცდილობს, ყოველდღე ერთი გვერდი მაინც დაწეროს.

9 საათზე ეკრანისკენ გააპარებს თვალს და თუ ანონსები მოეწონება, უფრო დიდხანს ყოვნდება ტელევიზორთან. ყველა საღამო, ცხადია, ერთნაირი არ არის. ზოგჯერ სტუმარი ეწვევა, ზოგჯერ - თავად სტუმრობს ან კონცერტზე მიდის, მაგრამ ასე უმთავრესად შაბათ-კვირას ხდება. სადაგ დღეებში მთელი დრო მედიცინას ეთმობა. კითხვისთვის გვიანი საღამოა განკუთვნილი. ხან რას კითხულობს, ხან - რას. საყვარელი წიგნები ერთ თაროზეა შემოდებული. ძილის წინ რამდენიმე ერთად ჩამოაქვს. უპირატესობა რომელიმე მათგანს ბოლო წუთებში ენიჭება. წიგნების თაროზე საყვარელი ავტორები ხშირად ბუკინისტური მაღაზიიდან ხვდება. ახალი გატაცება - ვიქტორ სუვოროვის ისტორიული თხზულებები და კრისტა ვოლფის "მედეა". ხუმრობით ამბობს: "უცხო ენაზე კითხვა საუკეთესო საძილე საშუალებაა. ერთი-ორი გვერდი და ... ტკბილად მეძინება".

■ ■ ■

ყარამან ფალავას გამონათქვამებიდან:

"თუ შენი ქმედება ბავშვისა და მოზარდის კეთილდღეობას ემსახურება, პატრიოტი ხარ, თუ არადა, ყველაფერი ლიტონი სიტყვებია".

"როდის შეიძლება კაცი ბედნიერი იყო? როცა საკუთარი თავის ერთგული ხარ და ზნეობრივ მაქსიმებს არ ღალატობ".

"საოცრად მომწონს ლუთერისეული: ამაზე ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს".

"საყვარელი გმირი – დონ კიხოტი".

"გარემოსგან გარიყვა ექიმისთვის დაუშვებელი ფუფუნებაა. შეშფოთებული მშობელი გირეკავს და დახმარებას გთხოვს, შენც ვალდებული ხარ, ყველა საქმე გვერდზე გადადო და საკუთარი თავისთვის განკუთვნილი დრო ისევ პაციენტს მოახმარო".

"მიღებული ჯილდოებიდან განსაკუთრებით ვამაყობ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით, რომელიც საზოგადოება "ცოდნამ" სამედიცინო სფეროს პოპულარიზაციისათვის მომანიჭა".

"ძველი ლათინური გამოთქმაა, დაახლოებით ასე ჟღერს: მედიცინა ყველა ხელოვნებას შორის ყველაზე კეთილშობილია. სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე ნამდვილად ასე მგონია".

"24 საათი თითქოს ბევრიცაა და ცოტაც. როგორც ერთ წვეთ წყალში აისახება მთელი ოკეანე, 24 საათიც მთელი ცხოვრების კვინტესენციაა".

"პლუტარქესთან წამიკითხავს: ერთი მეტად დამსახურებული სპარტელი მოღვაწე არ აირჩიეს საპატიო საკრებულოში, რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა. ამ კაცის პასუხი ასეთი იყო: ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სამშობლოში ჩემზე უკეთესი 300 კაცი მოიძებნაო".

■ ■ ■

ნეტავ, რამდენი უკეთესი ექიმია საქართველოში, თბილისსა თუ პირველ კლინიკურ საავადმყოფოში? ამ სახიფათო კითხვაზე პასუხი ალბათ არ არსებობს, მაგრამ ასე მგონია, სამასჯერ სამასიც რომ აღმოჩნდეს, ყარამან ფალავა იმ სპარტელივით ბედნიერი იქნება.

bp btc SCP South Caucasus Pipeline

## სოფელს წყალი დაუბრუნეს

BP-სა და მისი BTC/SCP პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ნავთობსადენის აღმოსავლეთ ნაწილში არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმი ახორციელებს "მერსი ქორი"-ს ხელმძღვანელობით, მარნეულის რაიონში მთელი რიგი პროექტები სრულდება.

სოფელ ჯანდარი II - ში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის პროექტი დასრულდა. "საბჭოთა კავშირის დაშლამდე წყალი ჩვენს სოფელს ორი წყალსაქაჩი სადგურის მეშვეობით მიეწოდებოდა: მაშინ ელექტროენერგიის ხარჯის დაფარვა პრობლემას, მოგეხსენებათ, არ წარმოადგენდა. ძველი სისტემის დაშლის შემდეგ კი ვწვალობდით, წყალს ცისტერნებით ვყიდულობდით, ერთი ცისტერნის ფასი კი 12-15 ლარია, რაც ჩვენს ხალხს საგრძნობლად აზარალებდა" - გვითხრა ადგილობრივი თემის საინიციატივო ჯგუფის ლიდერმა, ბ-მა მიხეილ გუსეინოვმა. - "ამიტომ, როდესაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ BP ჩვენი სოფლებისთვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაში დაგვეხმარება, "მერსი ქორის" წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პრიორიტეტად სასმელი წყლის სისტემის ამოქმედება დავასახელეთ".

ადგილობრივმა თემმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პროექტის რეალიზებაში. სწორედ მათი ძალებით მოხდა ახალი პროექტის განხორციელება: ინჟინრებმა სრულიად ახალი სისტემა შექმნეს, რომლის მუშაობის დროს სოფელში წყლის მიწოდებისას ელექტროენერგიის ხარჯი მინიმუმამდეა დაყვანილი.

ახლა ჯანდარი II-ში მცხოვრებ 2 ათასამდე ადამიანს წყალი ყოველდღე მიეწოდება.

Mercy Corps

## არქიტექტურის კონკურსი

ქ. თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს ადგილობრივი მნიშვნელობის კონკურსს ქ. თბილისში სააკაძის მოედნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობისა და შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო და საოფისე შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 11-დან 24 მაისამდე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. აღმაშენებლის გამზირი 89/24 მე-3 სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

**ტელ: 22-74-02, 96-86-58**
**ფაქსი: 95-99-97**
**ელ-ფოსტა archunion-geo@yahoo.com**

## ვაკანსია

შპს "არტი", Procter&gamble-ისა და Gillette-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე. კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ**
**ფაქსზე: 94-18-94**
**ელ-ფოსტა: vacansy@arti.ge**

# აშშ საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის შეწყვეტას ითხოვს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას, მისი თქმით, შეერთებული შტატების ღრმა რწმენით, ეს პრობლემები ომით ვერ მოგვარდება.

**"აშშ ამ კონფლიქტების მოგვარების მიზნით, სამხედრო ძალის გამოყენებას მხარს არ დაუჭერს. აუცილებელია, მოიძებნოს პოლიტიკური გადაწყვეტილება,"** – თქვა მან.

ამასთან, რაისმა სენატორებს შეახსენა, რომ თბილისში პრეზიდენტი ბუში ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის და **"მრავალეროვნული დემოკრატიის მშენებლობის აუცილებლობაზე"** საუბრობდა.

**"თუ თითოეული სეპარატისტული რეგიონი გამოყოფას დაიწყებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისგან არაფერი დარჩება. ასე რომ, თავად საქართველოსთვისაა უკეთესი, თუ ის ეროვნული უმცირესობების უფლებებს დაიცავს და მათ საშუალებას მისცემს, თვითონ გაუძღვნენ საქმეებს ადგილობრივ დონეზე,"** - დასძინა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

იმ შემთხვევაში, თუ 16 მაისამდე ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით კონკრეტული შედეგები არ იქნება, საქართველო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 10 მარტს მიღებულ დადგენილებას აამოქმედებს, რომელიც რუსული ბაზების კანონგარეშედ გამოცხადებას გულისხმობს.



*აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მოსკოვს საქართველოდან ჯარის სასწრაფოდ გაყვანისკენ მოუწოდებს.*

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობაზე საუბარი პირველი არ არის. მიმდინარე წლის მარტში აშშ-ს სენატში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელის, რესპუბლიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის ინიციატივით შევიდა რეზოლუცია სახელწოდებით "სენატის მოსაზრება რუსეთის ქმედებებზე მოლდოვასა და საქართველოსთან მიმართებაში".

**"რუსეთმა დაასრულა მოლდოვადან სამხედრო ტექნიკის გაყვანა, თუმცა დღემდე არ გაუყვანია ტერიტორიიდან საკუთარი სამხედრო ძალები, რის შესახებ 1999 წელს სტამბულში, ეუთო-ს სამიტზე დადო პირობა,"** – ნათქვამი იყო რეზოლუციაში, რომელიც მოლდოვასა და საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას მოითხოვდა.

სენატი **"რუსეთის მიერ მოლდოვასა და საქართველოსადმი 1999 წელს, სტამბულში, ეუთო-ს სამიტზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნას"** აუცილებლად მიიჩნევდა.

მარტშივე ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში "შავი ზღვის რეგიონში დემოკრატიის მომავლის" საკითხის მოსმენა გაიმართა, სადაც, ასევე, დაეთმო დრო საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნას.

სენატში რუსეთის მიერ სტამბულის შეთანხმების შესრულებაზე უარის თქმის თაობაზე მაშინ საკუთარი მოსაზრება გამოთქვა "ჯეიმსთაუნის ფონდის" ექსპერტმა ვლადიმირ სოკორმა: **"რეალურად რომ ვიმსჯელოთ, სტამბულის აღნიშნული შეთანხმება მკვდარია. 2004 წლის შემდეგ მოსკოვი ცდილობს, დაამსხვრიოს ეუთო ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის დაბლოკვისა და რიგი მოქმედებების შეზღუდვის გზით. რუსეთს ეუთო-ს მოკვლა არ სურს, მაგრამ უნდა, დააშინოს და შემდეგ დასუსტებული ორგანიზაცია გამოიყენოს,"** – აცხადებდა სოკორი და მიანიშნებდა, რომ დადგა დრო, რომ საქართველო და მოლდოვა ჩამოშორებოდნენ ეუთო-სა და საერთაშორისო ორგანიზაციებს და, ეროვნულ სუვერენიტეტსა და საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მოეძებნათ გზა, რომელიც რუსეთს საკუთარი სამხედრო ძალების გაყვანას აიძულებდა.

# ვლადიმირ პუტინი - ილუზიებსა და რეალობას შორის



მარკუს ცინერი
Handelshblatt

როდესაც რუს მწერალს ვიქტორ ეროფეევს პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის შესახებ აზრის გაზიარება სთხოვეს, ეროფეევმა უპასუხა: "არის ორი პუტინი ან, შესაძლოა - მეტიც. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ სურს, რომ იყოს – რუსი თუ ევროპელი, დემოკრატი თუ ავტორიტარული მმართველი".

ეს სიტყვები სწორედ იმ მწერალმა წარმოთქვა, რომელმაც სულ ახლახან გამოაქვეყნა თავისი ავტობიოგრაფიული რომანი "კარგი სტალინი". ეს იყო 2004 წელს, პუტინის გაპრეზიდენტებიდან 4 წლის შემდეგ, ხოლო მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე კიდევ ოთხი წელი რჩებოდა. შესაძლოა, ოდესმე ახალი წიგნი გაჩნდეს მსგავსი სათაურით – "კარგი პუტინი". რადგან რუსეთის პრეზიდენტი ისეთ გზას ადგას, რომ მისი, როგორც პოლიტიკოსის, იმიჯი რუსული მითოლოგიის საფუძვლებში, გამონაგონსა და რეალობას შორის დაიკარგება.

პუტინი ჯერ კიდევ არ იყო პრემიერი, როდესაც 1999 წლის ზაფხულის დასაწყისში ის ყვავილების თაიგულით მივიდა კრემლის კედელთან. ის იური ანდროპოვის საფლავს მიუახლოვდა, ქვაზე ყვავილები დააწყო და გარკვეული პერიოდი გაუნძრევლად იდგა - თითქოს ლოცულობდა. ამის შემდეგ პუტინი პრემიერ-მინისტრი გახდა.

მაშინ, როდესაც პუტინი ჯერ კიდევ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო, გასცა განკარგულება, რომ მოსკოვში, ლუბლიანკაზე, სუკი-ს შენობის წინ ანდროპოვისთვის მემორიალური დაფა დაედგათ. პუტინი მემორიალის გახსნას ესწრებოდა. ამის შემდეგ იგი ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტად აირჩიეს.

პუტინი ანდროპოვს პატივს სცემს, ისევე - როგორც ბევრი რუსი, საბჭოთა მოქალაქე. პარტიულ ლიდერზე, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სუკს, უამრავი ლეგენდა დადის - ანდროპოვს უყვარდა ამერიკული სვინგი, ანდროპოვი წერდა ლექსებს, ანდროპოვი ებრძოდა კორუფციას და ალკოჰოლიზმს. მაგრამ, ანდროპოვი 1984 წელს გარდაიცვალა, საბჭოთა კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად დანიშვნიდან თხუთმეტიოდე თვის შემდეგ. უეცარმა გარდაცვალებამ ის უკვდავად აქცია. ალბათ, როგორ კარგად იქნებოდა ყველაფერი საბჭოთა კავშირში, ანდროპოვს მეტ ხანს რომ ეცოცხლა. მაგრამ, იგი შეცვალეს გორბაჩოვმა, ელცინმა და პუტინმა.

პუტინს მისი წინამორბედების მემკვიდრეობა არ მოსწონს. შესაძლოა, ის ამ ქრონოლოგიაში თავს კარგად ვერ გრძნობს. აპრილის ბოლოს ფედერალური კრებისთვის პრეზიდენტის ყოველწლიურ მიმართვაში პუტინი ბიუროკრატიულ აპარატს მიწასთან ასწორებდა, აკრიტიკებდა საგადასახადო სტრუქტურების მხრიდან "ტერორს", დასასრულს კი საბჭოთა კავშირის დაშლას მან გასული საუკუნის "უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა" უწოდა. ანდროპოვიც იგივეს იტყოდა. არა, ის ამ ყველაფერს შეაჩერებდა. პუტინს დიდი ამოცანა აქვს შესასრულებელი – მან ნამსხვრევები უნდა შეაგროვოს, თუმცა არ იცის, რა ქნას და, რაც უარესია - რა უყოს სხვა დანარჩენს.

ეს არ იციან იმ ავტორებმა, რომლებიც რუსეთსა და პუტინზე წერენ. თუმცა, ხვდებიან, წარუმატებელი პოლიტიკის მიუხედავად, ჯერ კიდევ რატომ უჭერენ მას მხარს რუსები - "იმიტომ, რომ პუტინი ძალიან ჰგავს ანდროპოვს. მიიჩნევენ, რომ პუტინი მისი გზის გამგრძელებელია", - წერს ოლგა კრიშტანოვსკაია საკუთარ წიგნში "რუსული ელიტის ანატომია". სწორედ ანდროპოვის მიბაძვისთვის, განდიდების ილუზიის ქონისათვის და სიამაყისთვის, ხალხი მზად არის, უარი თქვას მომავალ დემოკრატიზაციაზე. მაგრამ, რეალობა ასეთია: რუსეთი კვლავ რჩება ძალზე საბჭოთა სახელმწიფოდ, თუმცა - დიდი ძალის, უდიდესი ტერიტორიის და ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების ნახევრის გარეშე.

პუტინის პოლიტიკური კურსი ამ ორ პოლუსს შორის მერყეობს – რა შეიძლება ყოფილიყო და რა არის სინამდვილეში. ბევრი დამკვირვებელიც კი ვერ ხვდება, თუ რომელ პუტინს მიანიჭოს უპირატესობა - იმას, რომელიც დემოკრატიულადაა განწყობილი, თუ იმას, რომელიც ანტიდემოკრატიული მეთოდებით მოქმედებს. ერთ-ერთი ასეთი პოზიციაა აღწერილი ჟერნო ერლერის წიგნში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც, ამავდროულად, ფედერალური რესპუბლიკის რწმუნებულია მოსკოვთან სამოქალაქო საზოგადოებრივი დიალოგის წარმოებაში, პუტინზე წიგნს წერს უცნაური სათაურით - "რუსეთი მოემართება". ერლერი აღწერს იმას, რაც ხდებოდა ურალამდე და მის შემდგომ ორ წელიწადს. თუ ვინმეს ფაქტობრივი ინფორმაციის მიღება სურს, ის ამას აღნიშნულ წიგნში ამოიკითხავს.

ბესლანი, ხადარკოვსკი, უკრაინა – ავტორი ამ სამ მაგალითს განიხილავს. თუმცა, გაურკვეველი რჩება, რა კავშირი აქვს პუტინის პოლიტიკის ამ კრიზისულ წერტილებს ბოლო თავთან, სადაც აღმასვლასა და მოდერნიზაციაზეა საუბარი. ერლერი ტემპს იღებს 180 ფურცელზე, თუმცა ხელი მუხრუჭზე უდევს. სწორედ იმ დროს, როდესაც მოვლენათა აღწერას კრიტიკული ანალიზი უნდა მოსდევდეს, ავტორი ჩერდება.

ანა პოლიტკოვსკაიას კი სიფრთხილე არ სჭირდება. მის წიგნში "პუტინური რუსეთი" ყველაფერი ცალსახაა, ყველაფერი შოკის მომგვრელია. მამაცი ჟურნალისტი არც კი ცდილობს, გაუგოს პრეზიდენტს. ის, თითქმის, არც კი ჩანს წიგნში. გმირები არიან დანაშაულებრივ ომში გაგზავნილი ჯარისკაცები; ომში, სადაც ბრძოლის მიუღებელი მეთოდებია; ასევე - მათი დედები, რომლებიც საკუთარი შვილების გვამებს ეძებენ და მოსამართლეები, რომლებიც სამხედრო დანაშაულებებზე საქმეთა განხილვას აჩერებენ. პოლიტკოვსკაია იქ არის და თვალს ადევნებს ოდესღაც ცნობილ არმიას. ის არ მუშაობს საწერ მაგიდასთან ან არქივში, ის იქიდან წერს, იმ ადგილებიდან, რომლებზეც პუტინი ხშირად ლაპარაკობს, თუმცა იშვიათად ნახულობს.

და რაც შეეხება პუტინს? - ის ცუდ დროს დაიბადა - ძალზედ ახალგაზრდაა იმისათვის, რომ მეორე ანდროპოვად იქცეს, და უკვე ძალზედ მოხუცია საიმისოდ, რომ საბჭოთა ტვირთისგან გათავისუფლდეს. ის მითად იქცევა; მითად იმისა, რაც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო.

# შუააზიური ამბოხი ისლამისტური შეფერილობით

პირველი გვერდიდან

დილით ქალაქის ცენტრში მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. დემოსტრანტებს დაკავებული ჰქონდათ ადმინისტრაციის შენობაც. სტიქიურ მიტინგზე მთავრობისა და პრეზიდენტ ისლამ კარიმოვის გადადგომის მოთხოვნებიც გაისმა. ქალაქის ქუჩებში არსად ჩანდნენ სამართალდამცვლები

მანამდე, გამთენიისას შეიარაღებულმა პირებმა საპატიმრო დაწესებულება და ეროვნული უშიშროების სამსახურის შენობა დაიკავეს. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელთა უმრავლესობა ნახევრად ლეგალური რელიგიური დაჯგუფება "აკრომიას" წევრები და მათი მხარდამჭერები იყვნენ. მათი მიზანი იყო ხელისუფლების მიერ დაკავებულ თანამებრძოლთა გათავისუფლება.

თუმცა, მოგვიანებით სააინფორმაციო სააგენტო "ცენტრაზია"-მ გაავრცელა ამბოხებულთა წერილი, სადაც ისინი ყოველგვარ კავშირს უარყოფდნენ "აკრომიასთან" და რელიგიურ ექსტრემისტებთან.

**"ჩვენ - უზბეკეთის მეწარმეთა წარმომადგენლები, რომლებიც ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფის საფრთხის წინაშე ვიმყოფებით, უსამართლო პოლიტიკის მსხვერპლნი ვართ. ხალხის კეთილდღეობისა და ეკონომიკის აღორძინებისკენ მიმართული ჩვენი საქმიანობა სულ სხვაგვარადაა შეფასებული - მიცემული აქვს რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათი და სულ ტყუილად გვაბრალებენ არარსებული ორგანიზაციის "აკრომიას" წევრობას. ანდიჟანის ოლქის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები გამოძიების დროს ჯიუტად ცდილობდნენ ჩვენთვის ფუნდამენტალისტებისა და რელიგიური ექსტრემისტების იარლიყის მოკერებას... უდანაშაულობის მიუხედავად, სამართალდამცველები მაინც ცდილობდნენ ჩვენსა და ჩვენს ნათესავებზე ზეწოლას. სწორედ ამან გვიბიძგა, ყველა საშუალებით დაგვეცვა ჩვენი სიცოცხლე და საკუთრება. ხალხმა ხომ ყველანაირი ჩაგვრა შეიძლება მოითმინოს, უსამართლობის გარდა,"** - ნათქვამი იყო მიმართვაში.

ბუნებრივია, მიმართვა საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს, რაც მის ჭეშმარიტებაში დაეჭვების საფუძველს იძლევა – მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრეზიდენტ კარიმოვის პოლიტიკის შედეგად უზბეკეთში, თითქმის, აღარ დარჩა რაიმე სახის სერიოზული ოპოზიცია, გარდა რადიკალი ისლამისტებისა, რომელთა აქტიურობა ქვეყანაში პერიოდულად მოწყობილი ტერაქტებით გამოიხატება.

მაგალითად, გასულ წელს ისლამური ორგანიზაცია "ჰიზბ ურ ტაჰრირმა", სულ მცირე, ორი მასშტაბური ტერაქტი მოაწყო უზბეკეთის დედაქალაქში. სავარაუდოდ, ამ ფაქტებზე დაყრდნობით, გაკეთდა დასკვნა, რომ ანდიჟანში ამბოხებულები ერთ-ერთ ისლამისტურ დაჯგუფებას მიეკუთვნებიან.




*"ანდიჟანის ამბოხის" სისხლში ჩახშობა, შეიძლება, ისლამ კარიმოვისთვის "პიროსის გამარჯვებად" იქცეს.*

მაგრამ, თუ ზემოთ მოყვანილ მიმართვაში აღწერილი ვითარება სიმართლეს შეეფერება, სიტუაცია სრულიად სხვა სახეს იღებს. სხვათა შორის, გუშინ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება ანდიჟანის უწესრიგობებში დამნაშავედ მხოლოდ და მხოლოდ ისლამ კარიმოვსა და მის მიერ გატარებულ რეპრესიებს ასახელებდა, რაც, ალბათ, მნიშვნელოვანწილად შეესაბამება სიმართლეს.

ასეა თუ ისე, გუშინდელი მოვლენები ფერგანას ველზე მასობრივი პროტესტს ნამდვილად წარმოადგენდა.

**"ვთხოვთ საერთაშორისო ორგანიზაცებს - როგორიცაა გაერო, ეუთო, ასევე, რუსეთსა და აშშ-ს, შუამავლობა გაგვიწიონ, რათა სწორი შეფასება მიეცეს მიმდინარე მოვლენებს. ამჟამად ქალაქის მცხოვრებნი ქუჩაში არიან გამოსულები და ჩვენს მხარდამჭერ მიტინგს ატარებენ. აქ არიან ქალები, ბავშვები და მოხუცები. დილიდან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ხალხის მიმართულებით ისროდნენ, რათა მიტინგი დაეშალათ,"** - აცხადებდნენ ამბოხებულები შტურმის დაწყებამდე. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მათი თხოვნა დაგვიანებული იყო.

მას შემდეგ, რაც ანდიჟანში სისხლი დაიღვარა, საერთაშორისო თანამეგობრობამ საკმაოდ ფრთხილი პოზიციები დააფიქსირა. **"შეშფოთებულნი ვართ ძალადობის გამო, განსაკუთრებით - ციხიდან გამოშვებული ტერორისტული ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან,"** - განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სკოტ მაკლელანმა სპეციალურ ბრიფინგზე; ანუ ვაშინგტონმა ანდიჟანის ამბოხი ცალსახად შეაფასა ტერორისტების ნამოქმედრად. ამის შემდეგ კი კეთდება მოწოდება ორივე მხარის მიმართ, რათა მეტი თავშეკავება გამოიჩინონ. **"უზბეკ ხალხს უნდა, უფრო წარმომადგენლობითი და დემოკრატიული მთავრობა იხილოს, მაგრამ ამ მიზანს მშვიდობიანი საშუალებებით უნდა მიაღწიონ და არა – ძალადობით,"** - დასძენს მაკლელანი.

კიდევ უფრო მკვეთრი იყო მომხდართან დაკავშირებით რუსეთის შეფასებები. **"რუსეთი გმობს უზბეკეთში ექსტრემისტთა გამოხდომებს, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევად ძალისმიერ, არაკონსტიტუციურ საშუალებებს მიმართავენ. ამან უკვე გამოიწვია ადამიანთა დაღუპვა,"** - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრ იაკოვენკოს განცხადებაში. გარდა ამისა, კრემლმა მზადყოფნა გამოთქვა, დახმარება გაუწიოს "სტრატეგიულ პარტნიორს მძიმე წუთებში".

განსხვავებული პოზიცია აქვს ევროკავშირს. სააგენტო "როიტერს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრიუსელმა გუშინ უზბეკეთში მომხდარ ძალადობაში მთლიანად ხელისუფლებას დააკისრა პასუხისმგებლობა. **"პროტესტები იმ დაპირისპირების გამოხატულებაა, რომელიც ხელისუფლებამ ადამიანის უფლებებისადმი, კანონის უზენაესობისა და სიღარიბის აღმოფხვრისადმი არასაკმარისი ყურადღებით გამოიწვია,** - ამბობს ევროკომისიის წარმომადგენელი, - **ის, რაც ანდიჟანსა და ტაშკენტში ხდება, არ ამართლებს უზბეკეთის ხელისუფლების მხრიდან გამოყენებულ ძალისმიერ რეპრესიებს. უზბეკეთის ხელისუფლება უფრო შორს უნდა წავიდეს სოციალური და პოლიტიკური რეფორმების გზაზე, რასაკვირველია - ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვის პარალელურად."**

საკმაოდ დამაფიქრებელი იყო ის გარემოება, რომ ისლამ კარიმოვმა, შექმნილი ვითარების მიუხედავად, საგანგებო მდგომარეობა არ გამოაცხადა. ამის ნაცვლად, გავრცელებული ინფორმაციით, ისლამ კარიმოვი და ქვეყნის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები არეულობის დაწყებისთანავე სასწრაფოდ გაემგზავრნენ ანდიჟანის ოლქში.

შუადღისას "რია-ნოვოსტიმ" გაავრცელა ცნობა, რომ უზბეკეთის ხელისუფლება აჯანყებულებთან მოლაპარაკებას ცდილობს. იგივე ცნობით, ამბოხებულებს მძევლად ქალები და ბავშვები ჰყავთ აყვანილი.

**"მთელი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები ჰოკიმიატში (ადმინისტრაციის შენობა) გამაგრებულ ამბოხებულებსა დ ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. შეირაღებული პირები, რომელთაც წინ ბავშვები და ქალები ჰყავდათ აფარებული, არანაირ კომპრომისზე არ წავიდნენ,"** - ასე გაამართლა უზბეკეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა ძალისმიერი ოპერაციის დაწყება.

საღამოს ცნობილი გახდა, რომ ანდიჟანის ადმინისტრაციის შენობა სამთავრობო ძალებმა აიღეს, ხოლო კარიმოვი უკან, ტაშკენტში დაბრუნდა. ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაციით, ანდიჟანში შეტაკებების შედეგად დაიღუპა - 9 და დაიჭრა 34 ადამიანი. თუმცა, როგორც ერთ-ერთი ანდიჟანელი ოპოზიციონერი საიჯახონ ზაინაბიტდინოვი სააგენტო "ფერგანა.რუ"-სთან საუბრისას აღნიშნავს, მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს.

უზბეკური დამოუკიდებელი სააგენტო "თავისუფალი უზბეკეთი" აცხადებდა, რომ "ანდიჟანის ამბოხის" სისხლში ჩახშობა, შეიძლება, ისლამ კარიმოვისთვის "პიროსის გამარჯვებად" იქცეს. **"უკვე მთელი განათლებული კაცობრიობისთვის ცხადია, რომ საუბარი არ არის "ცენტრალური აზიის ისლამური რადიკალიზმისგან მხსნელ" ისლამ კარიმოვსა და "ხალიფატის აღდგენის" მსურველთა დაპირისპირებაზე. სახალხო აჯანყებების (სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს აჯანყება ანდიჟანის ოლქში) მიზეზი იყო - ფერგანის ველის მოსახლეობის უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უზბეკეთის მოქალაქეთა ელემენტარული უფლებებისა და თავისუფლებების მრავალწლიანი ჩახშობა,"** - ნათქვამია ერთ-ერთი ოპოზიციური მოძრაობის განცხადებაში.

## ოთხი ობიექტიდან ორი გაიყიდა

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გუშინ აუქციონზე 4 ობიექტი გამოიტანა, საიდანაც ორი გაიყიდა. 140 000 დოლარად გაიყიდა სს "გლეხური ეზოს" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული 17 საფრინველე 10760 კვ.მ. მიწის ფართობით. საფრინველეს საწყისი ფასი 135 000 აშშ დოლარი იყო.

86 000 დოლარად გაიყიდა შპს "პროექტი-21" 8484 კვ.მ. მიწის ფართობით, კომპანია საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს. მისი საწყისი ფასი 85 000 აშშ დოლარი იყო. აღნიშნული ობიექტები ფიზიკურმა პირებმა შეიძინეს.

გუშინვე აუქციონზე გამოტანილი იყო სს "საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სასადილოს შენობა 127 კვ.მ. მიწის ფართობით, (საწყისი ფასი 30 000 აშშ დოლარი) და შპს სს "საქსურსათმანქანის" კაპიტალიდან ამოღებული ძველი საწარმოო შენობა 1755 კვ.მ. მიწის ფართობით, (საწყისი ფასი 155 000 აშშ დოლარი). მათზე განაცხადები არ შემოსულა.

აუქციონის დასრულებისთანავე სამინისტროში შპს "კატრექსის" საპრივატიზაციო კონკურსში წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნა. კონკურსში 3 ფიზიკური პირი მონაწილეობდა. გამარჯვებულად "კატრექსის" გენერალური დირექტორი ლალი ჟღენტი დასახელდა. ლალი ჟღენტი, კონკურსის პირობების თანახმად, კომპანიის შესასყიდად ერთი თვის განმავლობაში 300 000 დოლარს გადაიხდის და საწარმოს პროფილს შეინარჩუნებს. კომპანიის პროფილი ფარმაცევტული საქმიანობაა.

*24 საათი*

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს დასახელება შეეცვალა

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 13 მაისის დადგენილებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალების შესახებ დებულებაში" ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს დასახელება შეეცვალა და, ამიერიდან, მას ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი ეწოდება.

სებ-ის საბჭოს მდივნის, გურამ აბაშიძის განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ბანკისათვის (რომელიც ფუნქციურად სებ-ის ფილიალს წარმოადგენდა) დასახელების შეცვლა ამ რეგიონის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურიდიულ სივრცეში დაბრუნებამ განაპირობა. შესაბამისად, ეს იურიდიული კაზუსი გასწორდა და საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი ჩვეულ რეჟიმში, სხვა რეგიონული ფილიალების მსგავსად განაგრძობს საქმიანობას, როგორც ეროვნული ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფი.

საქართველოს ეროვნული ბანკის აჭარის ფილიალში ერთი კვირის წინ საკადრო ცვლილება განხორციელდა და მის მმართველად ასლან მახაძე დაინიშნა.

ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, აჭარის ანალოგიურად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკსაც შეეცვალა დასახელება და იგი საქართველოს ეროვნული ბანკის სოხუმის ფილიალად გადაკეთდა.

*24 საათი*

## ფერმერები პირუტყვის მიერ გაძოვილი ბალახისთვის მოსაკრებელს აღარ გადაიხდიან

ფერმერები პირუტყვის მიერ გაძოვილი ბალახისთვის მოსაკრებელს აღარ გადაიხდიან. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი, გაძოვილი ან თივის სახით შეჭმული მწვანე მასის მოსაკრებლის გაუქმების თაობაზე, გუშინ ინიციატივით გამოვიდა.

როგორც პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ხევიაშვილმა განაცხადა, საგადასახადო ინსპექტორები ფერმერებს აძალებდნენ, აღნიშნული მოსაკრებელი გადაეხადათ.

**"საგადასახადო ინსპექტორებს გაუჩნდათ სურვილი, ფერმერები ამ მოსაკრებლით დაებეგრათ. ეს პრობლემები რომ აღარ წარმოიშვას, აუცილებლად მიგვაჩნია, აღნიშნული მოსაკრებელი საერთოდ გაუქმდეს,"** - განაცხადა ხევიაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნული ცვლილების ინიციატორი აგრარულ საკითხთა კომიტეტია, თუმცა აღნიშნული კომიტეტი მოსაკრებლის თაობაზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტთან ერთად მუშაობდა. შესაბამისი ცვლილება "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის "მოსაკრებლის შესახებ" კანონში უნდა შევიდეს. აღნიშნული კანონპროექტი გუშინ პარლამენტმა მეორე მოსმენით განიხილა.

*მედია-ნიუსი*

## მედიცინა



გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართა ფართომასშტაბიანი სამეცნიერო კონფერენცია, ორგანიზებული საქართველოს ჰიპერტონიის შემსწავლელი საზოგადოებისა და ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "სერვიეს" მიერ. ღონისძიება მიეძღვნა მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას - არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობას. განხილულ იქნა არტერიული ჰიპერტენზიის თერაპიის ახალი პრინციპი - ე.წ. ფიქსირებული დაბალდოზიანი კომბინაციის გამოყენება. საუბარია პრეპარატთა პოტენციურად ახალ თაობაზე, როცა მედიკამენტის ერთი ტაბლეტი აერთიანებს ორი სხვადასხვა პრეპარატის აქტიურ სუბსტანციას, ჩვეულებრივზე ნაკლები დოზებით. ასეთი კომბინაცია გაცილებით უფრო ეფექტურად აქვეითებს არტერიულ წნევას, ვიდრე ცალკე აღებული თითოეული კომპონენტი, რაც აიხსნება მედიცინაში კარგად ცნობილი მოვლენით, როცა ერთი პრეპარატი აძლიერებს მეორის მოქმედებას. ამასთან, დაბალდოზიანი კომბინაცია, სწორედ კომპონენტთა შემცირებული დოზებიდან გამომდინარე, ხასიათდება პრაქტიკულად იდეალური ამტანობით, არ იწვევს რა ჩვეულებრივი ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტებისთვის დამახასიათებელ "გვერდით მოვლენებს" (როგორიცაა თავის ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხვევა, კიდურების შეშუპება, ხველა, ხშირი შარდვა).

ქართველ კარდიოლოგებს ფრანგმა სპეციალისტმა, ბატონმა სტეფან მასკარომ წარმოუდგინა დღესდღეობით ერთადერთი ფიქსირებული დაბალდოზიანი კომბინაცია - პრეპარატი ნოლიპრელი. კონფერენციაზე განხილულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ნოლიპრელი, ფართოდ გავრცელებული ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტების - პრესტარიუმისა და არიფონის - კომბინაცია, არა მარტო ეფექტურად აქვეითებს არტერიულ წნევას, არამედ საიმედოდ იცავს პაციენტს არტერიული ჰიპერტენზიის უმთავრესი გართულებებისაგან, როგორიცაა მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი, გულის უკმარისობა. ნოლიპრელი პრაქტიკულად არ ხასიათდება გვერდითი ეფექტებით და მისაღებადაც ადვილია - თითო ტაბლეტი ერთხელ დღეში, დილის საათებში.

კონფერენციის დასასრულს თავმჯდომარემ, საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფ. ბეჟან წინამძღვრიშვილმა, ისევე, როგორც სხვა ცნობილმა კარდიოლოგებმა, აუდიტორიას გაუზიარეს ნოლიპრელის გამოყენების საკუთარი გამოცდილება და მოუწოდეს მკურნალობის აღნიშნული პრინციპის დანერგვისაკენ ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში.

## როგორი იქნება TBILISI CITY თბილისში?

*თუკი ყველაფერი ისე წავა, როგორც ეს ავტორებს აქვთ ჩაფიქრებული, მალე მტკვრის მარცხენა სანაპირო, უფრო ზუსტად კი, მარჯანიშვილის მიმდებარე ტერიტორია, დედაქალაქში ერთ-ერთი ულმაზესი ადგილი გახდება. დაზუსტებული არქიტექტურული პროექტი ჯერ არ არსებობს, თუმცა, თუკი ნათქვამს ვენდობით, უზნაძისა და მისი მეზობელი ქუჩების იერსახეში მნიშვნელოვანი კორექტივები შევა და მას ახალი სახელი - "თბილისი სითი" დაერქმევა.*




*ირაკლი კირაულიძე თბილისი სიტიზე საუბრობს.*

ცოტა ხნით დაივიწყეთ ძველი პლეხანოვი და მისი ეგრეთ წოდებული იტალიური ეზოები. მის ნაცვლად კი, უოლსტრიტის მსგავსი ქუჩები წარმოიდგინეთ. გეთანხმებით, რომ ცოტა რთულია, თუმცა - სავსებით შესაძლებელი.

ამის გაკეთება კი "თიბისი ბანკმა" და საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ - GRDC საკუთარ თავზე აიღეს. მათ შორის თანამშრომლობის მემორანდუმს კი გუშინ მოეწერა ხელი.

GRDC-ის გენერალური დირექტორის ირაკლი კირაულიძის განცხადებით, GRDC ადგილობრივი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრებით, ინვესტიციებს ჩადებს საქართველოს მასშტაბით ინფრასტრუქტურულ პროექტებში. კომპანია 5 წლის განმავლობაში 130 მილიონი ლარის გაღებას გეგმავს.

GRDC ამჟამად, "თბილისი სითის" გარდა, "კინო-ქალაქის" მშენებლობის პროექტებზე მუშაობს. კილაურიძის განმარტებით, "კინო-ქალაქის" პროექტი ითვალისწინებს ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე შემეცნებით-გასართობი და სავაჭრო ცენტრის შექმნას და საქართველოს მასშტაბით კინოთეატრების აღდგენას.

მისი ინფორმაციით, სარეაბილიტაციო ქსელი ქართული კინემატოგრაფიის განვითარებისთვის დამატებითი ფინანსების მოძიების საშუალებას იძლევა.

"თბილისი სითი" პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მარჯანიშვილისა და უზნაძის ქუჩებზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურით საქმიანი ცენტრის ჩამოყალიბება.

კომპანიამ კონსულტანტად მოიწვია ცნობილი არქიტექტორი მოშე საფდი, რომელმაც გუშინ "TBC ბანკის" ცენტრალურ ოფისში, მის მიერ ისრაელსა და აშშ-ში განხორციელებული, წარმატებული პროექტების სლაიდები წარმოადგინა.

**24 საათი**

## ხელისუფლება კავშირგაბმულობის სფეროში წესებს ამარტივებს

### რეგულირების საფასური კი ეტაპობრივად შემცირდება

თამარ ივანიძე

აღმასრულებელი ხელისუფლება კავშირგაბმულობის სფეროში ლიცენზირებისა და კონტროლის წესებს ამარტივებს. პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონპროექტი, რომელიც კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა წარადგინა.

მისი განცხადებით, აღნიშნული კანონპროექტი ფოსტისა და კავშირგაბმულობის შესახებ კანონს შეცვლის. ახალი კანონის შექმნის აუცილებლობა მან იმ მიზეზით ახსნა, რომ სფეროში კონკურენცია მნიშვნელოვნად გაზრდილია და დამატებით კონტროლს აღარ საჭიროებს.

კანონპროექტის მიხედვით, ამ სფეროში არსებული 34 ლიცენზიიდან 32 გაუქმდება. კონკრეტულ ორგანიზაციას ამ სფეროში საქმიანობის დასაწყებად კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში მხოლოდ დარეგისტრირება სჭირდება, რის შემდეგაც იგი ლიცენზიას ავტომატურად მიიღებს. ამასთან, სიხშირეების განაწილება მხოლოდ ღია აუქციონით მოხდება და აქედან მიღებული თანხები არა მარეგულირებელი კომისიის ანგარიშზე, არამედ პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება.

ქიტოშვილის თქმით, წელს ისინი 15 მლნ ლარის შემოსავალს ვარაუდობენ.

კანონპროექტით შესაძლებელი ხდება ასევე სიხშირეების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება, რომლითაც მფლობელს მისი გადაყიდვის საშუალება მიეცემა.

აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი კომისიის შემოსავლები, გარკვეულწილად, მცირდება.

კომუნიკაციების ბიზნესში დასაქმებული კომპანიებისთვის რეგულირების საფასური ეტაპობრივად შემცირდება. ამის შესახებაც პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" ახალი კანონპროექტი კომისიის ბიუჯეტის დაგეგმარებას ითვალისწინებს, რაც სიახლეა.

**"ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მარეგულირებელი კომისია კომპანიებიდან რეგულირების საფასურის სახით ფინანსდება. კომპანიები კომისიას ბრუნვის ერთ პროცენტს უხდიან. ახალი კანონპროექტის მიხედვით, კომისია ვალდებულებას იღებს, ყოველწლიურად საკუთარი ბიუჯეტი შეიმუშაოს და რეგულირების საფასური მხოლოდ ამის შემდეგ, შესაბამისად დააწესოს,"** - განაცხადა ქიტოშვილმა.

მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ კომუნიკაციის სექტორი წლიდან წლამდე ვითარდება, ყოველწლიურად კომპანიებს რეგულირების სულ უფრო დაბალი საფასურის გადახდა მოუწევთ. **"კომპანიებს ამჟამად ტვირთად აწევთ კომისიის შენახვის ვალდებულება. დარგის განვითარების პირობებში, რეგულირების საფასურის პროცენტული განაკვეთი აუცილებლად შემცირდება,"** - განაცხადა ქიტოშვილმა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 5 აგვისტოს ფიჭური ქსელის კავშირგაბმულობის კომპანიებისთვის მორიგ აუქციონს გამართავს.

როგორც კომისიაში "მედიანიუსს" განუცხადეს, კონკურსი 2000 მეგავატი სიხშირის დიაპაზონში ფიჭურ სატელეფონო კავშირზე ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადდა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს კომისიაში განაცხადების წარდგენა 25 მაისის 17 საათამდე შეუძლიათ. საწყისი სალიცენზიო თანხა 8 491 392 ლარია.

როგორც კომისიაში განაცხადეს, ჯერჯერობით განაცხადი არც ერთ კომპანიას არ წარუდგენია.

25 მაისს გაიმართება მეორე აუქციონი ასევე ფიჭურ სატელეფონო კავშირზე ლიცენზიის მოსაპოვებლად 800 მეგავატი სიხშირის დიაპაზონში, რომელიც ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი სამმა კომპანიამ - "მაგთიკომმა", "იბერიატელმა" და "ჯენტო-სერვისმა" წარადგინეს. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღება კომისიაში 14 აპრილს დასრულდა.

საწყისი სალიცენზიო თანხა 5 807 ათას ლარს შეადგენს.

## ენგურჰესის გაჩერება კვლავ გადაიდო

ენგურჰესის გაჩერების ვადები კვლავ უცნობია. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ეს პროცესი, სავარაუდოდ, ერთი წლით გადაიდება. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, ამის მიზეზი ჰესის გაჩერებით გამოწვეული ელექტროდეფიციტის შევსების ალტერნატიული წყაროს არარსებობაა. თუმცა, მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ენგურჰესის გაჩერებით გამოწვეული ელექტროენერგიის დეფიციტი მე-3 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებული ენერგიით, ან თურქეთიდან და სომხეთიდან შემოტანილი დენის იმპორტით შეივსებოდა.

როგორც ენგურჰესის გენერალურმა დირექტორმა ლევან მებონიამ განაცხადა, ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ არის. ამჟამად ენგურჰესიდან კვლავ ხდება წყლის გამოშვება, მესამე და მეოთხე აგრეგატები კი მოთხოვნის შესაბამისად მუშაობს. ამჟამად, ჰესი პიკის საათებში ქვეყნის ელექტროსისტემას 700 მეგავატ ელექტროენერგიას აწვდის, დღის განმავლობაში კი - 300-დან 500 მეგავატამდე ელექტროენერგიას.

აღსანიშნავია, რომ ენგურჰესის გაჩერება 11 მაისიდან, დაახლოებით 20 დღით იგეგმებოდა. როგორც ენგურჰესის გენერალური დირექტორი ლევან მებონია რამდენიმე დღის წინ აცხადებდა, **"ენგურჰესი, სავარაუდოდ, 20 დღით გაჩერდება. უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები ჰესის გაჩერებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხდება ჭარბი წყლის გამოშვება დღე-ღამეში 350 კუბ.მეტ წამში მოცულობით."** ამ დროში უნდა მომხდარიყო სადერევაციო გვირაბის დათვალიერება - სკანირება, იქ არსებული დაზიანებების აღმოჩენა-დაფიქსირების მიზნით. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება კი მომავალი წლისთვის იგეგმებოდა.

*24 საათი*

## ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს საკომისიო გადასახადებს უმცირებს

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების და სადეპოზიტო აუქციონებზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების შემცირების, ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონებზე ვადიანობის ზრდის და კომერციული ბანკების მომსახურებისათვის საკომისიო გადასახდელის შემცირების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ეროვნულ ბანკში "24 საათს" განუცხადეს, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების შემცირების გადაწყვეტილება ბოლო პერიოდში საკრედიტო და საფინანსო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენციას უკავშირდება.

ეროვნული ბანკის თავმჯდომარის რომან გოცირიძის გადაწყვეტილებით, 7-დღიან საკრედიტო აუქციონებზე შესყიდული რესურსების მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, აქამდე მოქმედი წლიური 5 პროცენტის ნაცვლად, 2 პროცენტით განისაზღვრა; 28-დღიან აუქციონებზე - განაკვეთი 9-დან 5 პროცენტამდე შემცირდა, 3 თვემდე ვადით დეპოზიტების მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი - 10-დან 6 პროცენტამდე, რეპო აუქციონებზე რესურსის შესაძენად მაქსიმალური განაკვეთი - წლიური 10-დან 4 პროცენტამდე.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების 56 და 84-დღიანი აუქციონებიც ჩატარდება, სადაც რესურსის შესაძენად მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი 6 პროცენტით განისაზღვრა.

სებ-ის ინფორმაციით, კომერციული ბანკები, საკრედიტო რესურსების აუქციონებზე მონაწილეობისათვის, ეროვნულ ბანკს მომსახურებისათვის საკომისიო გადასახდელის სახით წლიური გარიგების ოდენობის 0,1 პროცენტს გადაუხდიან. აქამდე მათ წლიური გარიგების ოდენობის 1 პროცენტის გადახდა უწევდათ.

ეროვნული ბანკის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით კომერციულ ბანკებს ახარებთ. მათი თქმით, ასეთი გადაწყვეტილება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალური განხორციელების ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია. "თიბისი ბანკის" ვიცე-პრეზიდენტის პაატა ლაძაძის შეფასებით, **"მართალია, ეს ქვეყანაში ერთბაშად ზემოქმედებას ვერ ვერ იქონიებს, თუმცა ასეთი ინსტრუმენტების გამოყენების დაწყება დროულია. ჯერჯერობით, ამას მასშტაბური ეფექტი ვერ ექნება, რამდენადაც მოთხოვნასთან შედარებით რესურსების სიმწირეა. ცხადია, ეროვნული ბანკის ქმედებამ კომერციულ ბანკებს გარკვეული ბიძგი უნდა მისცეს."**

*24 საათი*

## სომხეთი მზადაა, სამცხე-ჯავახეთის გზები გაარემონტოს

*სამცხე-ჯავახეთისადმი საკუთარ ინტერესებს სომხეთი დღეს უკვე გზების აღდგენის დაფინანსების შეთავაზებით ადასტურებს. სომხეთი, რომელიც ამ რეგიონებში დღემდეც ახორციელებდა სოციალური და ეკონომიკური შინაარსის პროგრამებს, ამ მიმართულებით გააქტიურებას გეგმავს.*

როგორც სააგენტო პრაიმ-ნიუსი იუწყება, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრანიკ მარგარიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სომხეთი მზადაა, სამცხე-ჯავახეთში საავტომობილო გზების სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობა მიიღოს.

მისი თქმით, მესამე წელია, სომხეთის ბიუჯეტში გამოიყოფა სახსრები საქართველოში მიმდინარე ღონისძიებებისთვის. კერძოდ, ეს სომხური თეატრის, გაზეთის სუბსიდირებას და სამცხე-ჯავახეთის სკოლების რემონტს შეეხება.

მარგარიანმა აღნიშნა, რომ თავის დროზე საქართველოს აწ გარდაცვლილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ამ პრობლემების გადაჭრის დაფინანსების პროცესში, საქართველოსთან ერთად, სომხეთის მონაწილეობის შესახებ.

**"სომხეთს ასევე აქვს ანალოგიური პოზიცია აფხაზეთთან და აჭარასთან დაკავშირებით,"** - თქვა მან.

როგორც მარგარიანმა განაცხადა, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველომ ჯერ ვერ დაამტკიცა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სოციალური გეგმა, მაგრამ თუ ასეთი გეგმა რეალურად იარსებებს, სომხეთი მზადაა, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მის განხორციელებას.

**"მსოფლიო ბანკის მიერ განიხილება რეგიონული პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვანწილად სწორედ საქართველოს ეხება, და მისი სახსრებით გარემონტდება გზა ბავრიდან (სომხეთი), ახალქალაქისა და ახალციხის გავლით, ბათუმამდე,"** - თქვა პრემიერ-მინისტრმა.

სომხეთის პრემიერის ამ შეთავაზებას ოფიციალური თბილისის კომენტარი ჯერჯერობით არ მოჰყოლია. ცხადია, რეგიონული პროექტის განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს განსაკუთრებული მოსაზრებები არ ექნება, თუმცა სამცხე-ჯავახეთში მეზობელი ქვეყნის გააქტიურებას ყოველთვის ედება პოლიტიკური სარჩული, რაც საკითხისადმი განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს ხოლმე.

*24 საათი*

## საქართველოს მთავრობა პარლამენტის შენიშვნებს გაითვალისწინებს

### 2005 წლის ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით ვნებები ცხრება

*საქართველოს მთავრობა პარლამენტის შენიშვნებს გაითვალისწინებს და 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში თავდაცვის სფეროსთვის გამოყოფილ თანხებს უფრო დეტალურად გაწერს.*

აღნიშნული განცხადება მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა გააკეთა. ხუროშვილის თქმით, საბიუჯეტო ცვლილებების დეტალური გაწერა წყალდიდობით დაზარალებული რეგიონებისთვის გამოყოფილ თანხებს არ შეეხება, თავდაცვის სფეროს ხარჯები კი ტრანსფარანტულობის ფარგლებში გაიწერება.

აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ, უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძისა და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების შეხვედრაზე მიიღეს. შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ მთავრობა პარლამენტში ბიუჯეტს მომავალ ოთხშაბათს წარმოადგენს.

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების თანხის გაცემისა და გზების აღსადგენად სახსრების გამოყოფას ითვალისწინებს.

პროექტის მიხედვით, საგზაო დეპარტამენტის ხარჯების მოცულობა 15 მლნ. ლარით იზრდება. აღნიშნული თანხა გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას მოხმარდება.

5 მლნ. ლარით მოიმატებს მთავრობის სარეზერვო ფონდი, თუმცა აღნიშნული თანხის გახარჯვა მას შემდეგ იგეგმება, რაც წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობა დადგინდება.

გარდა ამისა, მთავრობა თავდაცვის სფეროსთვის 46 მილიონი ლარის გამოყოფას გეგმავს.

*24 საათი*

# „პატრულის პრესტიჟს უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა“

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" გორში საპატრულო პოლიციის ავტომანქანის გატაცების ბრალდებით დაკავებულ ზურაბ ბოჭორაძეს უკანონო პატიმრად მიიჩნევს და აცხადებს, რომ გორელმა სამართალდამცველებმა დაიჭირეს "ის, ვინც ხელში შერჩათ", სასამართლომ კი გამოძიების მიერ ჩადენილი უკანონობა დაადასტურა, ისე, რომ მოსამართლეებს საქმე არც შეუსწავლიათ.*



*"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები გორში მომხდარი უკანონობის გამო აღშფოთებას ვერ მალავენ.*

**"სიტუაცია აბსურდულია. საშინელებაა ის, რაც გორელმა სამართალდამცველებმა ჩაიდინეს, დააკავეს უდანაშაულო ადამიანი და ის ყაჩაღობაში დაადანაშაულეს. გამოძიების უკანონობას სასამართლოც დაეთანხმა. გორის სასამართლოს მოსამართლემ ქართლოს სულაბერიძემ უდანაშაულო ადამიანს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა უსაფუძვლოდ შეუფარდა. როგორც მითხრეს, პროცესის დასრულების შემდეგ მას გამომძიებლისთვის უთქვამს, - ამ საქმეს თუ არ გაამაგრებთ, დაკავებულს ერთ კვირაში გავუშვებო. საინტერესოა, თუ საქმე გამაგრებული არ იყო, მოსამართლე სულაბერიძემ როგორ შეუფარდა დაკავებულს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, მაგრამ საქმე ისაა, რომ დღევანდელი მოსამართლეები ნოტარიუსები არიან, პროკურატურის მითითებების უსიტყვო შემსრულებლები. მოსამართლეს, რომელიც უდანაშაულო ადამიანს აპატიმრებს, თანაც იცის, რომ უდანაშაულო ადამიანს ციხისთვის იმეტებს, მანტია უნდა გახადო, ბორკილები დაადო და თავად ჩასვა ციხეში",** - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე, რომელიც, გორში მომხდარი უკანონობის გამო, აღშფოთებას ვერ მალავს.

საქმე ისაა, რომ 2 მაისს გორის ცენტრიდან, სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიიდან საპატრულო პოლიციის ავტომანქანა გაიტაცეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ორმა პატრულმა შავი ფერის მანქანა, რომელსაც გორელი ბოჭორაძე მართავდა, გააჩერა და სთხოვა გამტაცებლებს დასდევნებოდნენ. ბოჭორაძე პატრულს დაეხმარა. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ მდევარმა გატაცებული მანქანა, რომელსაც საბურავი დაშვებული ჰქონდა, მიტოვებული ნახა. პატრულმა ბოჭორაძეს მადლობა გადაუხადა და ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ, თუმცა - დროებით. როგორც თეა თუთბერიძე აცხადებს, ბოჭორაძე სახლში მივიდა, დედა ნათესავთან წაიყვანა და უკან, სახლში დაბრუნებულს ოჯახის წევრებმა უთხრეს, რომ მას საპატრულო პოლიციის უფროსი რამაზ ჩოჩიშვილი (რომელიც ბოჭორაძის ბავშვობის მეგობარია) ეძებდა. ბოჭორაძემ ჩოჩიშვილს დაურეკა. საპატრულო პოლიციის უფროსმა ბოჭორაძეს სახლში მიაკითხა, შემთხვევის ადგილზე მიიყვანა, სადაც ის ორი პატრული დახვდა, რომელთაც დაეხმარა. მას შემდეგ, რაც ჩოჩიშვილის შეკითხვას – "ეს იყო?" - დაზარალებული პატრულიც დაეთანხმა, ბოჭორაძეს ბორკილები დაადეს, წინასწარი დაკავების საკანში მიიყვანეს და მოგვიანებით ყაჩაღობაშიც დაადანაშაულეს.

ერთმა პატრულმა გამოძიებას ჩვენება, ფაქტობრივად, ვერ მისცა, განაცხადა: თავდასხმის დროს მანქანაში არ ვიმყოფებოდი, ტუალეტში შევედი და როგორ გაიტაცეს მანქანა, არ შევსწრებივარო. მეორე პატრულმა კი განაცხადა, - საპატრულო მანქანაში ვიჯექი, როცა თავს დამესხნენ, თავში ჩამარტყეს, მანქანიდან გადმომათრიეს და მანქანა გაიტაცესო. მანვე განაცხადა, - გამტაცებელთა შორის ერთ-ერთი ბოჭორაძე იყოო. მისივე თქმით, ბოჭორაძე სწორედ ის პირია, ვინც დახმარების მიზნით გავაჩერეთ და ვინც უანგაროდ დაგვეხმარა კიდეცო. მოკლედ, ერთი პატრულის მიერ მიცემული ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება გახდა საფუძველი იმისა, რომ ბოჭორაძე ყაჩაღობაში ბრალდებულად გამოეცხადებინათ. გამოძიებას სხვა მტკიცებულებები არ მოუპოვებია, სხვა საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაუტარებია და არც იმ მასალებით დაინტერესებულა, რომელიც "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა მოაგროვეს.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა მანქანის გატაცების ფაქტის სამი თვითმხილველი აღმოაჩინეს და მათ ახსნა-განმარტებებიც ჩამოართვეს, რომელთა მიხედვითაც, საპატრულო პოლიციის მანქანის გატაცებისას მანქანაში პატრულები არ მსხდარან. მათ განაცხადეს, რომ პატრულისთვის თავში არავის არაფერი ჩაურტყამს - ანუ გამტაცებლებსა და პატრულს შორის არანაირი ინციდენტი არ მომხდარა. მანქანის გატაცებიდან რამდენიმე წუთში მათ დაინახეს ორი პატრული, რომლებმაც შავი ფერის მანქანა გააჩერეს.

როგორც თეა თუთბერიძე აცხადებს, გამოძიება დღემდე არ დაინტერესებულა და არ დაუკითხავს სამი თვითმხილველი. მისივე თქმით, საპატრულო პოლიციის მანქანის გატაცების გამო დაკავებული ბოჭორაძის ბრალეულობის დაზუსტების სურვილი არც მოსამართლეებს გასჩენიათ. მისი განცხადებით, მოსამართლეებმა "გორის პროკურატურის ნება საქმის შესწავლის გარეშე აღასრულეს".

გორის სასამართლოს მოსამართლის ქართლოს სულაბერიძის გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა. მოსამართლე თამაზ კაპანაძე გორელი კოლეგის ვერდიქტს დაეთანხმა. მან ბოჭორაძეს განაჩენი 15 წუთში გამოუტანა.

**"უაღრესად აღმაშფოთებელი იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თამაზ კაპანაძის გუშინდელი გადაწყვეტილება. მას საქმე არც მოუსმენია. სულ 10 წუთი მოანდომა ადვოკატისა და პროკურორის სიტყვის მოსმენას, შემდეგ გადაწყვეტილების გამოსატანად გავიდა და 5 წუთში გამოაქვეყნა სამ გვერდზე დაწერილი განაჩენი, რომლის მიხედვითაც, გორის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მან არც მოისმინა თვითმხილველთა ახსნა-განმარტებები და ის სხვა მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებით მოვიპოვეთ და რაც ბოჭორაძის უდანაშაულობას ადასტურებს. მოსამართლეებს პროფესიული ღირსების დეფიციტი აქვთ და მათი საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცილდება",** – აცხადებს თეა თუთბერიძე, რომლის თქმითაც, ბოჭორაძის საქმის შესახებ მათ მიერ მოკვლეულ მასალებს "თავისუფლების ინსტიტუტი" გენერალურ პროკურორს გაუგზავნის, საქმის ობიექტურ გამოძიებასა და უდანაშაულო ბოჭორაძის გათავისუფლებას მოითხოვს.

თუმცა, როგორც თეა თუთბერიძე აცხადებს, მას იმედი არ აქვს, რომ სიმართლე დადგინდება. **"პატრულის პრესტიჟს მალე ყველას გადაგვაყოლებენ. საპატრულო პოლიციის მანქანის გატაცების შესახებ ინფორმაცია გადაიცა ტელევიზიით. მავანმა ჩათვალა, რომ მომხდარი ფაქტით პატრულის იმიჯი შეილახა, ამიტომაც აუცილებლად უნდა დაეჭირათ ვიღაც და ეს ვიღაც აღმოჩნდა ბოჭორაძე - ადამიანი, ვინც პატრულს დაეხმარა. აი, ეს გახლავთ მომხდარი უკანონობის მიზეზი",** - განმარტავს თეა თუთბერიძე

*24 საათი*

# "სამარხს ადგილი სოფლის უხუცესებთან შეთანხმებით შევუცვალე"

**"სპეცოპერაციის შედეგად სოფელ ეცერში აღმოჩენილ სამარხთან დაკავშირებულ კვლევის საგანს წარმოადგენს ახალგარდაცვლილთა ძვლის ფრაგმენტები და ჯერჯერობით იმის განცხადება, რომ ისინი რამდენიმე წლის წინ გატაცებულ ლევან კალაძეს ან სხვა ვინმეს ეკუთვნის, არ შეიძლება",** - ასეთ კომენტარს აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი სამარხში ნაპოვნ ჩონჩხებზე ჩატარებულ ექსპერტიზაზე დაყრდნობით.

ეცერში, აფრასიძეების საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ გორაზე აღმოჩენილ სამარხთან დაკავშირებით გამოძიებას ჩვენება ამავე სოფელში მცხოვრებმა ეროსი აფრასიძემ უკვე მისცა.

ეროსი აფრასიძე უშიშროების სამსახურში გუშინ საკუთარ ადვოკატ ირმა ჭკადუასთან ერთად გამოცხადდა და დაკითხვისას განაცხადა, რომ ეცერის სამარხი გასული საუკუნისაა და ერთ-ერთ სვანურ საგვარეულოს ეკუთვნის.

**"აღნიშნული სამარხი მე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი წლის წინ აღმოვაჩინე და, ეკლესიის ტერიტორიის გასუფთავების მიზნით, ადგილი შევუცვალე. დაახლოებით, ორი თვე დამჭირდა სამარხის გადასატანად ეკლესიიდან მოშორებით. ეს ყველაფერი სოფლის უხუცესებთან შეთანხმებით გავაკეთე. ტელევიზიით ნაჩვენები ჯვარი, რომელიც სამარხზე იდო, მაშინვე ვიცანი. ის ჯვარი საკუთარი ხელით გამოვთალე, ზედ წარწერა გავუკეთე – გვფარავდეს უფალი – შემდეგ ლაკი წავუსვი",** - ასეთი გახლავთ ეროსი აფრასიძის ჩვენების მოკლე შინაარსი.

ჩვენი ინფორმაციით, ჩონჩხებთან დაკავშირებული შეკითხვების გარდა, გამომძიებლებმა ეროსი აფრასიძეს სხვა შეკითხვებზე პასუხის გაცემაც მოსთხოვეს - დადიოდნენ თუ არა აფრასიძეებთან გენერლები, მინისტრები და, საერთოდ, ცნობილი ადამიანები; რა მარკის ავტომობილებით სარგებლობდნენ აფრასიძეები. ამ კითხვებზე გამომძიებლებმა ეროსი აფრასიძისგან სასურველი პასუხები ვერ მოისმინეს. ეროსი აფრასიძის პასუხი ორი სიტყვით შემოიფარგლებოდა - **"არ ვიცი, არ მინახავს, საეჭვო არაფერი შემინიშნავს".** მოკლედ, გამოძიებამ ეროსი აფრასიძისგან ამომწურავი ინფორმაცია მხოლოდ სამარხის ისტორიის შესახებ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, სოფელ ეცერში აღმოჩენილ სამარხში არანაკლებ 29 ადამიანის ძვლების ფრაგმენტია ნაპოვნი, რომელთა უმეტესობა, სავარაუდოდ, 20 წლის წინ უნდა იყოს გარდაცვლილი.

**"ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ძვლის ფრაგმენტები უნდა ეკუთვნოდეს არანაკლებ 29 ადამიანის გვამს, რომელთაგან 16 - მამაკაცის, 5 - ქალის, ხოლო 8 ბავშვის უნდა იყოს. ძვლის ფრაგმენტების უმრავლესობა არანაკლებ 20 წლის წინ გარდაცვლილი ადამიანებისაა. რაც შეეხება 2 ადამიანის ძვლის ფრაგმენტებს, ისინი, სავარაუდოდ, 3-8 წლის წინ უნდა იყვნენ გარდაცვლილები",** - ნათქვამია ექსპერტიზის დასკვნაში. რაც შეეხება ზოგიერთ თავის ქალაზე აღმოჩენილ დაზიანებებს, რომლებიც, პირველადი ვარუდით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით უნდა ყოფილიყო მიყენებული, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ეს დაზიანებები განვითარებულია გარდაცვალების შემდგომ, ნიადაგისა და სხვა ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით.

**"გამოძიების ინტერესში არ შედის 20 წელზე მეტი ხნის წინ გარდაცვლილ პირთა ძვლის ფრაგმენტების შემდგომი კვლევა, ამიტომ ისინი დაუბრუნდება იმ ადგილს, საიდანაც მოხდა მათი ამოღება. რაც შეეხება 3-8 წლის ხანდაზმულობის 2 გვამის ძვლის ფრაგმენტებს, ექსპერტიზის მიერ გაკეთდა შესაბამისი მითითებები დამატებითი საკვლევი მასალების წარმოდგენასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს უფრო დეტალური გენეტიკური კვლევის ჩატარება. ამის შემდგომ შესაძლებელი გახდება მათი გადაგზავნა პარტნიორ საზღვარგარეთულ ლაბორატორიაში, დნმ-ს მონაცემების მიხედვით, პიროვნების საბოლოო იდენტიფიკაციისათვის",** - განმარტავს ვანო მერაბიშვილი.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................

საკონტაქტო ტელეფონი.................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოტიპიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური [illegible];
2. მეტროს სადგური [illegible];
3. მეტროს სადგური [illegible];
4. მეტროს სადგური [illegible];
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible];
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური [illegible];
10. [illegible] 45 [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" [illegible] წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".


# ოსმა კრიმინალებმა უცხოელი დამკვირვებლები დააკავეს

**"ოსი სამართალდამცველები შანტაჟის გზას ადგანან",** - ასეთ შეფასებას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინწინ მომხდარ ინციდენტს, რომელიც მშვიდობიანად და გართულებების გარეშე დასრულდა.

შეიარაღებულ მოხალისეთა ჯგუფის ოსმა წევრებმა იარაღის მუქარით სოფელ ავნევის მახლობლად საქართველოში ეუთო-ს მისიის ორი დამკვირვებელი უმიზეზოდ დააკავეს. თუმცა, ორივე მძევალი ერთ საათში გათავისუფლდა. ჩვენი ინფორმაციით, ოსურმა მხარემ დაკავებულები ერთსაათიანი დაკითხვის შემდეგ გაუშვეს.

როგორც ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე დიმიტრი რუპელი განმარტავს, დაკავებულთა გათავისუფლება კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

**"დაჟინებით მოვუწოდებ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი უკანონო ქმედებები უიარაღო საერთაშორისო დამკვირვებლების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ცუდია, რომ ეს ინციდენტი მოხდა მაშინ, როცა სერიოზული მცდელობები ხორციელდება ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის",** - აცხადებს რუპელი და ოსური შეიარაღებული ჯგუფების მიერ ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფის წევრთა დატყვევების ფაქტს არსებული შეთანხმებების სერიოზულ დარღვევას უწოდებს.

ცხინვალის სეპარატისტული მთავრობა მომხდარს საკუთარ შეფასებას აძლევს და უცხოელი დამკვირვებლების დაკავების მიზეზად დასახლებულ პუნქტში სამშვიდობოებთან შეუთანხმებლად მათ გადაადგილებას ასახელებს.

**"ქართული მხარე არ აკონტროლებს იმ ტერიტორიას, სადაც ეუთო-ს დამკვირვებლები დააკავეს. ოს კოლეგებს მოვუწოდებ, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან"** , - აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა ოსური მხარის მიერ იარაღის მუქარითა და ძალადობით ეუთო-ს დამკვირვებელთა დაკავების ფაქტს საგანგაშო ინციდენტად აფასებს. ხაინდრავას თქმით, ქართულმა მხარემ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომებზე არაერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ეუთო-ს დამკვირვებელთა მიმართ ოსური მხარის არაობიექტურობასა და უსაფუძვლო პრეტენზიებთან დაკავშირებით.

**"ეუთო-ს დამკვირვებელთა დაკავებით ოსურმა მხარემ კონფლიქტის ზონაში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება დაარღვია. ცხინვალის რეგიონში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობას მოვუწოდებ, ყველა ღონე იხმაროს ოსური მხარის უკანონო ქმედებების აღსაკვეთად და ეუთო-ს საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეუთო-ს წევრ ქვეყნებს მოვუწოდებ, თავისი დამოკიდებულება გამოხატონ ეუთო-ს მისიის დამკვირვებელთა დაკავების საგანგაშო ფაქტთან დაკავშირებით",** - ასეთი გახლავთ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოზიცია.

*24 საათი*

# ქართულ-ამერიკული გამოძიების დეტალები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია

როგორი შინაარსის გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში გუშინ დაკითხულთა ჩვენებების შინაარსი და რა გახდა სამართალდამცველთათვის ცნობილი 10 მაისს თავისუფლების მოედანზე მომხადრი ინციდენტის შესახებ - ეს ოფიციალურად მხოლოდ მას შემდეგ გახმაურდება, რაც ამერიკელი გამომძიებლები ქართველ კოლეგებს ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას მისცემენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლისას თავისუფლების მოედანზე აღმოჩენილი ხელყუმბარის შესახებ დეტალურ ჩვენებებს ინციდენტის თვითმხილველები გუშინ ერთდროულად აძლევდნენ ქართულ და ამერიკულ სპეცსამსახურებს.

დაკითხვის პროცედურა საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა. ყველაზე დიდი დრო დაცვის სამსახურის იმ თანამშრომელს დაეთმო, რომელმაც 10 მაისს ხელყუმბარა თავისუფლების მოედნიდან გაიტანა. ამერიკის შეერთებული შტატების საგამოძიებო ჯგუფის წევრები ყოველგვარ კომენტარზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განმარტებით, გამოძიებას ორივე ქვეყნის სპეციალური სამსახურები აწარმოებენ და როგორც კი საჭირო გახდება რაიმე ინფორმაციის გახმაურება, ამას ქართული მხარე ამერიკელ კოლეგებთან შეთანხმებით გააკეთებს.

მომხდართან დაკავშირებით ამ ეტაპზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ "რგდ"-ს ტიპის ხელყუმბარა საქართველოს უშიშროების წარმომადგენლებმა 50 მეტრში იპოვეს იმ ტრიბუნიდან, საიდანაც საქართველოს მოსახლეობას აშშ-ს პრეზიდენტი მიმართავდა. საეჭვო საგანი სპეცსამსახურებმა ჯორჯ ბუშის გამოსვლის პროცესშივე აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, ხელყუმბარა არ იყო საბრძოლო მდგომარეობაში. გარდა ამისა, ტრიბუნის პერიმეტრი და უახლოესი მიმდებარე ტერიტორია საიმედოდ იყო დაცული ქართული და ამერიკული სპეცსამსახურების მიერ და, შესაბამისად, პრეზიდენტებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ.

*24 საათი*

# "დემოკრატიის ინსტიტუტის" წევრები ბათუმელ პოლიციელებს ადამიანთა წამებაში სდებენ ბრალს

არასამთავრობო ორგანიზაციის "დემოკრატიის ინსტიტუტის" წარმომადგენლები ბათუმელ პოლიციელებს ადამიანთა წამების ფაქტზე ამხელენ.

**"ქალაქის პოლიციამ და სპეცდანიშნულების რაზმმა 11 მაისს, 10.00 საათზე ერთ-ერთ კაფეში სამი მოქალაქე დააკავეს. კასპელებს - ფიზულ ალიოღლის, მურად ოღუჯალიოღლის და კობა ჟღენტს სპეცდანიშნულების რაზმმა აყვანის დროს სასტიკად სცემა. მათი დაკავების მიზეზი თურქი მოქალაქის პირადი განცხადება გახდა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს თანხის გამოძალვაში ადანაშაულებდა",** - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები.

მათივე ინფორმაციით, დაკავებულები ქალაქის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. პოლიციამ ორი დაკავებული უკვე გაათავისუფლა. სამივე დაკავებულს თავის არეში მძიმე ტრავმები აღენიშნება. ერთ-ერთ მათგანს აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

"დემოკრატიის ინსტიტუტის" წარმომადგენლები აჭარის პოლიციის სამმართველოსგან და შესაბამისი ორგანოებისგან აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებას ითხოვენ.

*ინტერ-პრესი*

# ვანო მერაბიშვილს ქონებრივი დეკლარაციის შევსება გაუჭირდა

შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს ქონებრივი დეკლარაციის შევსებაში, როგორც თავად აცხადებს, ხუთი იურისტი ეხმარებოდა.

"ქონებრივი დეკლარაციის შესავსებად აუცილებელი დოკუმენტების სიმრავლის გამო, ამ დავალების შესრულება გამირთულდა. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ახალგაზდრა ვარ და, სამწუხაროდ, დიდი ქონება არ გამაჩნია, მეც კი გამიჭირდა დეკლარაციის შევსება, იმდენად მრავალრიცხოვანი დოკუმენტები იყო მოსაძიებელი", - აცხადებს მინისტრი.

მისივე თქმით, ქონებრივი დეკლარაცია უკვე მზად არის და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, გაეცნოს.

როგორც ცნობილია, საჯარო მოხელეებმა ქონებრივი დეკლარაციების შევსება 1 ივნისს უნდა დაასრულონ.

*ინტერ-პრესი*

# სამეცნიერო სასწაული თუ რეალური რეფორმები?

## რა უნდა მოხდეს საქართველოში

დასასრული. დასაწყისი იხ. N 105

ანდრია როგავა

*ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ გავლილ გზაზე თვალის გადავლების შემდეგ სასურველია, მათი რეფორმების როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ასპექტებზე დავფიქრდეთ; ვეცადოთ, არ გავიმეოროთ მათი შეცდომები და არც მიბაძვისა "მოგვერიდოს", როცა ამა თუ იმ ნაბიჯის წარმატებულობა აშკარაა მათი პრაქტიკიდან. ქვემოთ მოგვყავს გარკვეული, ჩვენი აზრით სასარგებლო, რეკომენდაციები, რომლებიც თემატურად არის დაჯგუფებული:*

### 1. ჩვენი მეცნიერების საერთაშორისო დიაგნოსტიკა:

როგორც ვნახეთ, ბალტიისპირული რეფორმის ერთ-ერთ უპირველეს საფუძველს მათი მეცნიერების განვითარების ხარისხის საერთაშორისო ექსპერტიზა წარმოადგენდა. აუცილებელია, რომ ასეთი შეფასება საქართველოშიც მოხდეს. დღეს ჩვენში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანა ვერ შეინახავს ათობით კვლევით ინსტიტუტს, რომ ბევრი ინსტიტუტისგან "მხოლოდ შენობა და დირექტორიღაა დარჩენილი"; დავობენ იმაზე, თუ რამდენად უნდა შემცირდეს ინსტიტუტთა რიცხვი, ასახელებენ სხვადასხვა ციფრებს, გვთავაზობენ ინსტიტუტთა გამსხვილება-გაერთიანებების სხვადასხვა სქემებს. ჩვენს პირობებში გარდაუვალია, რომ ეს მსჯელობები ხშირად სუბიექტურ, მიკერძოებულ და ტენდენციურ ელფერს ატარებს.

**შეფასების ობიექტივიზაციის ერთადერთი სწორი გზა საერთაშორისო ექსპერტიზაა.** ასეთი შეფასება ხდება ***სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის*** (Institute for Scientific Information, ISI) მონაცემთა ბაზის გამოყენების საფუძველზე. ეს ინსტიტუტი 47 წლის წინ შეიქმნა იუჯინ გარფილდის (Eugene Garfield) მიერ და მისი უნიკალურ მონაცემთა ბაზა ყოველ წელიწადს მილიონზე მეტი ახალი სტატიით ივსება. იგი მოიცავს ე.წ. ***"მეცნიერების ციტირების ინდექსს"*** (Science Citation Index, SCI), ***"სოციალურ მეცნიერებათა ციტირების ინდექსს"*** (Social Sciences Citation Index, SSCI) და ***"ხელოვნების და ჰუმანიტარული ციტირების ინდექსს"*** (Arts and Humanities Citation Index, AHCI). ეს ინსტიტუტი დღეს კერძო ორგანიზაციაა, იგი მძლავრი "თომსონის კორპორაციის" (Thomson Corpaoration) ნაწილია (2001 წელს ამ კორპორაციის მოგებამ 7.2 მილიარდი დოლარი შეადგინა). სამივე (SCI, SSCI და AHCI) მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია (თუმცა, რა თქმა უნდა, სარგებლობა ფასიანია) ინტერნეტით საერთო ონლაინ პლატფორმიდან ISI Web of Knowledge.

საქართველოს მეცნიერების დღევანდელი დონის ობიექტური შეფასება სწორედ ISI მონაცემთა ბაზების გამოყენებით შეიძლება მოხდეს. მივმართოთ, მაგალითად, იმავე შვედეთის ან დანიის, ან თუნდაც იმავე ესტონეთის კვლევისა და განვითარების საბჭოს და ვთხოვოთ, საყოველთაოდ მიღებული ბიბლიომეტრიკული ინდიკატორების ენაზე ჩვენი მეცნიერების დღევანდელი დონე შეაფასონ. ამავე დროს აუცილებელია, ჩვენთანაც **შეიქმნას** ანალოგიური, **საქართველოს კვლევისა და განვითარების საბჭო**, რომელიც მომავალში გარკვეული ციკლურობით დამოუკიდებლად ჩაატარებს ხოლმე ასეთივე ექსპერტიზას. ეს მეთოდი მეცნიერების დონის "დიაგნოსტიკისა" საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა ევროგაერთიანებაში და ევროპულ სამეცნიერო სივრცეში ჩვენი ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობაცაა.

საერთაშორისო სტანდარტების ენაზე ჩამოყალიბებული დიაგნოზი ჩვენი მეცნიერების საერთო დონის, ასევე ცალკეული ინსტიტუტის, განყოფილების თუ ცალკეული მეცნიერის შესახებ ნათლად დაგვანახებს *რეალურ* სურათს: თუ რამდენი მეცნიერია დღეს *რეალურად* საქართველოში, რამდენი ინსტიტუტია *რეალური*, სამეცნიერო პროდუქციის შემქმნელი, რამდენი სამეცნიერო მიმართულებაა *რეალურად* კონკურენტუნარიანი და პერსპექტიული. ამ შეფასების შედეგების ცოდნა დაგვეხმარება გააზრებული და სამართლიანი ატესტაციის და აუცილებელი სტრუქტურული რეფორმების გატარებაში.

### 2. სტრუქტურული რეფორმა: თვითორგანიზაცია და პლურალიზმი

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია **მეცნიერების სტრუქტურული რეფორმის საკანონმდებლო ბაზისის შექმნა:** კანონების მიღება, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოში მეცნიერების ორგანიზაციის, მართვის და დაფინანსების კონკრეტულ ასპექტებსა და მექანიზმებს. მეცნიერული აქტივობა მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო ლიბერალური და დემოკრატიულია მისი ორგანიზაციის და მართვის პრინციპები. როგორც დავინახეთ, ჩვენი ესტონელი კოლეგების ერთ-ერთი პირველი, პრინციპული და აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი იყო **მეცნიერების მართვის საბჭოთა პრინციპზე - მეცნიერებათა აკადემიის ჰეგემონიაზე - უარის თქმა**. ჩვენს რეალობაში აუცილებელია *კვლევით ინსტიტუტებს გაცილებით მეტი ავტონომია მივანიჭოთ, უფლება მივცეთ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავისი სტატუსი.* ესტონეთის მსგავსად, ალბათ, უპრიანია ინსტიტუტებისთვის ექვსთვიანი ვადის მიცემა, რომლის შემდეგაც მათ უნდა გადაწყვიტონ, რომელ გზას აირჩევენ:

- ეცდებიან სრული დამოუკიდებლობის დამკვიდრებას ***"ნაციონალური სამეცნიერო დაწესებულების"*** სტატუსის მიღების გზით (ამის მაგალითი უკვე არის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის *საქართველოს ნაციონალურ ასტროფიზიკურ ობსერვატორიად* გარდაქმნის პროცესში);
- მოითხოვენ ***"სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის"*** სტატუსს და დაექვემდებარებიან ან განათლების და მეცნიერების, ან რომელიმე სხვა დარგობრივ სამინისტროს;
- მოისურვებენ რომელიმე უნივერსიტეტთან ინტეგრაციას და კანონით განსაზღვრული წესით წამოიწყებენ ამ პროცესს, რომელიც ორმხრივად სასარგებლო იქნება როგორც ინსტიტუტის, ასევე უნივერსიტეტისთვის;
- დარჩებიან მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში. აკადემია ახალი კანონის ბაზაზე, გარდაიქმნება საზოგადოებრივ ორგანიზაციად: ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) სამეცნიერო ცენტრად, რომელსაც ექნება უფლება, ჰყავდეს მის დაქვემდებარებაში მყოფი ინსტიტუტები.

ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტებს, სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებს, ნაციონალური სტატუსის მქონე ინსტიტუტებს და მეცნიერებათა აკადემიას, როგორც საჯარო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებს, საშუალება ექნებათ, ასოცირების ხელშეკრულებები გააფორმონ ერთმანეთთან.

ასეთმა *თვითორგანიზაციული* და *პლურალისტული* წესით ჩატარებულმა სტრუქტურულმა რეფორმამ გაამართლა ესტონეთში. სავარაუდოდ, იგი გაამართლებს საქართველოშიც. მისი წარმატებულობა დიდად იქნება დამოკიდებული რეფორმის კიდევ ერთ, უმნიშვნელოვანეს ასპექტზე - ფინანსირების რეფორმაზე.

### 3. დაფინანსების რეფორმა:

ფინანსირების ეფექტური სისტემის შექმნა რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. **ბუნებრივია, რომ ვერანაირი რეფორმა ვერ იქნება წარმატებული, თუ არ მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე გამოყოფილი თანხების განუხრელი და მკვეთრი ზრდა.** საქართველოს პარლამენტმა ყოველწლიურად უნდა ზარდოს *საერთო შიდა ხარჯების წილი კვლევაზე და განვითარებაზე* (GERD მაჩვენებელი) იმ მიზნით, რომ 2010 წლისთვის საქართველო ამ მაჩვენებლით ევროპული სკალის ფარგლებში (თუნდაც მის კუდში) აღმოჩნდეს.

ესტონეთის მაგალითმა გვაჩვენა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ***დაფინანსების არხების მრავალფეროვნებას***. საგულისხმოა, რომ ჩვენ დღეს მხოლოდ ვაპირებთ **საქართველოს მეცნიერების ნაციონალური ფონდის** შექმნას მაშინ, როცა ესტონეთში ასეთი ფონდი (ინოვაციურ და ინფორმატიკულ ფონდებთან ერთად) ჯერ კიდევ 1990 წელს შეიქმნა! ეს, ერთი მხრივ, დიდი სირცხვილია, მაგრამ პარადოქსალურად გარკვეულ კომფორტსაც გვიქმნის: "ველოსიპედის გამოგონება" არ დაგვჭირდება - სახეზეა სხვა, მსგავსი ქვეყნების მრავალწლიანი, წარმატებული, აპრობირებული პრაქტიკა, რომლის ჩვენთან დანერგვა და ამოქმედება უკვე უახლოეს მომავალში შეიძლება.

სასურველია, რომ დაფინანსების სისტემა ჩვენთანაც გრანტული, მიზნობრივი და ინფრასტრუქტურული არხების ჰარმონიული შეხამებით აიგოს:

- **ინფრასტრუქტურული დაფინანსება** ფარავს ინსტიტუტების კუთვნილი შენობების შენახვას და ამასთან დაკავშირებულ კომუნალურ გადასახადებს, ასევე მინიმალურ ადმინისტრაციულ ხარჯებს.
- **მიზნობრივი დაფინანსება** თავისი არსით საბაზისო დაფინანსების ერთ-ერთი ფორმაა, თუმცა კი სიტყვა "მიზნობრივი" იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს არ იქნება ინსტიტუტების დირექციებისთვის უპირობოდ მიცემული ბიუჯეტები, რომლებსაც ისინი თავისი ნებასურვილით განკარგავენ. დაფინანსების ეს არხი უპირველეს ყოვლისა მოიცავს მეცნიერთა მინიმალურ სახელფასო უზრუნველყოფას. მეცნიერები ამა თუ იმ ადგილს საკონკურსო საფუძველზე იკავებენ და მათი ინდივიდუალური დაფინანსების წესი კონტრაქტით განისაზღვრება. არც ერთი ასეთი ადგილი (პოზიცია) არაა "პერმანენტული": კონტრაქტით განსაზღვრული დროის შემდეგ მეცნიერი წარადგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ და თუ მისი მუშაობა წარმატებულად ჩაითვლება, კონტრაქტი განახლდება. ამ ზოგადი არხის ნაწილი უნდა იყოს აგრეთვე *"პოსტდოქტორალური პროგრამა"*, რომელიც უზრუნველყოფს PhD დაცულ ახალგაზრდა მეცნიერთა პირველ პროფესიულ კონტრაქტს ამა თუ იმ ინსტიტუტში. მიზნობრივი დაფინანსების ნაწილი (უნივერსიტეტებთან კოოპერაციაში) შეიძლება იყოს ასევე მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებიც, თუკი კვლევით ინსტიტუტებს მიეცემათ საშუალება, ჩამოაყალიბონ საკუთარი სასწავლო-კვლევითი ცენტრები, სადაც უნივერსიტეტებიდან მოსული სტუდენტები ისწავლიან და იმუშავებენ მეცნიერთა უშუალო ხელმძღვანელობით. მიზნობრივი დაფინანსების სისტემაში სასურველია შედიოდეს ასევე სპეციალური *"საპენსიო პროგრამა,"* რომელიც ინსტიტუტებს საშუალებას მისცემს, დამატებითი პენსიები დაუნიშნოს ღვაწლმოსილ მეცნიერებს.
- **გრანტული დაფინანსება** თანამედროვე კონკურენტუნარიანი და ეფექტური სამეცნიერო სისტემის ქვაკუთხედია. სამეცნიერო პროექტთა კონკურსები, ყოველი პროექტის აუცილებელი საერთაშორისო ექსპერტიზით, უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, შერჩევის მკაფიო, მაქსიმალურად დეტალიზებული და კონკრეტული, რაოდენობრივ (ბიბლიომეტრიკულ) მაჩვენებლებზე დამყარებული კრიტერიუმებით. *საქართველოს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის* ძირითადი ფუნქცია სწორედ ასეთი ობიექტური კონკურსების ორგანიზება უნდა იყოს. აქ ბევრი ნიუანსებია გასათვალისწინებელი. ბუნებრივია, სრული ობიექტურობა მხოლოდ მიუწვდომელი იდეალია, მაგრამ არსებობს სუბიექტურობის მინიმიზაციის კონკრეტული, აპრობირებული სქემები. მაგალითად, თუ პროექტი სარეცენზიოდ ეგზავნება შვიდ რეცენზენტს, მაშინ მათ მიერ გამოგზავნილი რეცენზიებიდან არ უნდა იყოს გათვალისწინებული ყველაზე მაღალი (როგორც შესაძლო პოზიტიურად ტენდენციური) და ყველაზე დაბალი (როგორც შესაძლო ნეგატიურად ტენდენციური) შეფასებანი და პროექტის შეფასება უნდა მოხდეს დარჩენილი ხუთი რეცენზიის საფუძველზე.

როგორი უნდა იყოს დაფინანსების სამ არხზე მოსული თანხების ხვედრითი წილი? ცხადია, რომ ინფრასტრუქტურული დაფინანსება აუცილებელია, მისი იგნორირება დაუშვებელია და 100 პროცენტით გრანტულ დაფინანსებაზე გადასვლამ შეიძლება ინფრასტრუქტურის განადგურებამდე მიგვიყვანოს. მიზნობრივი და გრანტული დაფინანსების შედარებითი წილი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ესტონეთი აქაც გონივრული მიდგომის მაგალითს გვაჩვენებს: რეფორმის დასაწყისში და გარდამავალ პერიოდში, როცა ძირითადი მიზანი იყო ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის პერიოდში მეცნიერების განვითარების სტაბილურობის გარანტიების შექმნა, სამეცნიერო ორგანიზაციათა პოლიტიკური არასტაბილურობისგან დაზღვევის მიზნით შეიქმნა ესტონეთის სამეცნიერო ფონდი და აქცენტი გაკეთდა დამოუკიდებელ, საერთაშორისო რეფერირებაზე აგებულ გრანტულ დაფინანსებაზე. მოგვიანებით, როცა ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ყოფამ სტაბილური ხასიათი შეიძინა, მთავრობამ უფრო და უფრო დიდი ძალაუფლება აიღო თავის ხელში და ფაქტობრივად მიზნობრივი და გრანტული დაფინანსების არხებით მეცნიერებაზე გამოყოფილი სახსრების 70 პროცენტის მაკონტროლებელი გახდა. *ასეთი სისტემა არაა იდეალური, რადგან შეიცავს აკადემიური ბიუროკრატიის და პროტექციონიზმის სამთავრობო ბიუროკრატიით და პროტექციონიზმით ჩანაცვლების საშიშროებას.* ამიტომაა რომ ჩვენთვის, რეფორმის პირველ ეტაპზე, სასურველია მეცნიერებაზე გამოყოფილი სახსრების უდიდესი ნაწილი გრანტული დაფინანსების არხით მოდიოდეს და საქართველოს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის მიერ გაიცემოდეს პროექტული დაფინანსების ფორმატით.

დაფინანსების რეფორმა თავისი შინაარსით ორგანულად იქნება დაკავშირებული კვლევითი ინსტიტუტების მართვის რეფორმასთან.

### 4. მართვის რეფორმა: არჩევითობა და ავტონომია

ვინაიდან გადაწყვეტილებანი ამა თუ იმ კვლევის დაფინანსებაზე საერთაშორისო რეცენზირების გზით შეფასებული პროექტის სამეცნიერო ღირსებებს დაეფუძნება, ეს სავარაუდოდ გააჯანსაღებს და გაამარტივებს (გააიაფებს) ინსტიტუტთა მართვის სტრუქტურებსაც. ფულისთვის მეცნიერები და მეცნიერთა ჯგუფები უშუალოდ დამფინანსებელ ფონდს ან სამინისტროში არსებულ უწყებას მიმართავენ. ეს შეამცირებს ინსტიტუტთა დირექციების და სამეცნიერო საბჭოების მაკონტროლებელ და გამანაწილებელ ფუნქციებს, რაც გაზრდის ობიექტურობის და სამართლიანობის ხარისხს ინსტიტუტთა დონეზე და შეამცირებს ჩვენში ესოდენ გავრცელებული მიკერძოების, კლანურობის, დიქტატის და პროტექციონიზმის შესაძლებლობებს.

ინსტიტუტების მართვის დებიუროკრატიზაციისთვის და მორალური კლიმატის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია:

- ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატების მკვეთრი შემცირება და გამარტივება, რაც მათზე განკუთვნილი ინფრასტრუქტურული ხარჯების შემცირებასაც ნიშნავს.
- ყველა დარჩენილ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე *დანიშვნის წესის არჩევის წესით შეცვლა.*

აქაც კარგი იქნება *პლურალიზმის* დაშვება: ინსტიტუტებს უფლება უნდა მივცეთ, თავად გადაწყვიტონ, რა ურჩევნიათ: მათი ადმინისტრაციის სათავეში იდგეს *არჩეული დირექტორი* თუ *არჩეული დირექტორატი*, ჰყავდეთ თუ არ ჰყავდეთ სამეცნიერო საბჭოები (მცირერიცხოვანი, ევროპული ტიპის ინსტიტუტისთვის, მაგალითად, სადაც 20-30 მეცნიერი მუშაობს, 3-4 წევრიანი დირექტორატი სრულად შეითავსებდა როგორც დირექტორის ასევე საბჭოს ფუნქციებს).

**ყველაზე არსებითი ისაა, რომ მართვის რეფორმამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოსპოს ჩვენში ესოდენ გავრცელებული და მანკიერი სენი - *ადმინისტრაციული თანამდებობის, როგორც პრივილეგიის და "თბილი ადგილის" კულტი.*** თუ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნა მეცნიერისთვის იქნება არა პრივილეგია, არამედ არცთუ სასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი მოვალეობა, რომელსაც იგი მკაცრად განსაზღვრული ვადით ასრულებს, მაშინ ეს ბუნებრივად მოხსნის ასაკობრივი თუ ხანგრძლივობის ლიმიტების აუცილებლობასაც. დღეს ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებრიობაში ცხარე კამათია იმაზე, თუ რომელ ასაკამდე ან სულ რამდენი წლით შეიძლება ამა თუ იმ თანამდებობის დაკავება. როცა თანამდებობა დაკარგავს მომხიბლავი პრივილეგიის ელფერს, როცა დირექტორი აღარ იქნება დიქტატორი, როცა მის ხელში აღარ იქნება ფინანსები და დაწინაურების ბერკეტები, როცა იგი არჩეული იქნება და არა დანიშნული, როცა იარსებებს კოლეგებისადმი ეფექტური ანგარიშვალდებულის მექანიზმები, მაშინ სრულიად ბუნებრივად მოხდება ის, რომ პოტენციური "სადამ ჰუსეინები" აღარ აღმოჩნდებიან ასეთ თანამდებობებზე და ლიმიტების თემა აქტუალობას დაკარგავს.

აქ თავს ერთი გადახვევის უფლებას მივცემთ. ცნობილი ამერიკელი ფანტასტის, რობერტ შეკლის რომანში "ბილეთი პლანეტა ტრანაიზე" საუბარია ერთ პლანეტაზე, რომლის პრეზიდენტი ვალდებულია, კისერზე ატაროს ლამაზი "საპრეზიდენტო" მედალიონი, რომელშიც პატარა ბომბია ჩამონტაჟებული. დედაქალაქში არის ე.წ. "სამართლიანობის სასახლე", სადაც გამოსაჩენ ადგილზეა პრეზიდენტის მედალიონთან რადიოკავშირში მყოფი "დემოკრატიის ღილაკი." პლანეტის ყველა მოქალაქეს, თუკი მას რაღაცით არ აკმაყოფილებს პრეზიდენტის მოღვაწეობა, შეუძლია მივიდეს და დააჭიროს ამ ღილაკს, რაც მედალიონის აფეთქებას და პრეზიდენტის "ნაადრევ გარდაცვალებას" იწვევს. ბუნებრივია, რომ ამ უტოპიურ პლანეტაზე "ცუდი" ადამიანები მაინცდამაინც არ მიილტვიან პრეზიდენტის თანამდებობისკენ. რა თქმა უნდა, ეს გროტესკია, მაგრამ კარგი ილუსტრაციაა ზემოთთქმულისა არა მარტო არჩევითობის, არამედ ეფექტური ანგარიშვალდებულების აუცილებლობის შესახებ.

ამ ცვლილებებს მთლიანობაში საერთო სამეცნიერო კლიმატის გაჯანსაღება და დებიუროკრატიზაცია მოჰყვება. განახლებული შიდა სტრუქტურის და გამარტივებული ადმინისტრაციული აპარატის მქონე ინსტიტუტები უფრო ადვილად შეძლებენ უმაღლესი განათლების სისტემასთან კოოპერაციას.

### 5. უმაღლესი განათლების სისტემასთან თანამშრომლობა-ინტეგრაცია

როგორც ვნახეთ, ესტონეთში უმაღლესებსა და ინსტიტუტებს შორის კოოპერაციის ორი ძირითადი ფორმა იყო აპრობირებული, რომლებიც სასურველია ჩვენთანაც დაინერგოს:

1. აქტიურად მომუშავე მკვლევარ მეცნიერთა უმაღლეს სკოლებთან თანამშრომლობის ძალიან მომგებიანი ფორმაა ***უნივერსიტეტთა და კვლევით ინსტიტუტთა ერთობლივი პროფესურები***. უმაღლესი სკოლა ამ გზით მიიღებს მაღალი კლასის პროფესიონალებს, რომლებიც პედაგოგიურ პროცესში სტუდენტთა მოტივაციის მძლავრ ახალ მუხტს მოიტანენ და განსაკუთრებით გააძლიერებენ უნივერსიტეტთა მაგისტრატურულ და დოქტორანტურულ ეტაპებზე სწავლების დონეს. ეს კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს სამეცნიერო სივრცის რეგენერაციაზე, გააძლიერებს და გააადვილებს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვას საერთაშორისო კვლევით პროექტებში. თავად მეცნიერთათვის ეს ასევე უაღრესად დადებითი მოვლენა იქნება მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კონტექსტში. ასეთი პროფესურების დაფინანსება, სავარაუდოდ, მიზნობრივი დაფინანსების სისტემის ერთ-ერთი პროგრამის ფორმატით შეიძლება ამოქმედდეს.
2. ორმხრივი დაინტერესების შემთხვევაში ***კვლევით ინსტიტუტებს საშუალება უნდა ჰქონდეთ უნივერსიტეტებთან ინტეგრაციისა***. ესტონეთში ეს არჩევანი დაახლოებით ოცმა ყოფილმა აკადემიურმა ინსტიტუტმა გააკეთა და ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებს შეუერთდა. ასეთი გაერთიანების შემთხვევაში ინსტიტუტებმა ინტეგრაციის შემდეგ ავტონომიის დიდი ხარისხი უნდა შეინარჩუნონ. იქ მომუშავე მეცნიერებს საშუალება მიეცემათ, უშუალოდ ჩაერთონ სასწავლო პროცესში. ინსტიტუტებში არსებული მდიდარი ინფრასტრუქტურა კი - იქ არსებული ლაბორატორიების, დანადგარების, კომპიუტერული პარკის სახით - მნიშვნელოვან დანამატად იქცევა სწავლების (ხშირად საკმაოდ მწირი) ტექნიკური ბაზის გაძლიერებისთვის. ბუნებრივია, რომ ამ პროცესს არ უნდა ჰქონდეს ძალდატანებითი, დირექტიული ხასიათი არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორმხრივი თავისუფალი არჩევანის და პრაგმატული გათვლის შედეგი უნდა იყოს.

გარდა ამ ორი მექანიზმისა, სასურველია საქართველოში "ინსტიტუტი-უმაღლესი" თანამშრომლობის სხვა ფორმებიც მოისინჯოს. ორი ასეთი შესაძლო კოოპერაციული ფორმატი შეიძლება იყოს:

- ***ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების*** დაარსება. უნივერსიტეტს და ერთ (ან რამდენიმე) კვლევით ინსტიტუტს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ასეთი კოლაბორაცია, რომელიც "განვითარებული კვლევის სკოლის" (School of Advanced Studies) ფუნქციას შეასრულებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ინტერდისციპლინარული კვლევის კულტივირებისთვის, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც ამა თუ იმ დარგში მომუშავე მეცნიერთა რაოდენობა არც ისე დიდია და ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის არსებობა მათი ძალისხმევის კორელირების, "კრიტიკული მასის დაგროვების" საშუალებას შექმნის. მაგალითად, ასეთი როლი შეიძლება შეასრულოს *"საქართველოს თეორიული ფიზიკის ნაციონალურმა ცენტრმა"*, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუტებში და უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერთა კოოპერაციის და პედაგოგიური აქტივობის ეფექტურ ფორმად შეიძლება ჩამოყალიბდეს.
- თუ ასეთი ცენტრების პერმანენტული ჩამოყალიბება ვერ ან არ მოხერხდა, უმაღლესების და ინსტიტუტების კოოპერაციის უფრო იოლად ორგანიზებადი ფორმა შეიძლება იყოს სტუდენტთათვის ***პერიოდული სასწავლო-სამეცნიერო სკოლების*** ჩატარება. ეს იდეა გამოთქმული და არგუმენტირებული იყო სტატიაში *"რეფორმები აუცილებელია!"*, რომელიც გაზეთ *"24 საათში"* ამა წლის 7 იანვარს გამოქვეყნდა.

### 6. მეცნიერთა სოციალური მდგომარეობა

ყველასთვის ცნობილია, რომ მეცნიერთა სოციალური მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში კრიტიკულია. საქართველოს ნაციონალურ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, მაგალითად, მეცნიერის საშუალო ხელფასი 50 ლარის რიგისაა, რაც ორჯერ ჩამოუვარდება ოფიციალურ საარსებო მინიმუმს (და დაახლოებით 40-ჯერ ნაკლებია რიგითი პარლამენტარის ხელფასზე). რომ არა საერთაშორისო გრანტები და უცხოეთში დროებით მუშაობის შესაძლებლობა, დღეს საქართველოში არც მეცნიერება იარსებებდა და არც ერთი ცალკეული მეცნიერი. ასობით ქართველი მეცნიერი დღეს საზღვარგარეთ მოღვაწეობს. ვისაც უცხოეთში (აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით) უმუშავია, კარგად იცის, როგორი მაღალია მეცნიერის სოციალური სტატუსი და მეცნიერის, როგორც პროფესიონალის, პრესტიჟი "იქ" და როგორი სავალალოა, ამასთან შედარებით, მეცნიერის მდგომარეობა ჩვენში. ბუნებრივია, რომ ჩვენი საუკეთესო სტუდენტები, იციან რა ის გაუსაძლისი, დამამძიმებელი და უპერსპექტივო მომავალი, რომელიც მათ "აქ" ელოდებათ, უკვე უნივერსიტეტის მერხიდან ფიქრობენ უცხოეთში წასვლაზე. ვითარება კატასტროფულია და თუ ხელისუფლებამ დღესვე არ დაიწყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მდგომარეობის გამოსწორებისთვის, თუ საზოგადოებამ არ გააცნობიერა, რომ მეცნიერება ჩვენი კულტურის სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაწილია, ქართული მეცნიერების კვდომის პროცესი უკვე შეუქცევად ხასიათს მიიღებს.

ბუნებრივია, რეფორმა კომპლექსური ფენომენია და მეცნიერთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ იმ ორგანიზაციული, მართვის და ფინანსური რეფორმების კომპლექსშია შესაძლებელი, რომლებზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი. ქართველ მეცნიერს, დაწყებული ყველაზე ახალგაზრდა (უსტიპენდიო) მაგისტრატურის სტუდენტიდან, და დამთავრებული იმ ღვაწლმოსილი ხნიერი მეცნიერიდან, რომელსაც 28 ლარიანი პენსიონერის "მომავალი" ემუქრება, უნდა მივცეთ *არსებობის* უფლება. გრანტული და მიზნობრივი დაფინანსების პროგრამები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოს ძირეული პრობლემის გადაჭრა - ***მეცნიერმა მისი პროფესიული აქტივობისთვის ღირსეული არსებობისთვის საკმარისი ანაზღაურება უნდა მიიღოს.*** მაგისტრატურის, დოქტრორანტურის და პოსტდოქტორანტურის პროგრამები იქნება ეს, თემატური მიზნობრივი გრანტები, თუ ასაკოვან მეცნიერთა პენსიაზე გასვლის პროგრამები, ეს ძირეული მოთხოვნა ყველგან და ყველა დონეზე უნდა იყოს გათვალისწინებული. აქაც აუცილებელია ლიბერალური პოლიტიკა: უნივერსიტეტებს, ინსტიტუტებს, ცალკეულ სამეცნიერო ჯგუფებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენონ ამ მიზნის მისაღწევად.

სასურველია კერძო სექტორმაც გაიაზროს ის ფაქტი, რომ *თუ მეცენატობის, მეცნიერებაზე და კვლევაზე კერძო სახსრების გამოყოფის კულტურა ჩვენში არ განვითარდა, ამ ქვეყანაში არა მარტო მეცნიერება, არამედ არც თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ბიზნესი იარსებებს.* სახელმწიფომ კი სპეციალური საკანონმდებლო ნაბიჯებით კერძო სახსრების მეცნიერებაში მოსვლის ხელშემწყობი კლიმატი უნდა შექმნას საქართველოში.

### 7. საერთაშორისო კოოპერაცია

მცირე ქვეყანას, როგორც წესი, არ გააჩნია სპეციალისტთა კრიტიკული მასა მეცნიერების უმეტეს დარგთა დამოუკიდებელი და სრულფასოვანი განვითარებისათვის. როგორც ბობ მეი (დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი) ამბობდა, *"მეცნიერება გლობალიზებული უკვე მაშინ იყო, როცა ტერმინი "გლობალიზაცია" ჯერ არც კი არსებობდა."* [5] მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის ახლანდელ ეპოქაში თვითიზოლაცია დამღუპველია: კოოპერაციის გარეშე შეუძლებელი იქნება საქართველოში მსოფლიო დონის მეცნიერების კულტივირება. ასეთი თანამშრომლობის წინაპირობა და ტრადიციები უკვე მრავლადაა: ბევრი ქართველი მეცნიერი მუშაობს (ან უმუშავია) მსოფლიოს წამყვან ცენტრებში; არსებობს კოლაბორაციის სხვადასხვა ფორმები და პროგრამები, რომლებშიც ჩვენ ვმონაწილეობთ. ***აუცილებელია, რომ ეს აქტივობა სახელმწიფოებრივი პოლიტიკითაც იყოს განმტკიცებული.*** პროექტების თანადაფინანსება, ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, ვორქშოფების ორგანიზება, სტუდენტთა, პოსტდოკთა და მკვლევარ მეცნიერთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ორმხრივი თუ მრავალმხრივი ალიანსებისა უცხოეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.... ეს მხოლოდ არასრული ნუსხაა იმ ნაბიჯებისა, რომლებიც ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას.

### 8. მეცნიერების პოპულარიზაცია

რეფორმების მიზანი არა მარტო ჩვენი მეცნიერების დღევანდელობის და ახლო, ტაქტიკური, მომავლის დარეგულირება უნდა იყოს, არამედ უფრო შორეული, სტრატეგიული პერსპექტივებისთვის აუცილებელი ნოყიერი ნიადაგის შექმნაც. ამ მიმართებაში აუცილებელია დიდი ყურადღების დათმობა *მეცნიერების პოპულარიზაციისათვის*. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია საზოგადოების ცხოვრებისა, არა მარტო ახალი თაობების მეცნიერებაში მოსვლის აზრით, არამედ უფრო ზოგადადაც - საერთო-საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღების კონტექსტში. მეცნიერების პოპულარიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტია მომავალ თაობებში თანამედროვე ადამიანისთვის ისეთი თვისებების კულტივაციისთვის, როგორიცაა: ცოდნისაკენ სწრაფვა და ცნობისმოყვარეობა, თავისუფალი აზროვნების, კრიტიკული, სისტემატური ანალიზის უნარი, მენტალური პასიურობის და პროვინციულობის აღმოფხვრა.

საქართველოში მეცნიერების პოპულარიზაციისთვის ბოლო ათწლეულში ბევრი არაფერი გაკეთებულა. არადა, დღეს პოპულარიზაციის შესაძლო ფორმატთა სიმრავლე ისე დიდია, როგორც არასდროს. სასურველია მოხდეს:

- სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების გამოცემა. იმავე ესტონეთში, დღეს ორი ასეთი ჟურნალი გამოიცემა ესტონურ ენაზე.
- პოპულარული სამეცნიერო წიგნების თარგმნა, მეცნიერების ფონდის თაოსნობით სპეციალური კონკურსების ორგანიზება ორიგინალური სამეცნიერო-პოპულარული წიგნების გამოცემისთვის.
- საყმაწვილო თემატური სამეცნიერო ტელეგადაცემების მომზადება.
- სამეცნიერო-პოპულარული ინტერნეტ-საიტების აგება, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში.

### 9. ბოლოთქმა

ევროსაბჭოს ლისაბონის სამიტზე, რომელიც 2000 წლის მარტში გაიმართა, ჩამოყალიბებული იყო ევროპის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2010 წლისთვის. ამ დოკუმენტის თანახმად ევროპა იმ დროისთვის უნდა გახდეს მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური და კონკურენტუნარიანი რეგიონი. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ უმთავრეს გზად ***მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკის*** მშენებლობა მოიაზრება. ამ ამბიციური გეგმის რეალიზაცია სრული შიდა პროდუქტის, GDP, სულ ცოტა 3 პროცენტის კვლევაზე და განვითარებაზე ხარჯვას გულისხმობს. საგულისხმოა, რომ ესტონეთის პარლამენტმა უკვე მომდევნო, 2001, წელს მიიღო სტრატეგიული პროგრამა *"ცოდნაზე დაფუძნებული ესტონეთი,"* რომლის ფარგლებში მიზნად იყო დასახული 2006 წლამდე კვლევასა და განვითარებაზე ინვესტიციების ზრდა 0.7 პროცენტიდან 1.5 პროცენტამდე.

*თუკი საქართველო, ჩვენი საზოგადოება და "პოლიტიკური ელიტა" ქვეყნის მომავალს ევროპულ სივრცეში სრულუფლებიან ინტეგრაციაში ხედავს, მაშინ უკვე დღესაა აუცილებელი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა* ***"ცოდნაზე დაფუძნებული საქართველოს"*** *კონცეფციის რეალიზაციისკენ.* ამ ეპოქალურ მიზნამდე მხოლოდ მეცნიერებისა და მეცნიერებაზე დაფუძნებული განათლების სისტემის ძირეული რეფორმა და გარდაქმნა მიგვიყვანს. ამის გარეშე საქართველო კვლავ უბანანო "ბანანის რესპუბლიკად", ხოლო ჩვენი ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია კი მხოლოდ ოცნებად და წინასაარჩევნო სატყუარა ლოზუნგად დარჩება.

რეალური (და არა მოჩვენებითი) რეფორმები ძალიან დაგვიანებულია. იმედია, ახლა მაინც გადავალთ რიტორიკიდან, დემაგოგიიდან და დეკლარაციებიდან რეალურ მოქმედებაზე.

P.S. დიდი მადლობა მინდა მოვუხადო *გოდერძი დიდებულიძეს, გია მაჩაბელს* და *გრიგოლ ლოლობერიძეს* მრავალი სასარგებლო შენიშვნისათვის. განსაკუთრებული მადლობა *მაია თოდუას*, რომელმაც მომაწოდა პირველი მასალები [1, 2] მეცნიერების ბალტიისპირულ რეფორმაზე, რაც ამ სტატიის დაწერის უშუალო საბაბი გახდა.

ევროპლაკატები




B2

სენას საქმე იხურება



B5

შვილის უპასუხოდ დატოვებული შეკითხვა



B6

*გამოსათხოვარი*

*10 მაისს თავისუფლების მოედანზე შეკრებილ 150 000 ადამიანთან ერთად ზეიმობდა საქართველოს ყველა მხარის გუბერნატორი ერთის გარდა. რადგან, წინა საღამოს, იმ დროს, როდესაც ერთი დიდი ქვეყნის პრეზიდენტს მეორე პატარა ქვეყნის პრეზიდენტი მსოფლიოს უძველესი დედაქალაქის ისტორიულ უბანში მასპინძლობდა, გორის გზაზე მომხდარ ავტოკატასტროფაში გურიის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული ბეჟან(ჟანი) კალანდაძე დაიღუპა.*
*რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, გარდაცვლილი ადამიანის მისამართით ნათქვამი ტრადიციული სიტყვები არ გეგონოთ. ასეთი იყო ჟანი - განსხვავებული ადამიანი და განსხვავებული გუბერნატორი. 27 წლის იურისტის ამ თანამდებობაზე დანიშვნა პრეზიდენტმა გასულ ზაფხულს, ლიკანში დასვენების ჟამს გადაწყვიტა და ოსების ვლადიკავკაზიდან მიტარბში, საკუთარ სახლში დაბრუნებით დაკავებულ ჟანი კალანდაძეს მოულოდნელად ამცნო. ჟანიმ გამოწვევა მიიღო. დანიშვნიდან ერთი კვირის თავზე კი დაიწყო მსხვრევა წლების განმავლობაში შექმნილი მითისა და პირველმა, როგორც ხელისუფლმა, ხმამაღლა განაცხადა - გურია ღარიბი არ არისო. ბრძოლა გამოუცხადა ამ რეგიონის რესურსამოწურულ, ერთი ყაიდის, მენტალიტეტისა და შესაძლებლობების ხალხს, დანარჩენებს კი რწმენა და იმედი დაუბრუნა. "დღეს თითოეულმა ჩვენგანმა ყველანაირი გამოწვევა უნდა მიიღოს, რადგან გვაქვს პრეტენზია, რომ ქვეყანა ქვეყანას დავამსგავსოთ," - თქვა ჟანიმ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანმა ყოველგვარი პათეტიკის გარეშე იცის, რასაც ამბობს.*
*ჟანი გუბერნატორობამდე ჯერ იუსტიციის სამინისტროში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ დეპარტამენტს, მერე პარლამენტის წევრი გახდა. ბიოგრაფია მაინცდამაინც მდიდარი არ არის, მაგრამ ეს იყო გაბედული, მტკიცე დასაწყისი, რომელიც გაზაფხულის ერთ წვიმიან საღამოს დასრულდა.*



*ყოველთვის, რედაქციაში მოსვლისას, ასე აღფრთოვანებული ათვალიერებდა რევოლუციის ამსახველ ფოტოებს.*

# განსხვავებული კაცი

*ჟანიმ ჩვენი გაზეთის საახალწლო ნომინაციაში "2004 წლის გუბერნატორის" ტიტული მოიპოვა ისე, რომ თავად ამის შესახებ არაფერი იცოდა. სრულიად არაჩინოვნიკურად მოიქცა, სიხარული არ დამალა და გულწრფელი მადლობა გადაგვიხადა ამისთვის. აქ გთავაზობთ ფრაგმენტებს ინტერვიუდან, რომელიც ჟანი კალანდაძემ რწმუნებულად დანიშვნიდან ერთი კვირის თავზე მოგვცა.*

**- პრეზიდენტმა ვადა მოგცათ?**

- არ დაუკონკრეტებია. პროგრამა მინიმუმის შესრულებას 6 თვეში ვაპირებ და ყველას დავანახებ, რომ გურიაში ბევრი რამ შეიცვლება. თუ ეს ვერ შევძელი, წავალ.

**- კადრები ყველგან ჭირს და მით უფრო რეგიონებში, არა?**

- დიახ, ეს საერთო პრობლემაა, მაგრამ კადრები ჭირს არსებული ნომენკლატურის პირობებში. ეს ნომენკლატურა ბოლომდე რესურსამოწურულია. ერთი ყაიდის, მენტალიტეტისა და შესაძლებლობების ხალხია. ამიტომ ბევრი ახალი სახე უნდა გამოვკვეთოთ ადგილზე. თუ ისინი საქმეს არ გააკეთებენ, სწორედ ამ ახალი სახეების მიმართ ვიქნები მკაცრი, მაგრამ ვიქნები ყველას მხარდამჭერი, ვინც ბოლომდე ყაზარმულად იმუშავებს.

**- რას სთავაზობს გუბერნატორი რეგიონს?**

- პირველ რიგში, გურიაში წესრიგს დავამყარებთ. მე ვიქნები თითოეული ინვესტორის ლობისტი და ვიქნები ყველას მტერი, ვინც გურიაში შემოსვლის მსურველ წესიერ ბიზნესს დაუპირისპირდება. თუ საჭირო იქნება, პარლამენტში საკითხს მათ მაგივრად დავაყენებ და საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტთანაც შევყვები.

**- რისი იმედი გაქვთ?**

- იმედი მაქვს. იმიტომ, რომ ხშირად წავსულვარ რისკზე და გამმართლებია. უნიკალური გარემოა იმისთვის, რომ მხარე კარგად განვითარდეს...

**- გურულებმა როგორ მიგიღეს, არ თქვეს, აი ბაღანაიაო?**

- თავიდან ამბობდნენ. მაგრამ, ახლა ნდობასაც ვგრძნობ და მხარდაჭერსაც, რადგან ხალხმა დაინახა, რომ არ დავიწყე მეგობრობა იმათთან, ვინც მათ არ უყვართ.

**- "ნაციონალებს" ბრალს გდებენ, ახალ სახეებს მხოლოდ პარტიაში ეძებენო...**

- ჩვენი მიზანი მხოლოდ ცვლილებები არ არის. შეიძლება ვინმე ჩვენს გვერდით არ იდგა, მაგრამ თუ მან საქმის წინ წაწევა შეძლო, ვითანამშრომლებ. თუმცა, ხშირად ამას ვერ ვხედავ. პრიორიტეტი მართლაც პარტიული აქტივისტებია, რადგან მათ დიდი ბრძოლა გადაიტანეს, მაგრამ პარტიის მხარდამჭერობა ყველაფრისგან დამცავი იმუნიტეტი არ არის.

**- გამბედაობა პროფესიონალიზმს ხომ არ ნიშნავს?**

- გამბედავებიც არიან პროფესიონალები და რეგიონში ეს კარგად ჩანს. წლების განმავლობაში თავი პროფესიონალები რომ ეგონათ, ვერაფერი გააკეთეს და მათზე ნაკლებად გამოცდილმა სამი დღის დანიშნულმა ადამიანმა 100-ჯერ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ამ პროფესიონალებს გაუკეთებიათ საერთო ჯამში.

რა თქმა უნდა, გარკვეული რისკიც არის - ლანჩხუთში გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავნიშნეთ. სოფელ-სოფელ დავდიოდით და ყველას ვეკითხებოდით, დაგვენიშნა თუ არა. ეს ფორმა ამართლებს. მანამდე ვილაცაზე გავიკითხე და მითხრეს, მაგის დანიშვნა არ ღირს, მოგვჯაყავს დუნიაზეო...

**- გურია სასაცილო ამბების გარეშე არ იქნება...**

- ნაკლებად გვცალია ამისთვის, მაგრამ ერთ შემთხვევას გიამბობთ - ორი-სამი დღის ჩასული ვიყავი. კრება მოვიწვიე, ხალხის ერთ ჯგუფს უნდა შევხვედროდი. ერთ პატარა ოთახში ძალიან ბევრი ხალხი მოგროვდა, მათგან ძირითადად ქალები, ბავშვები და პენსიონრები იყვნენ. გარეთ წვიმდა და ფანჯრები მიხურული გვქონდა. ერთი კაცი შემოჰყვა ამ ხალხს, რომელიც გაუთავებლად ეწეოდა "ასტრას". არა და არ აქრობდა სიგარეტს. ხალხი შეწუხდა... ერთი ქალი ადგა და უთხრა, რა არის, ბატონო, რამდენ სიგარეტს ეწევიო... ეს კაცი შემოუტრიალდა და ხელი აუქნია - არა, ბიძია, ბოლს არ ვყლაპავ, არ ვყლაპავო... გურულებს ხომ ჰგონიათ, რომ მთელი მსოფლიო მათზე ზრუნავს...

**- მსოფლიოსი რა მოგახსენოთ და, ერთი გუბერნატორი მათზე იზრუნებს?**

- გურულების ეს თვისება იმაზე მეტყველებს, რომ ისინი მიმნდობნი და იმედიანნი არიან. ამიტომაც უნდა ვიზრუნოთ მათზე. გურიაში ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ არსებული შესაძლებლობები არასდროს გამოუყენებიათ. ამიტომაც ამბობდნენ, გურია ღარიბი რეგიონიაო.

**- მტრები გაიჩინეთ?**

- რა თქმა უნდა, ძალიან ბევრ ხალხს ვუპირისპირდები. ძირითადად იმათ, ვისთან კომპრომისზე წასვლასაც არ ვაპირებ. ეს ის ადამიანები არიან, ვინც მთელი ამ წლების განმავლობაში კასტებად ჩამოყალიბდნენ და ამბობდნენ, რომ ყველაზე კარგები, ლამაზები და ჭკვიანები არიან. ამ ხალხს დავუმტკიცებ, რომ არიან ყველაზე შეუხედავები, გაუნათლებლები და არაფრის გამკეთებლები. ბევრი შეეცდება წვრილმანი საბოტაჟებისა და დესტრუქციების პასუხისმგებლობა ჩემზე გადმოიტანოს, მაგრამ ამასაც გავუძლებ.

**- როგორ ეხმარებიან რეგიონს წინა ხელისუფლების დროს გამდიდრებული გურულები?**

- არ ვუყურებ მათ წარმომავლობას. ვთავაზობ, ჩამოვიდნენ გურიაში და რაიმე კეთილი საქმე გააკეთონ. ყველა პირობას შევქმნი, რომ ჩამოვიდნენ, კარგი საქმეები აკეთონ და ამ საქმეებს არც მე და არც არავინ არ მიიწერს. ყველას თავი მოაქვს ამ კუთხის სიყვარულით და დღეს საქმის გაკეთების რეალური შესაძლებლობა ეძლევათ. იმედი მაქვს, რომ წამოვლენ.

და რაც მთავარია - გურიაში კულტურულ რევოლუციას ვაპირებ. გურულები გამორჩეულნი არიან თავისი საზრიანობით, ენამახვილობით, ინტელექტით. გლობალურ თემებზე რომ უყვართ საუბარი, ეს მათ ფართო ინტერესებზე მეტყველებს. დღეს იქ არ ასებობს არც თეატრი, არც კინო, არც ბიბლიოთეკა ან რაიმე დაწესებულება, სადაც ადამიანი დაისვენებდა. არაფერია ისეთი, რაც ადამიანს კულტურასთან აკავშირებს. გამრიცხველიანებაც იმისთვის არის საჭირო, რომ ქალაქი გამოვაცოცხლოთ - დენი 24 საათში 1-2 საათით და ისიც ღამით მოდის. აუცილებლად გავხსნით ლიტერატურულ კაფეს, სადაც იქნება წიგნის მაღაზიაც, ბიბლიოთეკაც, სადაც ადამიანები ხელახლა შეეხებიან წიგნს. ამაში ახალგაზრდა მწერლები მიჭერენ მხარს და მათთან ერთად უფსკრულის ამოქოლვას შევძლებ.

ოზურგეთში აუცილებელია დაბალფასიანი კინოთეატრი. დამერწმუნეთ, თბილისში ისე და იმდენს არ უყვარს კლასიკური კინო, როგორც გურიაში, მარტო ამაზე საუბრობენ - ეს გურიაა.

გარდა ამისა, უნდა გავაკეთოთ გზა, იერსახე უნდა გავაჯანსაღოთ...

**- ლანჩხუთში რომ გაქცეული გურულის ძეგლი დგას, ის ვინ არის?**

- ამ ძეგლს "ჯანყი გურიაში" ჰქვია. ვიკითხე, ამის აღება ხომ არ შეიძლება-მეთქი და მირჩიეს, ასეთი სარისკო ნაბიჯები ჯერ არ გინდა, ჯანყს გამოიწვევო...

**ნიკოლოზ რურუა, პარლამენტარი:** მიჭირს ბოლომდე წარმოდგენა და განცდა იმისა, რომ ეს ადამიანი ჩემს გვერდით აღარ იქნება... წარმოუდგენლად მიჭირს. ჟანი დაჯილდოვებული იყო ყველა იმ თვისებით, რომელიც დღეს ყველაზე მეტად ფასობს - იყო გულმხურვალე პატრიოტი (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით), თავისი საქმის და იდეალების ძალიან ერთგული კაცი. ჟანიმ თავისი ფასეულობებისადმი ერთგულება საქმით ბევრჯერ დაამტკიცა - თბილისის რევოლუციიდან დაწყებული, აჭარის რევოლუციით დამთავრებული. შემდეგ კი მისი საქმიანობით გურიის მხარეში. ის იყო წარმოუდგენლად თბილი ადამიანი. მიჭირს არასტანდარტული პასუხების მოძებნა, რადგან ძალიან ახლო მეგობარი დავკარგე. ჟანიმ წაიღო მთელი ის სიხარული, რაც ამ დღეებში ხდებოდა. ამ ადამიანს ყველაფერი წინ ჰქონდა და ვერაფრით ვხსნი, რატომ ხდება ასეთი ტრაგედიები... მის ადგილს ვერც ერთი ადამიანი ვერ შეავსებს, რადგან იყო განსხვავებული კაცი გულით, სულით, ენერგიით. ვინც მას ახლოს არ იცნობდა, ისინიც კი ერთ რამეს ამბობენ - პოლიტიკური სიტუაციის, ან რომელიმე კონკრეტული მოვლენის ზუსტ და დახვეწილ ანალიზს აკეთებდა. ძალიან ჭკვიანი ბიჭი იყო და რომ დასცლოდა, ასჯერ მეტს გააკეთებდა, ეს მართლაც უბედური შემთხვევაა.

**ვალერი ჩიტაიშვილი, ოზურგეთის გამგებელი:** შემოქმედის საკრებულოს ხელმძღვანელი ვიყავი. სულ ორჯერ მქონდა მასთან სამსახურეობრივი შეხება, რომ სრულიად მოულოდნელად ოზურგეთის გამგებლად წარმადგინა პრეზიდენტთან. მერე ძალიან ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა და ასე მგონია, ბავშვობიდან ვიცნობდი.

რაც კი ოზურგეთში და საერთოდ, გურიაში დაიწყო, ყველაფრის ინციატორი ბატონი ჟანი გახლდათ. იყო უაღრესად მოწესრიგებული, ნებისმიერ კარგ საქმეს ბოლომდე უწევდა ლობირებას. ყველაფერი ახლა იწყებოდა - წყალი, გზები, კინოთეატრი. შეეძლო ყველა ადამიანის ტკივილი განეცადა და ყველას აზრი გაეთვალისწინებინა. ყოველთვის ყველას აზრს ისმენდა. გასაოცარი თვისება ჰქონდა - ყველაფერს ისრუტავდა, მისთვის უცნობ საკითხებზე მიიღებდა ინფორმაციას და 10 წუთში პროფესიონალურ დონეზე ფლობდა საკითხს.

მუდმივად ახალი სახეების ძიებაში იყო, მათ პრინციპულად პროფესიული ნიშნით არჩევდა. წარმოგიდგენიათ, ისე იბრძოდა უკანონობის წინააღმდეგ, მტრებიც არ გაუჩენია, რადგან, რასაც ის ამბობდა, ყველაფერში მართალი იყო. ყველამ იცოდა, რა პრინციპებით ცხოვრობდა და ყველგან პატივისცემას იმსახურებდა.

ხალხი მომხდარით გაოგნებულია. მთელი რაიონი შეძრწუნებულია. ყველა მირეკავს და მწუხარებას გამოთქვამს, ეს დიდი ტრავმა იყო მთელი ოზურგეთისთვის. ჟანი მუდმივად დადიოდა სოფლებში, ხვდებოდა მოსახლეობას, ყველაფერი აინტერესებდა, უშუალოდ მოსახლეობისგან იგებდა ამბებს და ადგილზევე წყვეტდა პრობლემებს. მისი დამსახურებაა, რომ ხე-ტყე პრაქტიკულად აღარ გადიოდა რეგიონიდან. ადგილზე უნდა დამზადებულიყო ყველაფერი, რაც ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო იყო.

იმ დღეს ვეტერანებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ მცირე ხანს, კინოთეატრის გახსნისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის შესახებ ვსაუბრობდით. შევთავაზე, თბილისში მეც წამოვალ-მეთქი, მაგრამ დარჩი, ხვალვე ჩამოვალო, მითხრა... არც კი ვიცი, ოდესმე კიდევ გვეყოლება ასეთი გუბერნატორი...

საშინელებაა ოცდაშვიდი წლის ბიჭის სიკვდილი!

საშინელებაა ლამაზი და ჭკვიანი ბიჭის, შეყვარებული ბიჭის სიკვდილი!

საშინელებაა სამშობლოს უერთგულესი ჯარისკაცის ტრაგიკული აღსასრული!

თავისი უსაყვარლესი საქართველოს გამორჩეულ ზეიმზე მოისწრაფოდა და ეტყობა აჩქარდა - გული არ უთმენდა, აქ უნდა ყოფილიყო, აქ სურდა ყოფილიყო!

იმ დღეს, იმ დღეებში ჩვენ, მისმა ახლობლებმა, შევიკავეთ ცრემლი, ვცდილობდით დაგვემალა ის ტკივილი, მაგრამ ვერ დამალავ. როგორ დამალავ...

მას, ჯერაც სავსებით ყმაწვილ კაცს, უდიდესი ტვირთი ანდო ქვეყანამ და ისიც უძლვებოდა ამ საქმეს, მიჰქონდა ეს ტვირთი უდრტვინველად და ღირსეულად!

სწორედ ამ დიდი დღესასწაულის დროს ასე ულვთოდ დაიღუპა ჟანი-ბეჟან კალანდაძე, კაცი-ნაპერწკალი, ამ მეტაფორას აკა მორჩილაძეს დავესესხებით, ჩვენ, მისი უფროსი თაობის მეგობრები, რომლებიც სინდისის ქეჯნას ვგრძნობთ დღეს, რატომ ის, ასეთი ახალგაზრდა? თუმცა ვინ იცის... გამოუცნობია გზები შენი... როგორც სახარებაშია ნათქვამი - წინანი უკან და უკანანი წინ - სიკვდილს ლოგიკა არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, მოკვდათათვის.

უფლის ნებით - დაილოცა მისი სამართალი - ვარდების რევოლუციის ერთ, ყველაზე გულმხურვალე და სიმპათიურ მონაწილეს მხოლოდ ეკლები და ნაადრევი სამარე ხვდა წილად, მაგრამ ჟანის სახე, მისი საქმეები და სიყვარული დიდხანს შემორჩება მთელი საქართველოს, განსაკუთრებით მისი ახლობლების, მეგობრების მეხსიერებას, სამწუხაროდ ეს ახლა, ერთადერთი ნუგეშია...

ადამიანი ეგოისტია და ჯერ ის გავიფიქრეთ, ნეტავ ასე ახლოს არ გავეცნო, მეგობრობა არ გვეთქვა ერთმანეთისთვის, ღამეები არ გვეთენებინა სამშობლოს ბედ-იღბალზე საუბრებში. ძილი როგორი გაქვს-მეთქი ვკითხე, საერთოდ არ მძინავსო, ეტყობა გული უგრძნობდა, ყველაფრის მოსწრება უნდოდა. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და ისიც სამშობლოს გულისთვის მუდამ მზად იყო თავის გასაწირად, ჩვენ ამაზეც ხშირად გვისაუბრია, საქმითაც დაუმტკიცებია, ოღონდ არა ახლა და არა ასე. მას წინ დიდი გზა ედო, თავის სათაყვანებელ ახალგაზრდა საქართველოსთან ერთად, რომლის განთავისუფლების საქმეშიც თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი. ამას ვამბობ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე და ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცოცხალსაც ასე ვჭორავდით მისი უფროსი მეგობრები, მისი გარდაცვალება უბრალოდ მიზეზია ხმამაღლა ვთქვათ, რა მაგარი ბიჭი დავკარგეთ მისმა მეგობრებმა, მთელმა საქართველომ. როგორი პატრიოტი, პრინციპული, ენერგიული, მართლაც ნაპერწკალივით ანთებული ყველა საქვეყნო საქმისათვის, მეგობრობაც ხომ სადღეღამისო იცოდა. იმ დღესაც დილით დამირეკა, მოვდივარო, როგორც მერე გაირკვა, ყველასათვის დაურეკია - თავისი მეგობრებისთვის, როგორც ყოველ დღე, ახალი იდეებით, ორიგინალური წინადადებებით, მოუსვენრად, თითქმის შეპყრობილს საკუთარი საქმით.

ჟანიმ თავისი პიროვნება თვითონ შექმნა, სწავლით, შრომით და დაუღალავი ენერგიით, ამიტომაც გვიყვარდა განსაკუთრებით. წარმოუდგენელია ადამიანს ოპონენტი არ ჰყავდეს, თუმცა ჟანის მგონი არც ეყოლებოდა, და თუკი ჰყავდა კიდევაც, დარწმუნებული ვარ, ისინიც ცრემლით დაიტირებენ ამ ახალგაზრდა უნიჭიერეს, მართლაც ნაპერწკალივით კაცს. იმ დღეს გურიიდან დამირეკეს, ტირილით, რას გვერჩოდით, ეს ბიჭი რაზე შეგვაყვარეთო.

მე ჟანისთან ჩემი ურთიერთობა მქონდა, ალბათ როგორც ყველა მის მეგობარს, ცალკე თემები, შაყირები, იდეები, ამოჩემებული ლიტერატურული პასაჟებიც კი. დაპირებულ წიგნებსაც ჩავუტანთ ოზურგეთის ბიბლიოთეკას, თეატრის განახლებაშიც მივიღებთ მონაწილეობას, რაზედაც ის ყოველდღიურად ღელავდა. მისი მეგობრები ყველაფერს გააკეთებენ, გაკეთდება წყალიც, გაზიც, კინოც, გზებიც და როგორც პოეტი ამბობს - იქნება ბევრი რამე, იქნება, მაგრამ ამ ქვეყნად შენ არ იქნები. თუმცა, თავს იმით ვინუგეშებთ, მის სახელს დაარქმევენ სკოლას, სკვერს, შეიძლება კინოსაც და ჟანი კალანდაძე - ბიჭი-ნაპერწკალი, არ ჩაქვრება, ის ცაზე ვარსკვლავივით ენთება, სანამ მისი ახლობლები, მეგობრები და საერთოდ მისი სათაყვანებელი ქართველები იქნებიან ცოცხლები.

*მამუკა ხერხეულიძე*




## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ლომისი - 10"
საიუბილეო კონცერტები
დას: 19:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საერთაშორისო კონფერენციის
("ხელოვანები იკვლევენ ევროპას თბილისში")
საზეიმო დახურვა
დას: 19:30 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ლვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ანტონ ჩეხოვი
"ძია ვანია"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"აჩრდილები"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
კახა ბაკურაძე
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
დას: 19:00 სთ.

**ცირკი**
საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის საცირკო ხელოვნების ოსტატთა წარმოდგენა
დას: 12:00; 15:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 12:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 14:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
ევროპის კულტურული კონვენციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატების გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
საიუბილეო გამოფენა-აქცია
გახსნა: 17 საათზე

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

**ქარვასლა**
"ბავშვები მშვიდობისთვის"

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
"რჩეული ნამუშევრები"

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
"წინა საუკუნის ქართველები"
(ნინო ფურცხვანიძე - ფოტო;
სოფო ტაბატაძე - ინსტალაცია)

## კლუბები

**ნოა ნოა**
ჯგუფი Nerve
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## განცხადება

**ლიტერატურული პრემია "საბას" მესვეურებისთვის და არა მარტო მათთვის**

წესით და რიგით, ნებისმიერ ფსიქიკურად ჯანმრთელ მწერალს, და მათ შორის მეც, უნდა გაუხარდეს, თუკი რომელიმე სამართლიანად ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვებს და პრემიასაც დაიმსახურებს სათანადო ფულადი გამოხატულებით...

ამის შესაძლებლობა წელს მოუციათ ბორის აკუნინის "აზაზელის" ჩემეული თარგმანისთვის, მაგრამ მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლას არც ახლა შევუდგები და არც მომავალში ვაპირებ, უარს ვამბობ კონკურსში მონაწილეობაზე, ხოლო ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბას" ჟიურისგან კი მოვითხოვ, რომ "საუკეთესო თარგმანის" ნომინანტების სიიდან ამოიღოს მესამე ნომრად განთესილი ნაწარმოები - ჩემს მიერ გადმოქართულებული ბორის აკუნინის "აზაზელი".

*მიხო მოსულიშვილი*

# "ბიბლიოთეკები აღარ იქნება დაუცველი სახლები"

### კვირეული დაპირებებითა და საჩუქრებით დაიხურა

ვერა ნეფარიძე

*გუშინდელ ღონისძიებას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, სადაც ბიბლიოთეკების წლევანდელი კვირეულის დახურვა ბიბლიოთეკარებისა და რაიონული ბიბლიოთეკების დასაჩუქრებით აღინიშნა, ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ფართო საზოგადოების ყურადღება კვლავ მიიმართოს ბიბლიოთეკებისკენ, როგორც საზოგადოებრივი განათლებისა და კულტურული კერებისკენ.*

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულის დასახურად გუშინ სამინისტროში ღონისძიების ორგანიზატორებთან ერთად, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში არსებული ბიბლიოთეკარები შეიკრიბნენ. კვირეულის ორგანიზატორებისგან ცხრამეტი საუკეთესო ბიბლიოთეკარი ას-ასი ლარით, ცხრა კი კვირეულის სიგელებით გაისტუმრეს, ექვს რაიონულ ბიბლიოთეკას პრინტერები და კომპიუტერები გადასცეს საჩუქრად. რამდენიმე ორგანიზაციისგან (ფონდი "კავკასია", აშშ-ს საელჩო საქართველოში) კი ბიბლიოთეკებმა ფონდების შესავსებად სხვადასხვა სახის წიგნები მიიღეს.

კვირეული სახელწოდებით "თქვენი ბიბლიოთეკა" 28 აპრილს გაიხსნა. კვირეული ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა ქალაქში (რასაკვირველია, იქ, სადაც ბიბლიოთეკები ფუნქციონირებს) სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის შეხვედრებით აღინიშნა. ძირითადად, იმართებოდა საუბრები სხვადასხვა საბიბლიოთეკო გაერთიანების წარმომადგენლებთან; ღონისძიებებს შორის იყო გამოფენები, სამეცნიერო კონფერენციები, ინტერნეტის სწავლება თანამშრომლებისთვის, პოეზიის საღამოები, შეხვედრა საპატრულო პოლიციასთან; გარდაბანში ბიბლიოთეკების კვირეულზე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების იუბილეც გაიხსენეს - გარდაბნის ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიტერატურული მიმოხილვა "ფაშიზმზე გამარჯვების 64-ე წელიწადი" და ა.შ.



*კვირეულის დახურვა სამინისტროში ბიბლიოთეკარების დასაჩუქრებით აღინიშნა*

კვირეულში მონაწილეობა მიიღეს როგორც უნივერსიტეტებისა თუ სკოლების, ისე სამეცნიერო და რაიონულმა ბიბლიოთეკებმა. ორგანიზატორებისთვის ამ შემთხვევაში მთავარი ამოცანა იყო, ფართო საზოგადოების ყურადღება მიექცია დაუცველ სახლებად ქცეული ბიბლიოთეკებისკენ.

კვირეულის დახურვაზე საქართველოს ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა მინისტრისგან მიიღეს დაპირება, რომ საზოგადოებრივი კულტურისა და განათლების ისეთი მნიშვნელოვანი კერები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, დაიბრუნებს ფუნქციას. ამისთვის სამინისტრო ყოველწლიურად დააფინანსებს ბიბლიოთეკებს ლიტერატურის შესაძენად; გიორგი გაბაშვილის თქმით, სამინისტრო თანამშრომლობს სხვადასხვა საქალაქო თვითმმართველობასთან იმისთვის, რომ ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებული იყოს ხარჯები ბიბლიოთეკებისთვისაც. ფაქტია, ჩვენი ბიბლიოთეკების მდგომარეობის გაუმჯობესებას წლები დასჭირდება. საუბარია ბიბლიოთეკებზე, რომელთა წიგნსაცავები წლების განმავლობაში არ შევსებულა; არადა, საკმაოდ ბევრია ბიბლიოთეკები, რომლებიც უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ისე განადგურდა, მათგან ნაშთიც კი აღარ დარჩენილა; ამ შემთხვევაში სოფლის ბიბლიოთეკებს ვგულისხმობ; არადა, ასეთი ბიბლიოთეკები თითქმის ყველა სოფელში არსებობდა. იმედია, დროთა განმავლობაში მათ აღდგენაზეც იზრუნებენ.

# ქართველი მხატვრები სასამართლოში

ნათია ლურსმანაშვილი

ორი წლის წინ თბილისში, სასამართლო დარბაზში მხატვარ გია გუგუშვილის, მისი მეუღლის ქეთი მატაბელისა და მოქანდაკე გია ჯაფარიძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ორგანიზატორები ლადო ჭანტურია და საქართველოს საპატიო მოქალაქე როლფ კნიპერი იყვნენ. ერთი წლის შემდეგ ამ პროექტს გაგრძელება ბრემენში მოჰყვა. ქალაქში გაკრული აფიშები მცირე გაუგებრობის მიზეზიც გახდა. უზარმაზარ ტრანსპარანტზე დიდი შრიფტით ეწერა: **"ქართველი მხატვრები სასამართლოში".** რა გააკეთა ამ ხელოვანმა ხალხმა ისეთი, რომ სასამართლოში მოუწევთ თავის მართლებაო? - ისმოდა კითხვა. თუმცა, გამოფენამ საკმაოდ დიდი წარმატება მოიპოვა. კანონებით და კოდექსებით დამძიმებული ადამიანები სრულიად განსხვავებულ გარემოში აღმოჩდნენ. **"სახლში არ მიდიოდნენ; გაგიგიათ, გერმანელმა სამუშაო დროს გადააცილოს?"** - ამბობს გია გუგუშვილი.

მოგვიანებით ლადო ჭანტურიასა და როლფ კნიპერს ელენ ბესტი შეუერთდა. ტრიომ გერმანული პირველი არხის, ARD-ის ხელმძღვანელთან ტომას როტთან დაამყარა კავშირი. გადაწყდა, რომ ტელევიზიის სათავო, ოთხსართულიან ოფისში 2005 წლის 23 აპრილიდან 24 ივნისამდე გია გუგუშვილისა და ქეთი მატაბელის 37 ნამუშევარი გამოიფინებოდა. უზარმაზარ სივრცეში ამ რაოდენობის ნახატების განლაგება საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა. **"ეს არ იყო ორმეტრიანი ნამუშევრები და ინსტალაციის პოზიციიდან მიდგომა მოითხოვა, ანუ შენ მას სამყაროს უქმნი და ისე გამოფენ. გასათვალისწინებელია, სხვადასხვა სართულებზე, სხვადასხვა კედლებზე გამოფენილი სურათები როგორ დაუკავშირდება ერთმანეთს. ეს უდიდესი შრომა იყო, მაგრამ გაამართლა. საბედნიეროდ, ჩემთვის წინასწარ ცნობილი იყო პირველი სართულის გეგმა, მაგრამ დანარჩენზე წარმოდგენა არ მქონდა".**



*მეორე სართულზე გია გუგუშვილი*

წარდგენილი ნამუშევრები ინტენსიური ფერებითაა დატვირთული - მსუყე ნარინჯისფერი, აქტიური წითელი, ცისფერი. ლითონისა და მინის სივრცეში ამ ფერადოვნებამ სასიამოვნო გარემო შექმნა და რამდენიმე მათგანი დარჩა კიდეც შენობას. ქეთი მატაბელის ფიროსმანის მოტივებზე თავისებური ტექნიკით შესრულებულმა ფერწერამ დიდი მოწონება დაიმსახურა. გია გუგუშვილს ორი სერია ჰქონდა წარდგენილი - "ჯაზი" და "შეყვარებული კონდუქტორის დაბრუნება დეპოში". **"ასეთი მოვლენები, რომ სიყვარული, ლამაზი ქალი შეიძლება იყოს დეპოშიც და თუნდაც სხვა, უფრო საშინელ ადგილას, ჩემი თაობის ხალხისთვის თბილი და ახლობელი გასახსენებელი ხდება. თუმცა, მათთვის ეს ჩვეულებრივია - კონდუქტორი ორკესტრის ხელმძღვანელიც არის, გამყიდველიც და მემანქანეც. ეს, უბრალოდ, კრებითი სახელია".**

გია გუგუშვილი თვლის, რომ კონდუქტორების თემა უკვე ამოწურა. თუმცა, "ჯაზის" გარშემო ისევ ტრიალებს, **"სანამ თემა, რომელიც მხატვარმა, ალბათ, თავისდაუნებურად აირჩია, არ დასრულდება. გინდა-არ გინდა, მაინც მის გარშემო ტრიალებ. ახლა ფლეიტისტების სერია წამოვიდა, რომელიც აღმოსავლურ მუსიკას უკავშირდება. მუშაობის პარალელურად რაღაცას დაბალ ხმაზე აუცილებლად ვუსმენ და განწყობა ჩემდაუნებურად ფიქსირდება. არასოდეს არ ვცდილობ, რაიმე დაგეგმილი მივაწოდო მნახველს. თუმცა, პირველი მონახაზის შემდეგ უკვე ვიცი, რითი დასრულდება ნამუშევარი."**

გამოფენის გახსნას დიპლომატები, პრესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. იქვე იყო გერმანიის იუსტიციის მინისტრი, რომელმაც მოგვიანებით ქეთი მატაბელის ნამუშევრები შეიძინა. ასევე ელენ ბესტი, რომლის აქტიურობის გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა ამ პროექტის განხორციელება. გამოფენას არც "ჩვეულებრივი" ბერლინელები და გერმანიაში მცხოვრები ქართველები დაჰკლებიან, შვეიცარიიდან კი ჩამოვიდა სამი მოხუცი ქალბატონი, რომელთაგან ერთ-ერთის - იოლანდა მარშალის მიერ შედგენილი გრამატიკის სახელმძღვანელოთი სწავლობს ქართულს თითქმის ყველა უცხოელი და რომელიც ჟორდანიას მთავრობის დროს კიტა ჩხენკელის მოწაფე იყო. დიდი მხარდაჭერა იგრძნობოდა საქართველოს საელჩოდანაც, თუმცა, იმის გამო, რომ პარალელურად საქართველოში გერმანული კულტურის დღეები მიმდინარეობდა, მაია ფანჯიკიძე თბილისში გახლდათ. ამ ყველაფერმა საკმაოდ თბილი და კულტურული სივრცე შექმნა. როლფ კნიტერმა კი იქ მყოფ საზოგადოებას შეახსენა, რომ კონფლიქტებისა და თუნდაც სახელგანთქმული ღვინის გარდა, საქართველოს და ქართველებს აქვთ ის ხიბლი, რითაც მათ უნდა იცნობდეს მსოფლიო და ეს ხიბლი ხელოვნებაა.

გამოფენაზე ასეთი განწყობის შექმნას ARD-ს ოფისის ადგილმდებარეობამაც შეუწყო ხელი - საკმაოდ ახლოსაა რაიხსტაგთან, იქვეა ბრანდენბურგის ჭიშკარიც და ეს ყველაფერი, ტურისტულის გარდა, კულტურულ ცენტრსაც ქმნის. **"ასეთი განწყობა უკვე მაშინ გექმნება, როცა გესმის ბერლინი, როგორც ადრე იყო, ვთქვათ, პარიზი"**.

გია გუგუშვილისა და ქეთი მატაბელის ეს პროექტი თითქოს აპრილის დასაწყისში გერმანიაში ქართული კულტურის დღეების გაგრძელება იყო, ისიც უნებურად. პარალელურად ბრემენში რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრების გამოფენაც მოეწყო.

ნამუშევრების გადაზიდვა, მგზავრობა, ცხოვრება და ყველა სხვა ხარჯი ფირმა "შევრონმა", დავით ხუროძემ გაიღო. ასევე მან დააფინანსა ყველა გამოფენა სამი წლის განმავლობაში.

ელენ ბესტის ორგანიზატორობით კიდევ ერთი გამოფენა იგეგმება. 27 ივნისს კი ბერლინში გამოფენილი ნამუშევრები ვენის ცენტრში, Golden Ring-ის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს.

# ევროპლაკატები

### ევროპის საბჭოს გამოფენების გაელვება თბილისში

ია ვეკუა

ევროსაბჭოში კი ვართ გაერთიანებული, მაგრამ მის კულტურულ კონვენციას შორიდან თუ შევავლებთ ხოლმე თვალს. მაგალითად, გუშინ ქარვასლაში იმ გამოფენების პლაკატების ექსპოზიცია გაიმართა, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ამ სიკეთეს საქართველომდე ჯერ არ მოუღწევია, ამიტომ მხოლოდ პლაკატების თვალიერებით უნდა გავახაროთ თვალი.

ევროპის საბჭოს კულტურული კონვენცია 1954 წელს შეიქმნა და მისი გაზიარება შეუძლია როგორც ევროსაბჭოს წევრ, ისე ამ ორგანიზაციის მიღმა მყოფ ქვეყნებს. კონვენცია ე.წ. ცივი ომის პერიოდში შეიქმნა იმის დემონსტრირებისთვის, რომ კულტურა ერების საუკეთესო დამაკავშირებელი და ნებისმიერი დაპირისპირების აღმოფხვრის საშუალებაა.

პირველი გამოფენა ბრუსელში გაიმართა და 1954 წლის დეკემბრიდან მომდევნო წლის იანვრამდე გრძელდებოდა. იგი ევროპული კულტურის ჰუმანურ მხარეებს უსვამდა ხაზს და, ძირითადად, რენესანსის პერიოდის მხატვრობას მოიცავდა. მას შემდეგ გამოფენა 50-ჯერ გაიმართა და თითქმის მთელი ევროპა მოიცვა.

კონვენციის თანახმად, ამ კულტურული აქციის მასპინძლობა ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია და ხშირად ერთდროულად ევროპის რამდენიმე ქალაქში იმართება. გამოფენაზე გამოაქვთ ფერწერული ტილოები, ქანდაკებები, არქეოლოგიური მონაპოვარი და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები. წლის განმავლობაში კი მხოლოდ ერთი პლაკატი იქმნება.

როგორც ქარვასლას გამოფენაზე გამოტანილი პლაკატების შინაარსიდან ირკვევა, მისი შექმნისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული გამოფენის არსი. სასურველია, რომ მასპინძელი ქვეყნის კულტურასაც ასახავდეს. პლაკატის მთავარი გამოსახულება, შესაძლოა, იყოს რომელიმე ცნობილი ტილოს რეპროდუქცია, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ისტორიული ნივთი და თანამედროვე მხატვრის მიერ საგანგებოდ შექმნილი ნამუშევარიც.




*პლაკატი ეძღვნება დიქტატურას ევროპაში 1930-1945 წლებში.*

დღემდე ევროპის საბჭომ 50 გამოფენა გამართა, თუმცა, თბილისში მხოლოდ 30 საუკეთესო პლაკატი ჩამოიტანეს. მათზე ლეონარდო და ვინჩის, ეჟენ დელაკრუას, პიკასოს, კარავაჯოსა და სხვა ცნობილი შემოქმედების ნამუშევრებს შეხვდებით. სწორედ ლეონარდო და ვინჩის "ქალი სიასამურით" გახდა 2005-2006 წლების გამოფენების სიმბოლო, რომელთა გამართვა ფლორენციაში, ლონდონში, მილანსა და ოქსფორდშია დაგეგმილი.

თბილისური გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიუროს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ჯაში არ გამორიცხავს, რომ მომავალ წელს საქართველომ არა პლაკატებს, არამედ რამდენიმე ევროპულ ქალაქთან ერთად გამოფენას უმასპინძლოს.

# უდარდელი მხედრები

თამარ ბაბუაძე

დრო ყველაფერს ცვლის და 21-ე საუკუნის აბრეშუმის გზაც ახლებურად გაიჭრა - ამერიკიდან ჩინეთამდე. შუაში საქართველო მოექცა; როგორც ხიდი თანამედროვე მსოფლიოს სუპერ-სახელმწიფოსა და უძველესი მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციას შორის.

ეს "ხიდი" გუშინ ამერიკელმა ბაიკერებმა გადმოლახეს. ოღონდ, ქრონოლოგია რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ ასე: საქართველოსკენ გზა, ოღონდ საჰაერო, ჯერ ბაიკერების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გაკვალა. მერე კი უკვე ამერიკის უმაღლესი დელეგაციის სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღის თავზე, ქართული გაცვეთილი გზები სარფიდან შემოსულმა ბაიკერებმა დაიპყრეს.

თავისით, ბუნებრივად აღძრული პარალელების მიუხედავად, ეს არ ყოფილა რაიმე ამის მსგავსი: თითქოს, ამერიკის სამთავრობო დელეგაციას გზა კანონგარეშე, დამკვიდრებული იდეოლოგიის წინააღმდეგ ამხედრებული მოტო-ბანდებისთვის გაეხსნას, მრავლად რომ დაქროდნენ 60-70-იანი წლების ამერიკაში, ნიუ იორკიდან ლოს ანჯელესამდე, ნევადის გავლით; საკუთარი თავისუფლების გასააზრებლად; თუ უფრო მარტივად და გასაგებად - თავგადასავლების საძიებლად.

გუშინ თბილისში შემოსულ 25-კაციან ბაიკერთა ჯგუფს ასე ჰქვია: Globe Riders, ანუ პლანეტის მხედრები. ისინი გამოცდილი, აბსოლუტურად კანონიერი და დადებითად განწყობილი მოტოციკლეტისტები არიან, და შეუვალი გარეგნობის გარდა, თითქმის არაფერი აქვთ საერთო დენის ჰოპერისა და ჰენრი ფონდას გმირებთან ფილმიდან "უდარდელი მხედრები" (Easy Riders).

"პლანეტის მხედრებს" ერთი "ყოჩი" ჰყავთ - ჰელჯ პიდერსენი. მათი მთავარი შტაბ-ბინა სიეტლში, ვაშინგტონის შტატში მდებარეობს. თავად ბატონი ჰელჯი კი მსოფლიოს მოგზაურთა ელიტაში გადის. თავის გამოცდილ და ძველ მეგობართან BMW R80GS-თან ერთად ათი წელია, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობს, 77 ქვეყანაშია ნამყოფი და დღემდე 250 ათასი მილი აქვს გავლილი. მისი ბიჭები, ანუ, "პლანეტის მხედრები" მოტო-მოგზაურობებს აწყობენ, ცნობილ და ნაკლებად ცნობილ ქვეყნებს სტუმრობენ, მათ კულტურას ეცნობიან და შთაბეჭდილებებს აგროვებენ.



ამერიკელი მხედრები თბილისის მისადგომებთან.

ასეთივე სპორტულ-კულტურულ-გეოგრაფიული მოტივაცია აქვს მათ ტურნესაც სახელწოდებით "აბრეშუმის გზა-2005", რომელიც თურქეთიდან დაიწყო და შიანში, ჩინეთში დასრულდება.

ჯგუფის წევრები სტამბულამდე თვიმფრინავით ჩავიდნენ, მათი მოტოციკლეტები - გემით. შემდეგ უკვე მთელი თურქეთი მოტოციკლეტებით გადმოსერეს, მერე სარფიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ, გუშინ კი, 13 მაისს, ნაშუადღევს თბილისშიც გაჭრეს ლენტი.

"24 საათიც" მათ სწორედ მარშრუტის ამ ნაწილში შეუერთდა და გზის უმცირესი ნაწილიც მათთან ერთად დაფარა.

ცხადია, თბილისელი ბაიკერების მსვლელობაც ქალაქის ქუჩებში ერთი სანახაობაა ხოლმე, მაგრამ ამ ამერიკელებმა, რომელთაც ბაიკერობა გენეტიკურად გადმოეცემათ, დილმის გზატკეცილს სხვა ხიბლი შესძინეს. "კბილებამდე" აღჭურვილი ბაიკერები ახალი თაობის BMW-ს მოტოციკლეტებზე ისხდნენ, პატარ-პატარა ჯგუფებად მოქროდნენ და მტვრიან თბილისს კიდევ უფრო ამტვერებდნენ. ერთმანეთში ირეოდა ყველაფერი: ჩაჩქანში შემალული კონცენტრირებული და სერიოზული სახეები, რაღაც აკრძალულის განცდა და ამ განცდით მიღებული სიამოვნება, დიდი დოზებით გამოყოფილი ადრენალინი, უცხო ქვეყნის მტვერი, ორმოები ამ უცხო გზებზე, საწვავის სუნი, აქა-იქ შეფეთებული ძველი "მოსკვიჩები" და ძველი "მარშრუტკები" სრულიად ჩვეულებრივი და მოსაწყენი მარშრუტით - ზაჰესი-თბილისი.

ბანაკი მხედრებმა "ქორთიარდ მერიოტში" დასცეს. რამდენიმე მათგანმა ცივი ლუდის ხათრით გუშინვე მოასწრო ძველ ქალაქში გასეირნება და იმ გზების ფეხით გათელვაც, მათი პრეზიდენტის მოსახიბლად რომ დაიგო რუსთაველზე.

მოგზაურებს ყოველთვის ზღაპრებივით ამბები აქვთ ხოლმე მოსაყოლი. ასეა ამ ჯგუფშიც, რომელის წევრებიც, ყველა ცალცალკე, ძალიან საინტერესო პერსონაჟია. ერთ-ერთი მათგანი დინ ფრენჩი კი საერთოდ მოვლენაა - ის 78 წლისაა და თავის მეუღლესთან ერთად მაინც შეუსვენებლად დაქრის. ამბობს: "მოტოციკლეტი, მოგზაურობა, ქმედება. ამის გარეშე არ შემიძლია. არ მახსოვს, შეიძლება, დედაჩემმა მითხრა, ან ვინმე სხვამ, მაგრამ გონებაში კი ჩამებეჭდა: "შვილო, არასდროს გაჩერდე". მეც ასე ვარ, არასდროს ვჩერდები. ვდგები დილას და ვიწყებ მოძრაობას".

თუმცა, დინ ფრენჩი მკვეთრი გამონაკლისი მაინც არ არის. ბაიკერების ამერიკულ ჯგუფში 60 წელს გადაცილებული ბაიკერებიც მრავლად არიან. ბად რობინსონი - 63 წლისაა, ჯეი იანიკი - პენსიონერი და შვილთაშვილის ბაბუა. ჯგუფში რამდენიმე ცოლქმარიცაა. ერთად დადიან...

ქალებმა ბაიკერობა, ალბათ, ქმრების ხათრით დაიწყეს. ქმრებს კი აღარც ახსოვთ, როდის და როგორ დაავადდნენ გზებისა და ბაიკების სიყვარულით. თუმცა, ჯონ ლაშაპელს, 37 წლის კალიფორნიელს ეს კარგად ახსოვს და იხსენებს: "მოტოციკლეტი ათი წლის ასაკში შემიყვარდა. ეს მაშინ მოხდა, როცა ერთ დღეს ჩემი ველოსიპედით ქუჩაში მივდიოდი, ცხვირწინ კი 3 ათასამდე მოტოციკლეტის პროცესიამ ჩამიგრუხუნა. ადგილზე გავიყინე, ვიდექი და გაშტერებული ვუყურებდი უზარმაზარ ჯგუფს, ვგრძნობდი, როგორ ზანზარებდა მიწა ფეხქვეშ, როგორ ემორჩილებოდა მიწის ვიბრაციას ფეხებიც და როგორ მიბუყბუყებდა მუცელი - გამაყრუებელი გრუხუნისგან. ეგ იყო და ეგ. მას შემდეგ სულ დავდივარ".

ჯონ ლაშაპელი ძველ თბილისში მეგობრებთან ერთად ბარში ზის და ხუმრობს: "ესენი - ჯიმი, ჯიმი და ჯეი ბებერი ძაღლები არიან, ბევრ რამეს მასწავლიან. მაგალითად, რას? მაგალითად, ქვაღორღიან გზებზე სიარული მასწავლეს, გზატკეცილზე, ათას ამბავს მიყვებიან. ერთად ვართ".

შეხვედრას ჯონთან და დანარჩენებთან კვირისთვის ვგეგმავთ. ამ "ათას ამბავსაც" მერე მიამბობენ. შესაბამისად - მერე მე თქვენ გიამბობთ.

მანამდე კი შაბათია. შაბათს ისინი "აბრეშუმის გზის" კულტურულ ნაწილს მიხედავენ და თბილისის ღირსშესანიშნაობებს გაეცნობიან. კვირასაც თბილისში გაატარებენ, ორშაბათს კი აზერბაიჯანის გავლით ჩინეთისკენ აიღებენ გეზს. პლანეტის მხედრების ოფიციალური ვებ-საიტის ვებ-მასტერი მაიკი ხომ გვამცნობს:

"ამ კვირაში 1531 კილომეტრია გასავლელი, თურქეთიდან, საქართველოს გავლით, აზერბაიჯანამდე. ჯერ დაიხარჯება უკანასკნელი თურქული ლირა, შემდეგ ბაიკერები გადაერთვებიან ქართულ ლარზე, მერე კი ჯიბეებს აზერული მანათით გაივსებენ. თანდათან შეეგუებიან უცხო გზების რიტმს, და რეალობასაც, სავსეს სწრაფი ინტერნეტით, რეალური ტელევიზიით და სიმულტანური ვიდეო შეტყობინებებით, თანდათან უკან მოიტოვებენ. ამ რეალობას თანდათან გაცილებით უფრო სისხლსავსე რეალობა შეცვლის - აბრეშუმის გზის რეალობა. საოცნებო, შორეული და სასურველი დღეს სწორედ ეს არის".

# ერთი საღამო ნიუ იორკის ანდერგრაუნდში

**ჯოჯო მეიერი და "ნერვი" თბილისის სტუმარია**

ვერა ნეფარიძე

*"უფრო ხმამაღალი, ვიდრე ბომბის აფეთქებაა", "დღესასწაული ყურებისა და თვალებისთვის", "მთავარი მიზეზი, რის გამოც ცოცხალი დრამ-ენდ-ბეისი განვითარდა ნიუ იორკში", - ეს ფრაზები დასავლური პრესიდან მცირე ნაწილია იმ შეფასებებისა, რომელიც დაუმსახურებია დასარტყამ ინსტრუმენტებზე ვირტუოზ შემსრულებელს ჯოჯო მეიერსა და მის ჯგუფს "ნერვი". მუსიკოსები თბილისში არიან. ამაღამ კლუბ "ნოა ნოას" სტუმრები პირველად შეიგრძნობენ ნიუ იორკის ანდერგრაუნდის ხიბლს.*

ამლამინდელ კონცერტს "ნოა ნოა" კომპანია "ისთერნ პრომოუშენთან" ერთად გვთავაზობს. პროექტი "ფროჰიბითიდ ბიტზ" ნიუ იორკში წარმატებულად აპრობირებული და, როგორც ამბობენ, შოკისმომგვრელია. თუმცა, ის უკვე გასცდა ამერიკის საზღვრებს და ევროპული აუდიტორია 2001 და 2002 წლებში ფესტივალებზე გამოსვლისას განაცვიფრა. ამჟამად ჯგუფს ფართომასშტაბიანი ტურნეს ფარგლებში ევროპის სხვადასხვა ქალაქში ელიან.

"ნერვი" ნელ-ნელა ავსებს უფსკრულს ცოცხალ მუსიკასა და საკლუბო კულტურას შორის", - ასე აფასებენ მელომანები ჯგუფის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. ჩვენ ამაში ამაღამ დავრწმუნდებით (ან იმედი გაგვიცრუვდება), მანამდე კი შეგვიძლია გავეცნოთ ჯგუფის შემოქმედებით ბიოგრაფიას.

ჯგუფის სულისჩამდგმელი და მთავარი ფიგურა დრამერი ჯოჯო მეიერია, მუსიკოსი, რომელმაც ტრადიციული ჯაზის სკოლა გაიარა. მონაწილეობა მიუღია ავტორიტეტულ საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალებზე (მონტერეის, ათენის, ჩრდილოეთის ზღვის...) ისეთი დონის მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც არიან დიზი გილესპი და ნინა სიმონე. მიღებული აქვს ვირტუოზ და სახელოვან დრამერებთან ომარ ჰაკიმთან, ბილი კობემთან, დენის ჩემბერსთან თანამშრომლობის გამოცდილება.

ჯოჯო მეიერმა ტრადიციული ჯაზური გამოცდილების მიღების შემდეგ მუსიკალური ექსპერიმენტების უფლება მისცა თავს და დაიწყო სხვადასხვა მუსიკალური მიმართულებების ძიება, რათა გამხდარიყო ნოვატორი მუსიკოსი (მისივე კერპის, მაილს დევისის მიბაძვით). სწორედ ამ ძიების შედეგია ჯგუფი "ნერვი".



დღეს "ნერვი" არ მოგაწყენთ.

"ნერვი" ჯოჯო მეიერმა ნიუ იორკელ დი-ჯეებთან და სხვადასხვა სტილის მუსიკოსებთან ერთად შექმნა. ჯგუფის ყოველკვირეული გამოსვლები ნიუ იორკის კლუბებში სახელწოდებით Prohibited Beatz, ხელს უწყობს ელექტრონული და ცოცხალი მუსიკის სინთეზის პოპულარიზაციას. აი, რას წერენ ნიუ იორკელი კრიტიკოსები ამ პროექტის შესახებ: "აკრძალული ბიტსი" - ეს არ არის ახალი მიმართულებები, არამედ უფრო მცდელობა, სიტყვიერად გამოხატო ის რადიკალური და ახალი მუსიკალური პარადიგმები, რასაც ჯოჯო მაიერი და "ნერვი" ქმნიან. "ნერვი" არ არის ერთ-ერთი რიგითი პროექტი, რომელიც მზა ელექტრონულ-მუსიკალური მასალისა და ცოცხალი მუსიკის კომბინაციას გვთავაზობს. ეს არის მუსიკოსთა ჯგუფი სრულიად ახალი და უნიკალური მიდგომით, რომელიც ჯაზის იმპროვიზაციას თანამედროვე ელექტრონული მუსიკის ტექსტურასა და რითმებთან შერწყმას ახდენს რეალურ დროში ყოველგვარი ვინილის სინთეზატორებისა და drumloops-ის გამოყენების გარეშე. ყველაფერი სრულდება ცოცხლად! ხმის ოპერატორის, როლი მოსიმენის - "რეალურ დროში ხმის დეკონსტრუქტორის" იდეები ცოცხალი ხმის წარმოების სრულიად განსხვავებულ გზას გვთავაზობს".

ჯგუფი "ნერვი" დღესდღეობით ოთხ მუსიკოსს აერთიანებს. ჯოჯო მეიერის გარდა აქ მოღვაწეობენ საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე მუსიკოსები: როლი მოსიმენი (რომელიც ძირითადად ჟღერადობას ქმნის, არის ჯგუფის პროდიუსერი და კონცეფციის ერთ-ერთი შემქმნელი; და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, მოსიმენი ცნობილია წლების წინათ ბიორკთან თანამშრომლობით); "ნერვის" კლავიშებსა და მესაყვირის ფუნქციებს ითავსებს მულტიინსტრუმენტალისტი ტაკუა ნაკამურა, ადამიანი, რომელიც ვირტუოზულად ახერხებს ჯაზისა და ელექტრონული მუსიკის შერწყმას; ჯგუფის ბას-გიტარისტია ჯონი დევისი.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| --- | --- | --- | --- |
| ხალხური (შემდგენელი ვახუშტი კოტეტიშვილი) | "მოშაირეები" | "დიოგენე" | 15.6 |
| ლაშა გაბუნია | "არაკოლექტიური ცეკვა" | "საარი" | 5.6 |
| ასტრიდ ლინდგრენი | "ძმები ლომგულები" | "დიოგენე" | 2.8 |
| მზია სურგულაძე | "საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის" | "ლოგოსი" | 2.4 |
| პიტერ ამერი | "ბერძნული მითები" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 2 |
| გიორგი მაისაშვილი | "ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" | | 2 |
| სხვადასხვა ავტორი | "15 საუკეთესო მოთხრობა" | "დიოგენე" | 1.6 |
| დათო ტურაშვილი | "გურჯი ხათუნი" | "ლოგოსი" | 1.6 |
| ანა კორძაია-სამადაშვილი | "მე, მარგარიტა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| --- | --- | --- | --- | --- |
| "ზეციური სამეფო" | რიდლი სკოტი | ორლანდო ბლუმი, ლიამ ნისონი, ჯერემი აირონსი, ევა გრინი | 20,000,000 | 20,000,000 |
| "ცვილის სახლი" | ხაიმე კოლეტ-სერა | ელიშა კატბერტი, ჩედ მაიკლ მიურეი | 12,205,000 | 12,205,000 |
| "მოგზაურის გზამკვლევი გალაქტიკაში" | გართ ჯენინგსი | მარტინ ფრიმენი, მოს დეფი, ზოი დეშანელი | 9,129,000 | 35,119,000 |
| "დაჯახება" | პოლ ჰაგისი | სანდრა ბულოკი, დონ ჩიდლი, მეტ დილონი, ჯენიფერ ესპოზიტო | 9,100,000 | 9,100,000 |
| "თარჯიმანი" | სიდნეი პოლაკი | ნიკოლ კიდმანი, შონ პენი, ქეთრინ კინერი | 7,500,000 | 54,082,000 |
| XXx: State of the Union | ლი ტამაჰორი | აის ქიუბი, სემუელ ლ. ჯექსონი, უილემ დეფო | 5,400,000 | 20,782,000 |
| "ამიტივილის კოშმარი" | ენდრიუ დუგლასი | რაიან რეინოლდსი, ჯიმი ბენეტი, მელისა ჯორჯი | 3,180,000 | 60,111,000 |
| "საჰარა" | ბრეკ აიზნერი | მეთიუ მაკკონაჰი, პენელოპე კრუზი, სტივ ზაჰნი, უილიამ მეისი | 3,100,000 | 61,337,000 |
| "ეს ძალიან ჰგავს სიყვარულს" | ნაიჯელ კოული | ეშტონ კუჩერი, ამანდა პიტი, კელ პენი, ელი ლარტერი | 3,036,000 | 18,792,000 |
| Fever Pitch | პიტერ და ბობი ფარელები | დრიუ ბერიმორი, ჯიმი ფელონი | 2,000,000 | 39,021,000 |

### თანამედროვე როკის ცხელი ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
| --- | --- | --- | --- |
| "გრინ დეი" | Holiday | 1 | 13 კვირა |
| "ნაინ ინჩ ნეილზი" | The Hand That Feeds | 3 | 7 კვირა |
| "ავდიოსლეივი" | Be Yourself | 2 | 8 კვირა |
| "უიზერი" | Beverly Hills | 4 | 6 კვირა |
| ბეკი | Pro-Beck | 5 | 13 კვირა |
| "ფუ ფაიტერსი" | Best Of You | 12 | 2 კვირა |
| Queens Of The Stone Age | Little Sister | 6 | 16 კვირა |
| System Of A Dawn | Speed Of Sound | 8 | 2 კვირა |
| "ქოლდპლეი" | B.Y.O.B. | 7 | 6 კვირა |
| The White Stripes | Blue Orchid | 11 | 2 კვირა |

ინფოთეკა

### მიკელს "მანჩესტერ იუნაიტედში" გაჩერება აღარ უნდა

ნიგერიელმა ნახევარმცველმა ჯონ ობი მიკელმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონზე მას ლონდონის "ჩელსიში" უნდა თამაში და არა "მანჩესტერ იუნაიტედში", რომელთანაც გააფორმა კონტრაქტი. ფეხბურთელის განცხადებით, მასზე ზეწოლა მოახდინეს, ამიტომაც მოაწერა ხელი კონტრაქტს "მანჩესტერთან".

"როიტერსის" ცნობით, თავდამსხელში მანკუნიანელებმა ოთხი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს.

### კრესპო ფინალში გოლის გატანაზე ოცნებობს

Corriere dello Sport-თან ინტერვიუში "მილანის" თავდამსხმელმა ერნან კრესპომ აღიარა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ლივერპულის" კარის აღებაზე ოცნებობს.

"გოლის გატანაზე ვოცნებობ. შესაძლოა, ეს გამარჯვების გოლიც იყოს. ამაზე კარგი რა უნდა ინატროს ფეხბურთელმა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ "ლივერპული" მართლაც ძალიან ძლიერი მეტოქეა. ძნელი იქნება მისი დამარცხება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, როგორ ითამაშა "ლივერპულმა" "იუვენტუსისა" და "ჩელსის" წინააღმდეგ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ავიღოთ თამაშის მსვლელობის კონტროლი ჩვენს თავზე. ყურადღებით უნდა ვიმოქმედოთ, რათა მეტოქის სიურპიზებისგან თავი დავიზღვიოთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ინგლისელების შემადგენლობაში საკმაოდ სახიფათო ფეხბურთელების არიან", - განაცხადა კრესპომ.

### კლინსმანი ბეკენბაუერის ინიციატივას არ იზიარებს

გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება ფრანც ბეკენბაუერის იდეას, რომელიც ბუნდესლიგის 20 გუნდამდე გაზრდას უკავშირდება, რითაც იგი ევროპის სხვა ქვეყნების ჩემპიონატებს დაემსგავსება.

"ბუნდესლიგაში ისედაც გადატვირთული კალენდარია," - განაცხადა კლინსმანმა ჟურნალ Kicker-თან საუბრისას.

უფრო ადრე ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც 2006 წლის გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს უდგას სათავეში, ასეთი განცხადება გააკეთა: "ევროპული ქვეყნების ჩემპიონატების ელიტური დივიზიონები 20 გუნდისგან შედგება. მხოლოდ ჩვენ გამოვდივართ მცირე რაოდენობით. გერმანია ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ ბევრი კარგი გუნდი ჰყავდეს".

### ბარტეზი წლის ბოლომდე დასაჯეს

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ (FFF) "მარსელის" მეკარეს ფაბიენ ბარტეზს საბოლოო განაჩენი გამოუტანა. "როიტერსის" ცნობით, ფედერაციის დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, ფეხბურთელს დისკვალიფიკაციის ვადა 2005 წლის 31 დეკემბერს ამოეწურება. იტყობინებიან, რომ შესაძლებელია სასჯელის ვადის ხუთ თვემდე (15 ოქტომბრამდე) შემცირება იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებაზე იქნება თანახმა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ბარტეზის დისკვალიფიკაციის ვადა ექვს თვეს ითვალისწინებდა, რომელთაგან სამი თვე პირობით სასჯელს გულისხმობდა.

შეგახსენებთ, ბარტეზი 12 თებერვალს "მარსელისა" და "ვიდადის" ამხანაგური მატჩის დროს მაროკოელი მსაჯისთვის შეფურთხების გამო დასაჯეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ფრანგმა მეკარემ არაერთხელ აღნიშნა, მომავალ წელს კარიერის დასრულებას ვაპირებო.

### პოლიციამ ლუის ფაბიანოს დედა გაათავისუფლა

ხუთშაბათს ბრაზილიის პოლიციამ გაათავისუფლა "პორტუს" ფეხბურთელის ლუის ფაბიანოს დედა. ეს გატაცებიდან 61-ე დღეს მოხდა. Associated Press-ის ცნობით, 45 წლის სარა ელენა კლემენტე საღ-სალამათი იპოვეს სან-პაულოდან 100 კილომეტრის დაშორებით მდებარე რანჩოში.

ქალი და მამაკაცი, სავარაუდოდ, გამტაცებლები, პოლიციის შეჭრის დროს სახლში იყვნენ, თუმცა, მიმალვა მოახერხეს.

ფეხბურთი

# "იბერია 2003" ჩემპიონია!

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი ფუტზალში, რომელიც შარშან, 25 ოქტომბერს დაიწყო, გუშინ "ქარიშხალას" სპორტკომპლექსში გამართული ფინალური მატჩით დასრულდა. რიგით მეთერთმეტე ჩემპიონატი, რომელიც მიხეილ მესხის სახელს ატარებდა, სერიოზული ფინანსური პრობლემების თანხლებით წარიმართა. მხოლოდ ფუტზალის ასოციაციის ხელმძღვანელობის დიდი ძალისხმევით, საკუთარი ჯიბიდან ფულის გაღებით და სპორტკომპლექს "ქარიშხალას" მეპატრონის, საქართველოს პროფესიული კავშირების უანგარო თანადგომით გახდა შესაძლებელი, რომ ჩემპიონატი შუა გზაში არ შეწყდა და, ავად თუ კარგად, ისტორიის კუთვნილება გახდა.

ისევ და ისევ ფინანსური პრობლემების გამო ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შვიდმა გუნდმა. ტურნირი სამ წრედ ჩატარდა, რომლის დასრულების შემდეგ საუკეთესო ექვსი გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო. ჯგუფებში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს ბოლო წლების ჩემპიონმა "იბერია 2003"-მა და შედარებით ახალბედამ, თუმცა, გასული წლის ფინალისტის, "უნივერსიტეტის" ბაზაზე შექმნილმა "სარანგმა", რომელსაც თავდაცვის სამინისტრო შეფობს. სწორედ ამ ორმა გუნდმა გაითამაშა ჩემპიონის ოქროს მედლები.

ფინალურ სერიაში გამარჯვებისთვის ორი მოგება იყო საჭირო. წინდაწინ გეტყვით, რომ ჩემპიონის გამოსავლენად აუცილებელი გახდა სამი მატჩის გამართვა. ფავორიტად საქართველოს ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი "იბერია 2003" იყო მიჩნეული. სერიის პირველმა მატჩმა ეს მოსაზრება ნაწილობრივ დაადასტურა: მეორე ტაიმის შუაში იბერიელები 4:1-საც კი ამარცხებდნენ მეტოქეს, მაგრამ "სარანგმა" შესაშური საბრძოლო სულისკვეთება გამოავლინა, დარჩენილ დროში სამი უპასუხო გოლის გაიტანა და მატჩი ოვერტაიმამდე მიიყვანა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ "იბერიას" წევრებზე ფსიქოლოგიური შოკის მსგავსად იმოქმედა და დამატებით დროში "მებრძოლებმა" კიდევ სამი გოლი გაიტანეს, თანაც, ისე, რომ საკუთარი კარი ხელშეუხებლად შეინარჩუნეს. "სარანგმა" პირველი მატჩი 7:4 მოიგო.



საქართველოს ჩემპიონი "იბერია 2003" თბილისის "დინამოს" 1981 წლის თაობამ დააჯილდოვა.

ორი დღის შემდეგ გაიმართა მეორე ფინალური შეხვედრა, რომელშიც "იბერიას" თავის უპირატესობაში ეჭვის შეტანის საბაბი აღარავისთვის მიუცია. მატჩი ჩემპიონის დამაჯერებელი გამარჯვებით - 10:3 დასრულდა.

გადამწყვეტი, საჩემპიონო თამაში გუშინ გაიმართა. ორგანიზატორებმა, ფუტზალის ასოციაციის წარმომადგენლებმა მონაწილეებს სიურპრიზი მოუმზადეს: მატჩს დაესწრნენ 1981 წლის 13 მაისის "ოქროს მატჩის" გმირები, რომლებმაც შეხვედრის შემდეგ დააჯილდოეს გამარჯვებულები.

ამჯერად "იბერია 2003"-ის უპირატესობა ისეთი შთამბეჭდავი აღარ იყო, როგორც ორი დღის წინ. მართალია, მათ შეძლეს ანგარიშის გახსნა, მაგრამ "სარანგმა" პირველივე ტაიმში აღადგინა თანაფარდობა და, ტაიმის ბოლოს ტიტულის მაძიებელთა მიერ დაშვებული უხეში შეცდომა რომ არა, პირველი ნახევარი ფრედ დამთავრდებოდა.

მეორე ტაიმში სცენარი არ შეცვლილა. ორივე გუნდი დიდი სიზუსტით, ძირითადად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. მცირე უპირატესობას მაინც "იბერია" ფლობდა, მაგრამ გოლი არც ერთ კარში არ გადიოდა. თუმცა, რაც უფრო ახლოვდებოდა საფინალო სასტვენი, "სარანგის" ფეხბურთელები სულ უფრო მეტს რისკავდნენ. მათ ანგარიშის გათანაბრება სჭირდებოდათ და სწორედ ამის გამო ზურგი მოიშიშვლეს. ამით კარგად ისარგებლა "იბერიამ" და ორ წუთში ორი გოლი გაუტანა მეტოქეს, რითაც გადაწყვიტა კიდეც ჩემპიონის ოქროს მედლების ბედი. "იბერია 2003"-მა გაიმარჯვა ანგარიშით 4:1 და ზედიზედ მესამედ გახდა ჩემპიონი.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო დაიმსახურა იბერიელმა ანდრო მიზანდარმა, რომელსაც პრიზი გადასცა თენგიზ სულაქველიძემ. საუკეთესო ბომბარდირი 104 გატანილი გოლით, "სარანგის" თავდამსხმელი ლევან ათანელიშვილი რამაზ შენგელიამ დააჯილდოვა, საუკეთესო მეკარეს - "იბერიას" გოლკიპერს ჯაბა ჯამბურიას დავით გოგიამ გადასცა პრიზი. მეორე ადგილზე გასული "სარანგი" ვერცხლის მედლებით და მცირე თასით ფუტზალის ასოციაციის თავმჯდომარემ გრიგოლ ცაავამ დააჯილდოვა, ხოლო გამარჯვებულს - "იბერია 2003"-ს ტურნირის მთავარი ჯილდო ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ალექსანდრე ჩივაძემ გადასცა.

"დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს პროფკავშირების ხელმძღვანელობას და "ქარიშხალას" დირექტორს კახა დევდარიანს. სწორედ მათი მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი ამ ჩემპიონატის ჩატარება. სამწუხაროდ, ფუტზალი ბედის ანაბარაა მიტოვებული. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არაფერს აკეთებს სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. საფეხბურთო სამყაროს მხოლოდ ახლა გავახსენდით, როცა არჩევნები ახლოვდება და ჩვენი ერთი ხმა არცთუ ცოტას ნიშნავს. იმედია, 11 ივნისის არჩევნებში, გამარჯვებული გუნდის ხელმძღვანელობით მაინც, ფედერაციის დამოკიდებულება შეიცვლება და ფუტზალის განვითარებისთვის რეალური ნაბიჯები გადაიდგმება", - თქვა გრიგოლ ცაავამ.

# მანიშე და კოშტინია მოსკოვის "დინამოში" ითამაშებენ

რუსულ ფეხბურთში იმდენი ინვესტიცია ჩაიდო, რომ სლავებს მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავთა შეძენაც ხელეწიფებათ. ამის დასტურად გამოდგება მოსკოვის "დინამოს" ხელმძღვანელობის მცდელობა, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა.

საფეხბურთო კლუბ "პორტუსა" და პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელებმა მანიშემ და კოშტინიამ მოსკოვის "დინამოსთან" 5-წლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. ორივე ფეხბრუთელი თავის ახალ კლუბში თამაშს პირველი ივლისიდან დაიწყებს. რუსული კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს აგრეთვე გადაიბიროს "პორტუს" ბერძენი მცველი იურკას სეიტარიდისი.

იმის შესახებ, რომ მანიშე და კოშტინია "დინამოს" ფეხბრუთელები გახდებოდნენ, ჯერ კიდევ ზამთარში საუბრობდნენ. მაშინ მოსკოველები პორტუგალიის ჩემპიონატში მოთამაშე ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდნენ. თუმცა, დერლეის გარდა რომანცევის მიერ შეძენილ ფეხბურთელებს რიგითი გულშემატკივარი არ იცნობდა. მაგრამ პორტუგალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატს ყველა უყურებდა. იქ კი "დინამოს" ახალწვეულები, რომლებმაც შარშანდელ სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოიგეს, სულაც არ გამოიყურებოდნენ ცუდად.

27 წლის ნახევარმცველი მანიშე თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ბოლო მომენტში მოხვდა, მაგრამ იქ ექვსივე მატჩში მონაწილეობა მიიღო და ორი გოლიც გაიტანა. ტურნირის მეორე შეხვედრაში მანიშემ თავისი გოლით სწორედ რუსები დაამწუხრა და ოვჩინიკოვის კარი აიღო. ტურნირის ნახევარფინალში კი ჰოლანდიელთა კარში მანიშეს მიერ გატანილი შესანიშნავი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა და პორტუგალიის ნაკრები ფინალში გავიდა. აღსანიშნავია, რომ "დინამოში" წლევანდელი სეზონიდან უკვე თამაშობს მანიშეს ძმა - ჟორჟი რიბეირუ.



კოშტინია და მანიშე მოსკოვში 1 ივლისს ჩავლენ.

მანიშესთან შედარებით 30 წლის კოშტინია პორტუგალიის ნაკრების ვეტერანია. მან 2000 წლის ევროპის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და ჯგუფურ ეტაპზე რუმინეთის ნაკრებს გადამწყვეტი გოლიც გაუტანა. ევროპის ბოლო ჩემპიონატზე კოშტინიას გოლი არ გაუტანია, მაგრამ დიდი წვლილი მიუძღვის იმ საქმეში, რომ პორტუგალია ფინალში გავიდა.

მოკლედ, პირველი ივლისიდან მანიშე და კოშტინია მოსკოვის "დინამოს" ღირსებას დაიცავენ. მანიშე კლუბს 16 მილიონი ევრო დაუჯდა, კოშტინიაში კი რუსებმა 4 მილიონი გადაიხადეს. ორივე ფეხბურთელმა კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მოსკოვის "დინამოს" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ალექსეი ფედორიჩევის თქმით, სწორედ ამ ვადით იგეგმება კონტრაქტის გაფორმება "პორტუს" ბერძენ მცველ იურკას სეიტარიდისთანაც.

"ის კლუბს დაახლოებით 10 მილიონი ევრო დაუჯდება, - განაცხადა ფედორიჩევმა, - პორტუგალიური კლუბისა და ფეხბურთელის თანხმობა უკვე მიღებულია. კონტრაქტიც ხელთა გვაქვს. თუმცა, კონტრაქტის გაფორმებამდე გარკვეული დრო კიდევ დაგვჭირდება. საბოლოო წერტილს ამ საქმეს, ალბათ, 17-18 მაისს დავუსვამთ. ამ სამი ფეხბურთელის გარდა, მოსკოვური კლუბი აპირებს ერთი ან ორი უცხოელი კიდევ შეიძინოს.

"არსებობს წინადადებები, რომლებზეც უარს უბრალოდ ვერ იტყვი, - ასეთი კომენტარი გაუკეთა "პორტუს" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე კოუსეირუმ თავისი ფეხბურთელების "დინამოში" გადასვლას, - ჩვენ ძალიან გვიჭირს ფეხბურთელების შენარჩუნება, როცა მათ ესოდენ სარფიან წინადადებებს სთავაზობენ. ეს წინადადებები ძალიან კარგია, პირველ რიგში, არა იმდენად კლუბისთვის, რამდენადაც თვითონ ფეხბურთელებისთვის".

სეიტარიდისის მოსკოვში გადასვლის თაობაზე "პორტუს" მწვრთნელმა განაცხადა: "ამ საკითხის ირგვლივ ჯერჯერობით სათქმელი არაფერი მაქვს. ეს უფრო კლუბის ადმინისტრაციას უნდა ჰკითხოთ. პირადად მე სეიტარიდისის იმედი მაქვს. ბოლო დროს ის შემადგენლობაში ვერ ხვდება, მაგრამ ეს გადაღლის ბრალია. სეზონის დაწყების წინ მას პრაქტიკულად არ დაუსვენია".

ამასობაში წლევანდელ სეზონში მოსკოვის "დინამო" მაინცდამაინც ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს. თუმცა, ოლეგ რომანცევი აცხადებდა, რომ სეზონის პირველ ნახევარში მისი გუნდი იცოდვილებს, რაც ხდება კიდეც. რუსეთის თასის გათამაშებიდან გამოთიშვისა და "ზენიტთან" დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ მოსკოველებმა, მართალია, მინიმალური ანგარიშით, მაგრამ სამი მატჩი ზედიზედ მოიგეს - "ტორპედოსთან", "შინიკთან" და "სატურნთან". ამას კი მოჰყვა სამმატჩიანი წარუმატებელი სერია, "სპარტაკისგან", "მოსკოვისგან" და "რუბინისგან".

ოლეგ რომანცევი წარუმატებლობაზე საუბრისას ამბობს, რომ მან ვერაფრით ვერ შეკრიბა ოპტიმალური შემადგენლობა, რადგან ძირითადი შემადგელობის ფეხბურთელები ან ტრავმირებულნი არიან ან დისკვალიფიცირებულნი.

პირველი ივლისიდან "დინამო" სოლიდურ შევსებას მიიღებს. თუმცა, ამ დრომდე გუნდს მოუწევს რუსეთის ჩემპიონატის კიდევ ექვსი მატჩის გამართვა. თუ რომანცევის გუნდს სურს, მიმდინარე სეზონში მაღალი ადგილი დაიკავოს, მას მოუწევს ქულები იმ შემადგენლობით მოაგროვოს, რომელიც ამ მომენტში ჰყავს. მწვრთნელს თავის ფეხბურთელებზე არაერთხელ უთქვამს, რომ ყოველ მათგანს გაცილებით უფრო მეტი შეუძლია.

რომანცევს თავისი სიტყვების დადასტურების საშუალება უკვე დღეს მიეცემა, როცა მისი "დინამო" რუსეთის ჩემპიონატის საშინაო მატჩში პერმის "ამკარს" შეხვდება.

ინფოთეკა

### ანრი: "არსენალმა" ბერგკამპი უნდა შეინარჩუნოს"

ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას ლონდონის "არსენალის" თავდასხმელმა ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ვალდებულია, კიდევ ერთი წლით გაუგრძელოს კონტრაქტის ვადა 36 წლის ჰოლანდიელ ფეხბურთელს დენის ბერგკამპს.

"მე რომ შემეძლოს გადაწყვეტილების მიღება, აუცილებლად დავტოვებდი ბერგკაპს კიდევ ერთი წლით. მთელი ათი წელი, რაც მან "არსენალში" გაატარა, შესანიშნავად თამაშობდა. ის შეუდარებელი იყო "ევერტონის" წინააღმდეგ თამაშის დროსაც," - განაცხადა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, "არსენალმა" 7:0 დაამარცხა მეტოქე. ამ მატჩთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ "მეთოფეების" გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე გამოფინეს პლაკატი: "კიდევ ერთი წელი".

ჯერჯერობით უცნობია, გაითვალისწინებს თუ არა ამას კლუბის ხელმძღვანელობა.

### "მარსელს" კეჟმანის შეძენა უნდა

"მარსელი" იმ კლუბების რიცხვს შეუერთდა, რომლებიც ლონდონის "ჩელსის" სერბი თავდამსხმელის მატეა კეჟმანის შეძენისთვის იბრძვიან. ინგლისური მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ერთადერთი პრობლემა, რომელსაც შეიძლება ფრანგული კლუბი წააწყდეს, შეიძლება ფეხბურთელის მაღალი ხელფასი იყოს. "მარსელი" მზადაა, კეჟმანისთვის სამიდან ოთხ მილიონამდე გადაიხადოს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### შაბათი. 14 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "ზენიტი" - ცსკა. პირველი მატჩი
14:05 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
14:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "დინა"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 უეფას თასი. ნახევარფინალური მატჩების მიმოხილვა
16:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - ნიურნბერგი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "დინა"
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "სევილია" - "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ლევანტე" - "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია
01:50 თავისუფალი დარტყმა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 19:00, 21:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში. მეოთხედფინალი
13:15 "სარკის წინ"
13:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
14:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
15:00 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ბილიარდი. საერთაშორისო ტურნირი "შესანიშნავი რვეული" სანქტ-პეტერბურგში
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 პროგრამა. "მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ექო"
22:10 კარატე. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში. პირადი პირველობა კუმიტესა და გუნდური პირველობა კატაში. ფინალები
23:10 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
23:40 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "HAMBURG SEA DEVILS" - "AMSTERDAM ADMIRALS". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
02:10 02:10-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ფელიქს ტრინიდადი - უინკი რაიტი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსზე
11:30 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა ჩინეთში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 ველორბოლა - იტალიის ტური
14:15 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
14:45 მოტორბოლა. საფრანგეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 ველორბოლა - იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში. ნახევარფინალი
21:00 ფეხბურთი. ევროპის 17 წლამდელთა ჩემპიონატი იტალიაში. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
23:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსზე
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მებრძოლთა კლუბი

ფეხბურთი

# გლეიზერის "ეშმაკუნები"

ამერიკელმა სპორტულმა მაგნატმა მალკოლმ გლეიზერმა "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციების საკონტროლო პაკეტი მიიღო. ის მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის აქციებს 790 მილიონ გირვანქა სტერლინგად (1,47 მილიარდი დოლარი) აფასებს. ხუთშაბათს გლეიზერმა ირლანდიელი მაგნატების მაკმანუსისა და ჯონ მანიესგან აქციების 28,7 პროცენტი შეისყიდა. ამჟამად მას ხელში აქვს კლუბის აქციების 70 პროცენტზე მეტი. კომპანია Red Football Ltd-ის განცხადებაში, რომელიც გლეიზერის ინტერესებს იცავს, ნათქვამია, რომ ირლანდიელებმა აქციები ცალი სამ გირვანქად გაყიდეს, რაც ამ მომენტისთვის ცოტათი აღემატება საბაზრო ფასს. ამ შეთანხმების გამოაშკარავების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციების ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათი ღირებულება თითქმის 13 პროცენტით გაიზარდა. გლეიზერი, რომელიც ცდილობდა, კლუბი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ შეესყიდა, ვალდებული იყო, თავისი გეგმების შესახებ "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობისთვის 17 მაისამდე ეცნობებინა.

ახლა გლეიზერს მხოლოდ რამდენიმე პროცენტი არ ჰყოფნის იმისთვის, რომ აქციების 75 პროცენტის მფლობელი გახდეს. ასეთ შემთხვევაში მას უფლება ექნება, საკუთარი ვალები კლუბზე გადაიყვანოს და აქციები საბირჟო ვაჭრობიდან მოხსნას. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ აქციონერები და ხალხი გაცილებით უფრო მცირე ინფორმაციას მიიღებენ კლუბის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

თუ გლეიზერი მოახერხებს და კლუბის აქციების 90 პროცენტის მფლობელი გახდება, მაშინ მას უფლება ექნება, დანარჩენი 10 პროცენტიც სურვილისამებრ შეიძინოს და ამის შესახებ აქციების მფლობელებს არც კი აცნობოს. ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელმა ჰარიესტ ჰარმანმა განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტი მოუწოდებს გლეიზერს საერთო ენა გამონახოს კლუბის გულშემატკივართან, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან და თვითონ კლუბთან. "ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: "მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისური ფეხბურთისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ამიტომ მთავრობა სიტუაციას ყურადღებით აკვირდება. გულშემატკივრები შეშფოთებულნი არიან. არსებობს საფრთხე, რომ ბილეთების ფასი გაიზრდება და ახალი ფეხბურთელების შესაძენად ინვესტიციები არ ჩაიდება".

გლეიზერი "მანჩესტერ იუნაიტედით" პირველად 2004 წლის შემოდგომაზე დაინტერესდა. დირექტორთა საბჭოს წინაშე ოფიციალური წინადადებით კი ის ოქტომბერში გამოვიდა. მისი წინადადება უგულებელყვეს. არსებობს ცნობა, რომ ამერიკული ფეხბურთელთა გუნდის "ტამპა-ბეი ბუკანიირსის" მფლობელი აპირებს აშშ-ში ბრენდი "მანჩესტერ იუნაიტედი" პოპულარული გახადოს და ამ კლუბისთვის ამერიკული ბაზრის ლომის წილი დაიბევოს.



ამერიდან მანჩესტერის "ოლდ ტრაფორდს" გლეიზერი უპატრონებს.

ორი კვირის წინათ დირექტორთა საბჭომ გლეიზერს განუცხადა, რომ სჯობს მეორედ ეს წინადადება არ წამოაყენოს, რადგან მისი გეგმა უაღრესად აგრესიულია. მის წინადადებას კლუბმაც უარი უთხრა, რადგან შეძენისას გამოიყენება ძალიან ბევრი ნასესხები თანხა. კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილმა განაცხადა, რომ გლეიზერის ბიზნეს-გეგმა "მანჩესტერ იუნაიტედისთვის პოტენციურად ძალიან სახიფათოა. თუმცა, დირექტორებს ესმით, რომ აქციების მფლობელთაგან ვინმეს გლეიზერის წინადადება შეიძლება მაცდურადაც მოეჩვენოს.

კლუბის გულშემატკივრები კი გლეიზერის ჩანაფიქრით უაღრესად უკამყოფილონი არიან. ისინი ფიქრობენ, რომ ბილეთების ფასი მკვეთრად გაიზრდება. ამის გამო ფანები ცდილობენ, წინ აღუდგნენ გლეიზერს. შარშან ამ მიზნით მათ აქციონერთა ასოციაცია ჩამოაყალიბეს. ამ ასოციაციის თავმჯდომარემ "ბი-ბი-სის" განუცხადა, რომ გლეიზერი რომან აბრამოვიჩი არ არის. ის საკუთარი ფულით სავსე ჩემოდნით ხელში არ ჩამოსულა. "პრინციპში, მას სურს, რომ კლუბი გულშემატკივართა ფულით შეიძინოს, - გაზარდოს ბილეთების ფასი და ფასები კლუბის შესაბამის ატრიბუტიკაზე", - განაცხადა თავმჯდომარემ.

შეფასების თანახმად, ირლანდიელებმა, რომლებმაც გლეიზერს აქციების პაკეტი მიჰყიდეს, შემოსავლის სახით 70 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღეს. მათი წარმომადგენელი აცხადებს: "მათ ეს აღიქვეს, როგორც ინვესტიცია. ეს ძალიან კარგი შეთანხმებაა".

აქციონერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკ ტაული ამბობს, რომ აქციონერები ძველებურად შეეცდებიან, გლეიზერს ხელი შეუშალონ. "მე უარს ვამბობ ჩემს საკუთარ სეზონის აბონემენტზე. მე ერთ პენსაც კი არ ჩავდებ ამ ადამიანის ჯიბეში", - განაცხადა ტაულმა.

თუმცა, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ გლეიზერის შეჩერება უაღრესად ძნელი იქნება. "ვფიქრობ, რომ თამაში დამთავრდა, რადგან შედეგი ყოველთვის იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ მოეპყრობოდნენ თავიანთ აქციებს ირლანდიელები." - განაცხადა რიჩარდ ჰანტერმა ბროკერული ფირმიდან Hargreaves Lansdown.

# ვარსკვლავი - მიხაელ ბალაკი

## ("ბაიერნი" გერმანია)

ლაშა გოდუაძე

*მიხაელ ბალაკი*
**დაიბადა:** *1976 წლის 26 სექტემბერს ქალაქ გიორლიტცში*
*ნახევარმცველი*
**სიმაღლე:** *189სმ*
**წონა:** *80კგ*
**კლუბები:** *"კარლ-მარქს შტადტი" (კარლ-მარქს შტადტი, გდრ, 1990), "ხემნიცი" (ხემნიცი, გერმანია, 1991-1997), "კაიზერსლაუტერნი" (კაიზერსლაუტერნი, გერმანია, 1997-1999), "ლევერკუზენი" (ლევერკუზენი, გერმანია, 1999-2002), "ბაიერნი" (მიუნხენი, გერმანია, 2002)*
**ტიტულები:** *გერმანიის ჩემპიონი - 1998, 2003, 2005, გერმანიის ვიცე-ჩემპიონი - 2000, 2002, 2004, გერმანიის თასი - 2003, გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი - 2002, 2003, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი - 2002, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ნახევარმცველი (უეფა) - 2002*
*გერმანიის ნაკრებში ჩატარებულ 51 მატჩში გაიტანა 22 გოლი.*

მიმდინარე სეზონში მიუნხენის "ბაიერნი" გელზენკირხენის "შალკე-04"-ის მხრიდან მძაფრ კონკურენციას წააწყდა, თუმცა, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა დაძაბულ ტემპს გაუძლო და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ფელიქს მაგათის გუნდის ჩემპიონობაში გამთამაშებელ მიხაელ ბალაკს დიდი წვლილი მიუძღვის - კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო მთელი სეზონის მანძილზე.

თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და ეცდება, კლუბს მეორე ტიტულის მოგებაშიც დაეხმაროს - საუბარია გერმანიის თასზე, რომლის ფინალში მიუნხენელებს ისევ და ისევ გელზენკირხენელთა წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

მაშ ასე, ჩვენი რუბრიკის მორიგი სტუმარია მიხაელ ბალაკი, თანამედროვე გერმანული ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.

### ციტატები

**ბავშვობის კერპზე**

...ცხადია, მეც მყავდა საყვარელი ფეხბურთელი, თუმცა, ის ცნობილი ნამდვილად არ იყო. თუ თანატოლები მარადონას ან სხვა ვინმეს აღმერთებდნენ, მე რიკო შტაინმანს ვეთაყვანებოდი, ელეგანტურ გარემარბს, რომელიც ჯერ "კიოლნში" თამაშობდა, მოგვიანებით კი ჰოლანდიაში გადავიდა. ბავშვობაში ვოცნებობდი, მასავით კარგი ფეხბურთელი გავმხდარიყავი.

**გერმანიის გაერთიანებაზე**

...როცა ბერლინის კედელი დაინგრა, 13 წლისა ვიყავი და ამ მოვლენას ტელევიზორში ვუყურებდი. სიმართლე გითხრათ, მაშინ ნამდვილად არ მესმოდა, თუ რა ხდებოდა. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის გაერთიანება აღმოსავლეთ გერმანიაში უზომოდ გაუხარდათ. კარგი იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ხალხი სიხარულისგან ტიროდა.

**"კაიზერსლაუტერნში" გადასვლაზე**

...დავიბადე გიორლიტცში, რომელიც ქალაქ კოტბუსთან ახლოს მდებარეობს. გავიზარდე ხემნიცში, რომელსაც მაშინ კარლ-მარქს შტადტი ერქვა. კაიზერსლაუტერნში 1997 წელს გადავედი და ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო - პირველად აღმოვჩნდი შინიდან ასე შორს და მარტოს უნდა გადამეწყვიტა ყველაფერი. პროფესიონალური თვალსაზრისით, ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო - მე ხომ მეორე ბუნდესლიგის კლუბიდან ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში მოვხვდი!

**"ლევერკუზენის" შესახებ**

...ლევერკუზენში გატარებულ წლებს ყოველთვის ტკბილად ვიგონებ! "ბაიერში" გატარებულმა სამმა წელიწადმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩემი, როგორც ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ესაა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული კლუბი. ბედნიერი ვარ, რომ "ბაიერში" ისეთი ოსტატების გვერდით ვთამაშობდი, როგორებიც ემერსონი, ლუსიო, ულფ კირსტენი, იენს ნოვოტნი, კარსტენ რამელოვი და სხვა ფეხბურთელები არიან. რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ კრისტოფ დაუმის და კლაუს ტოპმიოლერის, რომლებმაც ყველანაირად ხელი შემიწყვეს!

**პატრიოტიზმის შესახებ**

...2001-2002 წლების სეზონის შემდეგ ორმა კლუბმა შემომთავაზა გადასვლა: მადრიდის "რეალმა" და მიუნხენის "ბაიერნმა". საბოლოოდ ეს უკანასკნელი ავირჩიე, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ "რეალი" არ მიყვარს. უბრალოდ, მინდოდა, მეთამაშა სამშობლოში და გერმანული კლუბისთვის და ზოგადად, სამშობლოსთვის მომეტანა სიკეთე.

**პოტენციალზე**

...ერთხელ ული ჰიონესმა ("ბაიერნის" გენერალური მენეჯერი) მითხრა, რომ შესაძლებლობების ოცი პროცენტიც კი არ გამომივლენია. რა გითხრათ, მგონი, ეს უკვე აღიარებაა! და სტიმულიც. ჩემი აზრით, ყოველთვის სრულყოფაზე უნდა იფიქრო - მხოლოდ ასე მიაღწევ დასახულ მიზანს. თუ გაიფიქრე, რომ ყველაფერი იცი, იმ წამსვე შეწყვეტ პროგრესს. ვფიქრობ, როგორც მოთამაშეს, კვლავ მჭირდება დახვეწა. დროის სვლასთან ერთად, უფრო გამოცდილი გავხდები და ეს მხოლოდ წამადგება.

**ნომრის შესახებ**

...მეცამეტე ნომერი, რომლითაც ვთამაშობ, ჩემთვის ძალიან საყვარელია! სხვათა შორის, ამ ნომრით თამაშობდა რუდი ფიოლერი, როცა "ლევერკუზენში" ირიცხებოდა. "ლევერკუზენში" სწორედ მაშინ გადავედი, როცა რუდიმ კარიერა დაასრულა და მთხოვა, მისი მაისურით მეთამაშა. მას შემდეგ მეცამეტე ნომერი ვარ კლუბშიც და ნაკრებშიც.



**დისკვალიფიკაციაზე**

...ცხადია, საწყენია, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ორი გაფრთხილების გამო ტოვებ. კორეელებთან ნახევარფინალამდე ვიცოდი, რომ ერთი ყვითელი ბარათი უკვე მქონდა. ასეთ შემთხვევაში თავს სიფრთხილისკენ მოუწოდებ, მაგრამ ეს თამაშამდე, თამაშისას კი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობ. იმ მომენტში, როცა მსაჯმა გამაფრთხილა, წესი კი დავარღვიე, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, შესაძლოა, გუნდი დაზარალებულიყო. ეს კი გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა. სხვათა შორის, იმ წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალიც ორი გაფრთხილების გამო გამიცდა.

**ფრანც ბეკენბაუერის შესახებ**

...ჩემი აზრით, ფრანც ბეკენბაუერი გერმანიის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა! ჩემთვის ის საუკეთესო მრჩეველიცაა - ვარჯიშებზე ხშირად მიზიარებს გამოცდილებას და ცდილობს, მაქსიმალურად დამეხმაროს, რათა უკეთესი გავხდე. ხანდახან მას მადარებენ, თუმცა ვთვლი, რომ ბეკენბაუერის გვერდით ჩემი მოხსენიება ნაადრევია. ისე კი, არ დაგიმალავთ, რომ ასეთ ფეხბურთელთან შედარება სასიამოვნოა!

**მომავალ მიზნებზე**

...ჩემთვის უმთავრესია ოჯახური ბედნიერება: საყვარელი გოგონას, შვილების ჯანმრთელობა, ახლობელ-მეგობრების კარგად ყოფნა, ერთი სიტყვით, კეთილისმსურველთა სიხარული. პროფესიონალური თვალსაზრისით, ნაკრებთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის მოგება მინდა, "ბაიერნის" შემადგენლობაში კი - ჩემპიონთა თასის აღმართვა!

**იცოდით?**

...თითქმის ათი წელიწადია, მიხაელ ბალაკი მეგობარ გოგონა სიმონასთან ერთად ცხოვრობს, თუმცა, დაქორწინებული არაა. მათ სამი შვილი ჰყავთ: ლუისი, ემილიო და ჯორდი.

...ბალაკისთვის ცხოვრებისეული დევიზია: "ნუ შეხედავ ცხოვრებას ძალიან სერიოზულად!"

...მიხაელის ჰობია: გოლფის და ჩოგბურთის თამაში, კინოთეატრებში სიარული, მოგზაურობა და კარგი მუსიკა.

...მის სანაცვლოდ მიუნხენის "ბაიერნმა" 12,9 მილიონი გირვანქა გადაიხადა. საინტერესოა, რომ ლევერკუზენელებმა ბალაკი თითქმის სამჯერ იაფად - 4,8 მილიონ გირვანქად შეიძინეს.

...ბალაკი აქტიურად მოღვაწეობს ქალაქ ლაიპციგის მხარდასაჭერად - ეს გერმანული ქალაქი ზამთრის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატია.

ფორმულა 1

# სენას საქმე იხურება




აირტონ სენა იმოლაზე რბოლის წინ.

ბიგა ბურასაშვილი

*ავარია, რომელმაც 1994 წლის 1 მაისს ფორმულა 1-ის სამყარო შეძრა, დღემდე დიდ ვნებათაღელვას და გულისტკივილს იწვევს. "სან მარინოს დიდ პრიზზე" დატრიალებულმა ტრაგედიამ, ფაქტობრივად, მთლიანად შეცვალა როგორც სამეფო რბოლებისადმი დამოკიდებულება, ისე მისი გათამაშების უსაფრთხოების წესები. "უილიამსის" ბრაზილიელი მრბოლის, სამგზის მსოფლიო ჩემპიონის აირტონ სენა და სილვას დაღუპვის შემდეგ 11 წელიწადი გავიდა, მაგრამ "იმოლას" ტრასის შემთხვევა დღემდე გამომძიებელთა სჯა-ბაასის საგანი იყო. ოთხშაბათს იტალიის სახელმწიფო პროკურორმა რინალდო როსინიმ გამომძიებლებს ბრაზილიელი მრბოლის დაღუპვის საქმის დახურვა სთხოვა. მიზეზი გამოძიების ვადის ამოწურვაა.*

1997 წელს "უილიამსის" საჯინიბოს ტექნიკური დირექტორი პატრიკ ჰედი და გუნდის ყოფილი მთავარი დიზაინერი ედრიან ნიუი წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელობის ბრლადებისგან გაათავისუფლეს, 1999 წელს კი სააპელაციო სასამართლომაც დაამტკიცა შესაბამისი ვერდიქტი. თუმცა, 2003 წელს იტალიის უზენაესმა სასამართლომ საქმის განმეორებითი მოსმენა მოითხოვა, რასაც აპელაციისას იურიდიულ ფორმალობებში დაშვებულ შეცდომათა ნაწილით ხსნიდა. ბრალმდებელი კი პროცესის განახლებისთანავე მისი დახურვის შუამავლობით გამოდიოდა. თუმცა, ჰედისა და ნიუის ადვოკატები აცხადებდნენ, რომ საქმის შესაბამისად განვითარებას არ ეთანხმებოდნენ, რადგან ეს ყველაფერი მათ კლიენტთა რეპუტაციას ჩრდილს მიაყენებდა. მეტიც: დაცვა მოითხოვდა, დამატებით განეხილათ საქმე, რომელიც ბრალდებულებს ერთხელ და სამუდამოდ გაამართლებდა.

ბრალმდებელთა აზრით, ჰედსა და ნიუის გარკვეულწილად ბრალი მიუძღვით სენას ავარიაში, რადგან ბრაზილიელის ბოლიდის კონსტრუქციაში მათი მეშვეობით საშიში ცვლილებები შეიტანეს. რა თქმა უნდა, "უილიამსის" საჯინიბო ყველანაირ ბრალდებას უარყოფდა და უარყოფს.

სხვათა შორის, ადრე ფორმულა 1-ის წარმომადგენლები აცხადებდნენ: იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ხელისუფლება არ შეწყვეტს სისხლის სამართლის მუქარას ტრასებზე მომხდარ ავარიებთან შესაძლო კავშირის გამო, შესაძლოა, იტალიამ დაკარგოს ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობის უფლებაო. ისე კი, როგორც ამას "როიტერსი" აღნიშნავს, 40 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, იტალიელ მოსამართლეებს ბრალდებულები დაესაჯოთ. ავტოავარიებთან დაკავშირებული საქმეები კი ოთხჯერ ყოფილა აღძრული.

საინტერესოა ისიც, რომ "იმოლას" ავტოდრომი, რომელზეც სენა დაიღუპა, ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობას 2005 წლის "დიდი პრიზების" ნუსხიდან ამოგდება სურდა. კერძოდ, შარშან ფორმულა 1-ის ბრიტანელი იმპრესარიო ბერნი ეკლსტოუნი აცხადებდა, რომ 2004 წელს უკანასკნელად თამაშდება "სან მარინოს დიდი პრიზიო".

"წლეულს "იმოლა" საბოლოოდ უმასპინძლებს რბოლას, შემდეგ კი კალენდრიდან გაქრება. იტალიაში მხოლოდ ერთი რბოლა დარჩება ("იტალიის დიდი პრიზი")", - შარშან აცხადებდა ეკლსტოუნი.

არადა, "იმოლა", რომელიც "სან მარინოს დიდ პრიზს" 1963 წლიდან მასპინძლობს და რომლის პირველი გამარჯვებულიც ბრიტანელი ჯიმი კლარკია, ჩემპიონატის ერთ-ერთი ისტორიული რბოლაა.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# 9-10 მაისი

## შვილის უპასუხოდ დატოვებული შეკითხვა



როდესაც პირველად ჩვენი ტელეეთერიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სავარაუდო ჩამოსვლის შესახებ შევიტყვე, მეგონა, მომეჩვენა. რატომღაც თავიდან ვერაფრით ვიჯერებდი. ეტყობა, მე იმ თაობას მივეკუთვნები, რომლისთვისაც ამერიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი ასე იოლად დასაჯერებელ-წარმოსადგენი, ფსიქოლოგიურად აღსაქმელი არ არის. საკმაოდ დიდი ვიყავი, როდესაც Coca-Cola პირველად გავსინჯე და მისი განსაკუთრებული გემო თითქოს დღესაც მახსოვს. სხვადასხვა ნიუანსზე აწყობილი ჩემი ბავშვობის ამერიკანიზირებული ასოციაციების გახსენება ძალიან შორს წამიყვანს. არც ვიცი, რომელი ერთი კონკრეტული დეტალი გამოვყო - ჩემი პირველი ლევისის ჯინსი, ჩემი ამხანაგის ამერიკის დროშის შეფერილობის ჯემპრი, რომელიც მას ბებიამ მოუქსოვა და ჩვენი სკოლის დირექტორი ჩაცმას უკრძალავდა, ვრანგლერის ქურთუკი, ანჟელა დევისის თავისუფლება, რომელიც რატომღაც ძალიან მაწუხებდა და ვხატავდი კიდეც, დისნეის მულტფილმები და ჩემი მეორე მეგობრის მიკიმაუსებიანი ცხვირსახოცი, რომლისაც წარმოუდგენლად მშურდა, კინოფილმი "Судьба солдата в Америке", რომელზედაც მშობლებმა წამიყვანეს, რეი ჩარლზი, ლუი ამსტრონგი, ფრენკ სინატრა, არეტა ფრანკლინი, ჯენის ჯოპლინი, ჯიმი ჰენდრიქსი, ელვის პრესლი, ჩემი პატარა ოთახის კედელზე გაკრული ამერიკის დროშა, პირველად წაკითხული ფოლკნერი, ჰემინგუეი, პირველად მოწეული "ნაღდი" ამერიკული მალბორო თუ უამრავი სხვა რამ. თექვსმეტი წლის ვიყავი, როდესაც მამაჩემთან ერთად მოსკოვში აღმოვჩნდი. მისმა მეგობრებმა ქალაქგარეთ რესტორანში დაგვპატიჟეს, სადაც ჩვენთან ერთად სტუმრებს შორის ცნობილი ამერიკელი ქანთრის მომღერალი ჯოან ბაეზიც იყო. სუფრა ცალკე კუპეში იყო გაშლილი. ბაეზი მთელი საღამო გიტარის თანხლებით სუფთა ამერიკულ მუსიკას ასრულებდა. ცოტა ხანში ამერიკელმა მომღერალმა რესტორნის სცენაზე ასვლა და დამსწრე საზოგადოებისთვის სიმღერა, მიმართვა მოინდომა. ერთ-ერთ რუს სტუმარს თარჯიმნობა მოუწია. მომღერალმა თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: "მე ამ სიმღერას ციხეებში მჯდომ ასობით საბჭოთა დისიდენტს ვუძღვნი". ამ სიტყვებით რესტორნის დარბაზში გამოწვეული შოკი, სიჩუმე და თარჯიმნის კონფუზი, რომელმაც თარგმანზე უარი განაცხადა, კარგად მახსოვს. თუმცა, სიტყვა "დისიდენტი" დიდ გადათარგმნას არც კი საჭიროებდა. მართალია, დაგპირდით, რომ ამერიკასთან დაკავშირებული მოგონებებით თავს არ შეგაწყენდით, მაგრამ, მგონი, არ გამომივიდა. ამერიკა - შორეული, უცნობი და, ამავე დროს, ძალიან ნაცნობი, სანატრელი დეტალებისგან შემდგარი თავისუფლების სიმბოლო, რომელზეც ჩემი მშობლების, ბებიებისა და ბაბუების თაობა ლაპარაკსაც კი ერიდებოდა. ერთადერთი, რაც ბებიაჩემისგან მახსოვს, ეს "ამერიკელების დახმარების", "ამერიკული ტუშონკის" მოგონება და გამოთქმა "тоже мне американский дядюшка" იყო.

ამერიკის პრეზიდენტი თბილისში ჩამოდის. ამაზე ნამდვილად, არც მე და არც, მით უმეტეს, ჩემს მშობლებს, არც უოცნებიათ.

***

ბუშის თბილისში ჩამოსვლის დღეს ჩვენს ოჯახში, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ სახლში, ტელევიზორი დილიდან ჩართული იყო. მე მოსკოვში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ აღლუმსაც ვუყურებდი. და კვლავ ბავშვობა მახსენდებოდა - საბჭოური, უსახური, ცივი, არაფრის მთქმელი, მხოლოდ შემაშინებელ-დამთრგუნველი აღლუმები. მართალია, წელს წითელ მოედანზე ნაკლებად მილიტარისტული შოუ მოაწყვეს, მაგრამ ათწლეულების განმავლობაში ასეთ ნაცნობ, საძულველ განწყობილებას, აურას მაინც ვერა და ვერ გასცდნენ. მოსკოვის ნაცრისფერი ცა, ლენინის გამოსახულებიანი დროშები, მავზოლეუმი, სატვირთო მანქანებში ჩასმული ხელოვნურად გამოწყობილი ვეტერანები, მაინც საბჭოურად დეკორირებულ-შეფუთული "გუმის" შენობა, პუტინის ცივი თვალები, ცოტა დაძაბული სტუმრები, ენით აღუწერელი არაელეგანტურობისა და სიუბრალოვის რუსეთის პირველი ლედი ასეთ ტიპურ თეთრ ფეხსაცმელებში, უბადრუკი, მაგრამ სიმბოლური თითო წითელი მიხაკი და სიჩუმე. არც ერთი გაღიმება, ადამიანური სითბო, გადალაპარაკება, ემოცია, კონტაქტი. მხოლოდ სამხედრო ტექნიკის, ჯარისკაცების მწყობრის ხმა და ომის დროინდელი სიმღერები. უზარმაზარი, ცივი ქვეყნის პომპეზური აღლუმი და მეტი არაფერი. ასეთია ჩემი აზრი.

თბილისის პატარა აეროპორტის დიდი ნერვიულობის ფონზე, როგორც იქნა, ამერიკის პრეზიდენტის თვითმფრინავები გამოჩნდა და მათ მასშტაბთან შედარებით თბილისის აეროპორტი კიდევ უფრო პატარა, მღელვარება კი კიდევ უფრო ლოგიკური, ბუნებრივი გამოჩნდა. მე პირადად ტელევიზორთან გიჟივით ყველაფერზე ვნერვიულობდი: ვაითუ ამ ზომის ტრაპი არ გვაქვს, ვაითუ არ მიწვდეს, ან იყანყალოს, წითელი ხალიჩა ხომ არ დაავიწყდათ, ჯარისკაცებს რამე არ შეეშალოთ. რატომ ვნერვიულობდი, კაცმა არ იცის. ტრაპიც მოერგო, თვითმფრინავის კარიც გაიღო და ასეთი ნაცნობი ხელის დაქნევით ამერიკის პრეზიდენტი და პირველი ლედი გამოჩნდნენ. აი, ამ მომენტში პირველად ცრემლი მომერია. ჩემი ქალიშვილები, რომლებსაც ამერიკა, თავისუფლების ცნება უფრო ბუნებრივად აქვთ გათავისებული, გაკვირვებულები მიყურებდნენ. ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა კი, რომელიც ამჟამად მოსკოვში სწავლობს, წინასწარ გამაფრთხილა, რამენაირად ეცადე, ამერიკის პრეზიდენტის ესკორტი არ გამოგრჩესო, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სანახაობა არისო. ესკორტიც ვნახე! როგორც შემდგომ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი წევრი მიყვებოდა, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, მასზე პირადად, აეროპორტის მთელი ტრასის სიგრძეზე შეკრებილი ხალხის რაოდენობამ, უბრალო მუყაოზე შეცდომიანი ინგლისურით დაწერილმა ტრანსპარანტებმა, ამერიკის თვითნაკეთმა დროშებმა და წარმოუდგენელმა სითბომ, ერთმა მთლიანმა დიდმა ღიმილმა მოახდინა. თბილისის ყველა გარეუბნიდან ხალხი აეროპორტის ტრასაზე გამოვიდა, რომ ამერიკის პრეზიდენტისთვის ერთი მარტივი, მაგრამ ყოვლისმთქმელი სიტყვა Welcome ეთქვა.

გულწრფელად ვიტყვი, რომ აბანოთუბნის შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბრონირებული მანქანის ფანჯრიდან გაოგნებული სახით მჭვრეტელი პრეზიდენტის სახის ამსახველი კადრი, ისევე, როგორც მოცეკვავე ბუში, დარწმუნებული ვარ, მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ მომენტად დარჩება. მართლაც წარმოუდგენლად ლამაზი სანახაობა იყო შესანიშნავად დეკორირებული, განათებული, მოვლილი, შეღებილი (შენიშვნა ფიქრია ჩიხრაძისთვის და მისი ნაცნობი ხელოვნებათმცოდნეებისთვის) აბანოთუბანი, მეტეხი, ნარიყალა... ტყუილად არ არის, რომ მთელი ცხოვრება ქართულ ცეკვებზე ასე ვგიჟდები და სუხიშვილების, ფაქტობრივად, არც ერთი კონცერტი არ გამიცდენია. მართლაც გასაგიჟებელია! ჰოდა, ამერიკის პრეზიდენტიც გაგიჟდა, ყველანაირი პროტოკოლი, პროგრამა, უსაფრთხოების ნორმები დაარღვია და ზესახელმწიფოს მეთაურიდან ქართული კულტურის, კოლორიტის, თბილისის სილამაზით აღტაცებულ, მონუსხულ ადამიანად გადაიქცა. ხორუმის, ჯუთას, პატარა კინტოს შემხედვარეს ცრემლები მომდიოდა. არა, არ ვტიროდი. ისე, უბრალოდ, ცრემლები თავისთავად, ჩუმად ჩამომდიოდა და რა ვქნა? გინდა თუ არა, გულახდილი იყავიო და ვარ. სხვათა შორის, ჩემს შვილებს ეს ცრემლები ნაკლებად უკვირდათ. ძალიან არ მინდა, რომ ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ამავე საკმაოდ მოუხერხებელი გულახდილობიდან გამომდინარე, პირადად ჩემი და საზოგადოების უდიდესი ნაწილის აზრი მაინც უნდა ვთქვა. საერთო ჯამში საღამოს შთამბეჭდაობის მიუხედავად, რეჟისორის თუ არ ვიცი ვისი, საკმაოდ სერიოზული ლაფსუსი, შეიძლება ბუშისთვის არა, მაგრამ ჩვენთვის აშკარა იყო. ამ საღამოს ხომ ჩვენი, ჩვენი კულტურის, შესაძლებლობების, პოტენციალის მაქსიმუმი უნდა ყოფილიყო წარდგენილი?! შესაბამისად დარწმუნებული ვარ, რომ ნანი ბრეგვაძისა და მამაკაცთა გუნდის მიერ შესრულებული "თბილისი" ბევრად უფრო გამართლებული, შთამბეჭდავი, ხარისხიანი, ქართული კულტურის ამსახველი და სულ სხვა "შიკის" მქონე იქნებოდა. ეს წერილი უშუალოდ 9 მაისის საღამოს რომ დამეწერა, ემოციურად იმდენად აღელვებულ-ამაღლებული ვიყავი, შეიძლება პროგრამა ასე არ და ვერ გამერჩია, ჩავწვდომოდი, მაგრამ დღეს, დამშვიდებულზე, აშკარად ვგრძნობ, და არა მარტო მე, რომ რეჟისორის მიერ სერიოზული გემოვნებითი ხარვეზი იყო დაშვებული. ყველამ ვიცით რუსული გამოთქმა "не в службу, а в дружбу", მაგრამ მერწმუნეთ, არის შენი ქვეყნისთვის, ხალხისთვის საპასუხისმგებლო ისეთი მომენტები, როდესაც მეორე გამოთქმა უფრო სწორია - "дружба - дружбой, а служба - службой".

ამავე საღამოს, მოგვიანებით, თავისუფლების მოედანზე მდებარე "საქართველოს ბანკში" თბილისში ჩამოსული უცხოური პრესისთვის გამართულ მიღებაზე ვიყავი მიპატიჟებული. ბევრის მნახველი უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც რეალურად მსოფლიო მედიის ელიტას წარმოადგენენ, თბილისის სილამაზისგან, კოლორიტისგან, მორთული აბანოთუბნისგან, მოცეკვავე ბუშისგან, აღფრთოვანებული პირველი ლედისგან, კმაყოფილად მოღიმარი სააკაშვილისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ვერ მალავდნენ. აღფრთოვანებას ერთმანეთს და მიღებაზე დამსწრე ქართველებს მხოლოდ უცხოელებისთვის დამახასიათებელი უშუალობით უზიარებდნენ. კმაყოფილი, აღტაცებული სტუმრები, ბედნიერი მასპინძლები, კვლავ ქართული ხალხური მუსიკა, ქართული ღვინო, ბევრი გულწრფელი ღიმილი, ურთიერთგაცნობა და საერთო საზეიმო განწყობა. ასეთი იყო 9 მაისის ღამეს "საქართველოს ბანკის" ულამაზეს დარბაზში გამართული "შიკით" სავსე მიღება. ცოტა მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტიც მობრძანდა და მისთვის ჩვეული უშუალო შარმით, დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ მოხიბლა. პირადად მე კი საშუალება მომეცა, მიხეილ სააკაშვილისთვის იმ დღეს მიღებული დადებითი ემოციების, სიამაყის გრძნობის, სიხარულის ცრემლების გამო გულწრფელი მადლობა გადამეხადა.





***

10 მაისს მაღვიძარა დილის 8 საათზე დავაყენე. თავისუფლების მოედანზე დაგვიანების მეშინოდა. მეგობარმა გამომიარა, მანქანა ჩემს სახლთან დავტოვეთ და მზიანი დილის რუსთაველზე ფეხით გავისეირნეთ. რუსთაველის გამზირი ხალხის ადიდებულ მდინარეს ჰგავდა. საზეიმოდ, გულისამაჩუყებლად, საგულდაგულოდ გამოპრანჭული ამდენი ადამიანი ერთად, მგონი, არასდროს მინახავს. ქუჩები ქალებით, მცირეწლოვანი ბავშვებით, მოხუცებით, სოლიდური ასაკის კაცებით, თინეიჯერებით იყო სავსე და თითოეულ მათგანს ამერიკის დროშის გამოსახულებიანი ან მაისური ეცვა, ან თავსაფარი ეკეთა, ან, უბრალოდ, სხვადასხვა ზომის დროშები მოჰქონდა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ გასაკვირად, ფაქტობრივად, ვერც ერთი ნაცნობი სახე ვერ დავინახე. აქ თბილისური "ელიტა" არ იყო. აქ ის ხალხი იყო, რომელიც რეალურად თბილისს, საქართველოს წარმოადგენს და ვისი სტუმარიც ამერიკის პრეზიდენტი იყო. ასე სეირნობა სეირნობით უნივერმაღამდე მივედით, კორდონს მივადექით და ხალხის მასაში კინაღამ გავიჭყლიტეთ, თანაც უშედეგოდ. პუშკინის ქუჩიდან მოედანზე შეღწევის მცდელობაც ასეთივე უშედეგო აღმოჩნდა და ქუჩიდან ქუჩაზე სირბილის, ნერვიულობის, ჭყლეტის შემდეგ გადავწყვიტეთ, ისევ სახლში, ტელევიზორთან დავბრუნებულიყავით (ჩამეხედა წესიერად მოსაწვევში!), თუმცა, არ მინანია, ვინაიდან ტელევიზორით ჯორჯ ბუშის პარლამენტში ვიზიტი, ლორა ბუშის ამერიკულ სკოლაში და წიგნის სახლში მისვლა უფრო სრულყოფილად ვნახე. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნო ქართულ-ამერიკული დროშებით, წითელი ხალიჩებითა და ყვავილებით მორთული საქართველოს პარლამენტის შენობის ეფექტურობა, პომპეზურობა. შავებში ჩაცმული ნინო ჟვანიას დანახვამ კი კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ამ საზეიმო დღეს საქართველოს, მის მთავრობას, ხალხს ძალიან მტკივნეულად აკლდა ზურაბ ჟვანია.

როდესაც სახლში მისულმა ტელევიზორში დავინახე, რომ დაცვამ ჯებირები მოხსნა, ათლეტური აღნაგობის ზანგი ინსტრუქტაჟს იძლეოდა და შეუმოწმებელი ხალხის მასები მოედანზე შეუშვეს, დაცვის სამსახური ამერიკის პრეზიდენტს გაუკონტროლებელ ხალხთან არ მიუშვებს-თქო, შემეშინდა და ისევ უნებლიე ნერვიულობამ ამიტაცა, მაგრამ, საბედნიეროდ, ისევ ამაოდ.

ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს პრეზიდენტები პირველი ლედების თანხლებით ტრიბუნაზე გამოჩნდნენ და მე მივხვდი, რომ ჩემი და მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანის ოცნება რეალობად იქცა. სააკაშვილის შეიძლება ოდნავ ემოციურმა, მაგრამ ყოველი სიტყვის ღრმა მნიშვნელობის, დატვირთვის მქონე გამოსვლამ, მასების მიერ სახელის უწყვეტმა სკანდირებამ, მისდამი დაუფარავი სიყვარულის გამოხატვამ, მგონია, რომ თვით ჯორჯ ბუშიც გააკვირვა, აღაფრთოვანა, ჩემზე რომ აღარაფერი ვთქვა! უცნაური, მოულოდნელი და აუხსნელია, რომ ერთეული ისეთი ქართველი მოიძებნა, რომელსაც იმავე საღამოს, ყოველგვარი ემოციების გარეშე, პრეზიდენტის ამ გამოსვლის სკეპტიკურ-ცინიკურ-მენტორული ტონით გულგრილი გარჩევა შეეძლო. დაუჯერებელია, რომ პრეზიდენტისადმი დამოკიდებულების მიუხედავად, მოედნის მუხტს, განწყობას ნორმალურ ადამიანზე არ ემოქმედა, გული არ აჩუყებოდა. შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ მგონია, რომ ბუშის გამოსვლაზე ხალხის რეაქცია სააკაშვილის სიტყვაზე რეაქციისგან თითქოს განსხვავდებოდა. პირველისადმი მოწიწება, მადლიერება, ოცნებების ასრულების, მხარდაჭერის იმედი იგრძნობოდა. მეორე შემთხვევაში კი ადამიანური სიყვარული, რწმენა, თანადგომა და ერთობლივი გამარჯვებების იმედი. მე კვლავ ყველაფერზე ვნერვიულობდი - თავდაპირველად, ხალხი მოედანზე რომ არ მისულიყო; მერე, როდესაც დავრწმუნდი, რომ ამაზე ტყუილად ვღელავდი, იმაზე დავიწყე ღელვა, რომ ზედმეტად ბევრი ხალხისგან ჭყლეტა არ დაწყებულიყო. ვღელავდი შეუმოწმებელ, გაუკონტროლებელ მასაში რამე არეულობა არ მომხდარიყო. ვღელავდი სააკაშვილის ხმის გამძლეობაზე, მზის სიმხურვალეზე, მისგან შექმნილ დისკომფორტზე, ცუდად გამხდარ ქალებზე, ბავშვებზე, წუწაობაზე, კონცერტის მსვლელობაზე. ვღელავდი ბუშის გამოსვლისას მიკროფონის წამიერ ხარვეზზე, მაგრამ როდესაც ამერიკის ჰიმნის შესრულების შემდეგ საქართველოს ჰიმნი ჯერ არა და არ დაიწყო და მერე კი ფონოგრამამ "ჩაიხვია", იქ უკვე ჩემი მდგომარეობა, ჯობია, არც კი აღგიწეროთ. მაგრამ, როდესაც გუნდმა საქართველოს ჰიმნი მუსიკის გარეშე წამოიწყო და სააკაშვილის თხოვნით მოედანიც აყჰვა, მე უკვე ხმით, მოთქმით ვტიროდი. სწორედ ამიტომ ვერაფრით ვერავის ვაპატიებ ამ დღისადმი სკეპტიციზმს. ამ სკეპტიციზმსა და ცინიზმს მე პირადად ჩემი, ჩემი ცრემლების, ნერვიულობის, ემოციების მისამართით მომართულ შეურაცხყოფად ვღებულობ.

ბუშის საქართველოში ვიზიტის ეს ორი დღე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ემოციური მომენტი იყო. ამერიკის პრეზიდენტი თითოეულ ჩვენგანთან ჩამოვიდა და ათიათასობით ადამიანის მსგავსად, მეც ბედნიერი მასპინძელი ვიყავი და ამ ჩვენს საერთო ბედნიერებას არანაირი გარჩევა არ სჭირდება.

***

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ საქართველო რამდენიმე დღეა, რაც დატოვეს. მე და ჩემი შვილები ბუშის თბილისში ვიზიტის ამსახველ კადრებს ტელევიზორში მეასედ ვუყურებდით. ამ დროს დაიწყო დოკუმენტური ფილმი "ვარდების რევოლუცია შტატივის გარეშე", რომელშიც 22 ნოემბრის პარლამენტის შტურმი, ჩახერგილი ქუჩები, ნიღბიანი ჯარი, ვარდიანი სააკაშვილი და კიდევ უამრავი ისეთი დეტალი იყო, რომელიც თითქოსდა მივიწყებული გვაქვს. უცბად ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი მეკითხება: "რატომ არის, რომ ასეთ ესქტრემალურ მომენტებში უფრო მძაფრად გრძნობ, როგორ გიყვარს შენი ქვეყანა, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი თითქოს გავიწყდება?!"

მართალი გითხრათ, მე ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდა.

სახელი ____ მისამართი ____

გვარი ____

ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____

სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

8 თქვენი ინტერესები

2 შვილები: (თუ გყავთ)

9 თქვენი ჰობი

3 პროფესია :

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:
[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ თქვენი სახეა გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## TV პროგრამა



ბეთჰოვენის ერთ-ერთი ოპერა

სამღვდლო სასწავლებლის კურსანტი ძვ. რუსეთში

ძვ. წონის ერთეული

ფოტოაპარატის ნაწილი

ინდიელთა ტომი

VII ნოტი

დონ-კიხოტის მსახური სანჩო ***

*** პარი

დღის მონაკვეთი

მსახიობი მიკი ***

[illegible]

## TV პროგრამა

14 მაისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "დერსუ უზალა" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "პროფესიონალი" (გ) (ჟერარ დეპარდიე) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ლუდვიგი".(გ) (რეჟ. ლ. ვისკონტი) **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "ჩოჩარა" (18)

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ტენტენის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მაუგლი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "ვირის ჩრდილი" **11.30** "ტაქსი" - ა. შალამბერიძე **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ველური ინდონეზია" (მე-2ნ.) **13.20** მხ. ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** "ჰოლმარკი" - "უფლისწული და მათხოვარი" **17.00** დოკ. ფილმი "შორიდან დანახული კანის ფესტივალი" **18.00** "მთავარი" **18.10** ცეკვავენ ი. დოლაბერიძე და ფრ. სულაბერიძე **18.30** "მრწამსი" - თამარ მეფე **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- ახალი ინგლისი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი "დანაშაული" **21.30** "რაციო" - პ. ჭიჭინაძე **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები **00.45** მხ. ფილმი "თითქოს არაფერი მომხდარა" (12) **02.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნისფერი ციხესიმაგრე" **10.00** ანიმაც. ფილმი "მხიარული მელოდიები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.20** სერიალი "სენიორ ვიანელო" **17.50** მარიონეტები "ყოჩაღები" **18.20** საფესტივალო ჩვენება: "ჰელილეო" **20.30** დოკ. ფილმი **21.30** მხ. ფილმი "მოწმე საომარი მოქმედების ზონაშია" (გ) (კ. უოკენი) **23.30** ფარული კამერა **00.00** მხ. ფილმი "არლეტი" (გ) (კ. ლამბერტი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ზღვების რაჯა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** კინოსეანსი "წითური"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **09.10** "ნუცას სკოლა" **10.00** ანიმ. ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.25** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 01.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "წითელი ძახველი" (ვ. შუკშინი) **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** "არ იდარდო" **21.15** ტვ-ლოტო **22.30** მხ. ფილმი "ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი" (12) **01.35** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი **11.40** თეატრი **14.30** "ფეხბურთი და ჩვენ" **15.40** კომედია "აი, პოლიც" **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30** "ახალი ამბები" **18.10** დრამა "როგორ მოვიქცე" **20.30** ახალი მბები **21.05** "ფერისცვალება" **21.30** მხ. ფილმი "მეტრო" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ტაბუ" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Многос. фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Олег Табаков в прикл. фильме **"ТРАНССИБИРСКИЙ ЭКСПРЕСС" 14.00** Искатели. "Китеж. След пропавшего города". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Джон Гудман в прикл. комедии **"ВОРИШКИ". 17.00** "Пять вечеров". **18.20** Док. детектив. "Призраки ночных дорог". Дело 2002 года. **18.50** "Основной инстинкт". Ток-шоу **19.50** "Поле чудес" **21.00** Время. **21.20** Большая премьера. **22.50** Что? Где? Когда? **00.10** Ко Сибасаки в мист. триллере **"ОДИН ПРОПУЩЕННЫЙ ЗВОНОК".** В страну восходящего солнца приходит "сотовое проклятие". На мобильнике человека высвечивается сообщение странного и загадочного содержания. Оно отправлено с его же аппарата и датировано одним из ближайших трех дней. В указанное время владелец телефона неизбежно умирает. А оставшийся без присмотра сотовый без устали продолжает отправлять смертоносные предупреждения о чьей-то скорой гибели. Кто же в состоянии остановить этот немыслимый кошмар? **02.10** Николас Кейдж в фильме **"ОХРАННИК ТЕСС".** Сотруднику службы безопасности Дагу Чезвику досталась неблагодарное занятие - охранять пожилую взбалмошную особу мисс Тесс - вдову бывшего президента США. Коллеги Дага ежедневно без сна и отдыха рискуют жизнью, занимаясь настоящей мужской работой, а Даг вынужден терпеть постоянные насмешки и издевательства престарелой капризули. Но неожиданно его подопечную похищают. Настает время и Дагу проявить себя.. **03.50** Анук Эме в комедии **"ФЕСТИВАЛЬ В КАННАХ".** 1999 г. Известная американская актриса Алиса Палмер мечтает поставить фильм по своему сценарию. Она приезжает на Каннский кинофестиваль в надежде найти инвестров. Говорливый делец Кац обещает 3 миллиона долларов, если Алиса возьмет на главную роль стареющую французскую звезду Милли Маркан. Но крупный продюсер Рик Йоркин тоже хочет заполучить Милли на маленькую роль в новом проекте с Томом Хенксом. Он предлагает более выгодные финансовые условия. Милли в растерянности. Не зная, как поступить, она решает посоветоваться с бывшим мужем и продюсером Виктором Ковнером.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00** Сегодня. **10.20** Профессия - репортер. **10.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 11.55** Детективный сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..". 13.20** "Особо опасен!" "Похитители тел". **13.55 Чемпионат России по футболу. "Динамо" - "Амкар".** Прямая трансляция. **16.15** Своя игра. **17.10** Игорь Костолевский в фильме **"ЗАВТРАК С ВИДОМ НА ЭЛЬБРУС" 18.45** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ЧЕРНЫЙ КОРОЛЬ". 22.40** Деми Мур в фильме **"НЕПРИСТОЙНОЕ ПРЕДЛОЖЕНИЕ". 00.55** Футбол в разрезе. **01.35** Мэрил Стрип в фильме **"ВЫБОР СОФИ".** Стинго, молодой начинающий писатель, приезжает в Нью-Йорк, чтобы издать свою книгу. Здесь он встречает странную пару - польку Софи, бывшую узницу концлагеря, и полусумасшедшего еврея-биолога Натана. Софи после ужасов войны пытается начать новую жизнь в Америке. Но воспоминания не отпускают ее. Она потеряла все - детей, семью, Родину. Сможет ли она возродиться в новой любви или опять придется выбирать между жизнью и смертью? С Натаном ее связывают нежные, но сложные, порой мучительные чувства. Стинго становится свидетелем драмы двух людей, которые вместе кончают жизнь самоубийством, делая подлинный выбор своей судьбы, разделяя трагедию своего народа, участь погибших близких. **04.15** КэйтКеррадин в фильме **"ТАНЦУЙ СО МНОЙ".**

# პოლონეთში დიდი თეატრის გასტროლები ჩავარდა

### პროტესტის ნიშნად არც ერთ პოლონელს ბილეთი არ უყიდია





"დიდ თეატრს" მოსკოვში პრობლემები შეექმნა.

იმის გამო, რომ ბილეთები არ გაიყიდა, დიდი თეატრის მსახიობები პოლონეთში საგასტროლო პროგრამას ამცირებენ. **"ოთხშაბათს დიდი თეატრის კონცერტი ვარშავაში არ გაიმართება"**, - განუცხადა პოლონეთის პრესას დიდი თეატრის სოლისტთა პოლონელმა იმპრესარიომ ცეზარი შიიკომ.

იმპრესარიო მიიჩნევს, რომ რუსი მსახიობების გამოსვლის ბილეთების გაყიდვა ცუდად იყო ორგანიზებული. სამშაბათს ოლშტინში დაგეგმილი გალა-კონცერტიც გადაიდო. დიდი თეატრის მსახიობები ვერც შაბათს, ლუბლიანაში "გაახარებენ" მაყურებლებს.

პოლონეთის პრესა დიდი თეატრის სპექტაკლებზე ბილეთების ცუდ გაყიდვას ბოლო დროს რუსეთ-პოლონეთის დაძაბულ ურთიერთობას აბრალებს. თუმცა, ცნობილი პოლონელი მენეჯერი პიტერ სკულსკი, რომელიც მსგავსი დიდი პროექტების ორგანიზებითაა დაკავებული, ამ აზრს არ ეთანხმება. **"პოლიტიკა ამ ისტორიაში ყურით მოთრეული მიზეზია"**, - განაცხადა მან.

სკულსკი თვლის, რომ ხელოვნების მოყვარული არც ერთი ადამიანი "დიდ პოლიტიკაში გაუგებრობის" გამო უკან არ დააბრუნებს ბილეთს. მისი აზრით, დიდი თეატრის მსახიობების გასტროლების შემცირება, პირველ რიგში, ცუდ რეკლამას და "ბილეთების გაყიდვის უაზრო ორგანიზებას" უკავშირდება.

**"მე თვითონ გახლდით ორშაბათს ვარშავაში, დიდი თეატრის კონცერტზე. დარბაზის მხოლოდ მეხუთედი შეივსო. მსახიობებმა დიდი ოვაცია და ტაში დაიმსახურეს, თუმცა, რუსები გასტროლების ორგანიზატორთა მსხვერპლად იქცნენ"**, - აღნიშნა პოლონელმა მენეჯერმა.

სკულსკის ორგანიზებით ჩატარდა პოლონეთში ალექსანდროვას სახელობის რუსული არმიის სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლის კონცერტი, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი და როგორც დიდი თეატრის პრესმდივანმა ეკატერინა ნოვიკოვამ განაცხადა, დიდ თეატრს არანაირი კავშირი არა აქვს პოლონეთში რუსი მსახიობების გასტროლებთან.

**"დიდ თეატრს არ დაუგეგმავს, არც ორგანიზება გაუკეთებია და არც წასულა გასტროლებზე პოლონეთში"**, - ხაზი გაუსვა ნოვიკოვამ.

როგორც პრესმდივანმა აღნიშნა, მისი ინფორმაციით, პოლონეთში ნამდვილად ტარდება ოპერისა და ბალეტის რუსი მსახიობების კონცერტები. **"სავსებით შესაძლებელია, რომ ამ კონცერტებში დიდი თეატრის მსახიობებიც მონაწილეობენ, მაგრამ მხოლოდ საკუთარ ხარჯზე - როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში მსახიობები შვებულებას იღებენ და დიდ თეატრს არანაირი კავშირი არა აქვს ამ გასტროლებთან"**, - განაცხადა ნოვიკოვამ.

ნოვიკოვამ ისიც გაიხსენა, რომ ბოლოს დიდი თეატრი პოლონეთში 2003 წელს იყო გასტროლებზე. რაც შეეხება პოლონეთში დღეს არსებულ სიტუაციას, პრესმდივნის თქმით, მისთვის ძნელია ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება, რადგან თეატრს არანაირი კავშირი არა აქვს ხსენებულ კონცერტთან.

# მოდერნი პიკასოსთვის და შიმპანზე კონგოსთვის




ეს ნახატები შიმპანზე კონგოს შექმნილია.

შიმპანზე კონგოს მიერ ცოცხალი ფერებით შესრულებული ნახატების კოლექცია, რომლის ნამუშევრებს, როგორც ცნობილია, დიდი რუდუნებით ინახავდა პიკასო და მირო, 2005 წლის 20 ივნისიდან ლონდონის პრესტიჟულ აუქციონზე დაიდებს ბინას. კონგოს ნამუშევრებთან ერთად ენდი უორხოლის და რენუარის შედევრებსაც გამოფენენ.

1957 წელს ცნობილმა ეთნოლოგმა და მხატვარმა დესმონდ მორისმა ლონდონის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში სხვა შიმპანზეების ნამუშევრებთან ერთად კონგოს შედევრებიც გამოფინა. კრიტიკოსების რეაქცია სკეპტიკური იყო, თუმცა, გამოფენას მაინც დიდი წარმატება ხვდა წილად. კონგო მორისის ტელეპროგრამა "Zootime"-ის პოპულარული სტუმარიც იყო.

ტემპერით შესრულებული სამი ნახატით შემდგარი კოლექცია Bonhams-ის კატალოგში აბსტრაქტული ნამუშევრების სიაშია შესული. ექსპერტთა თქმით, ეს ლოტები ივნისში 1130-დან 1500 დოლარამდე შემოსავალს მოიტანს.

კონგო 1954 წელს დაიბადა. 2-4 წლის ასაკში უკვე 400-ზე მეტი ნამუშევარი ჰქონდა შექმნილი. მან ადვილად აითვისა ფუნჯებით და ფანქრებით მუშაობა. სხვა მაიმუნების მსგავსად, არც ამ საგნების ჭამას ცდილობდა.

შიმპანზე მხოლოდ ქაღალდზე ხატავდა, არც მის საზღვრებს გარეთ გადადიოდა საღებავით და თითქოს იცოდა კიდეც, როდის მთავრდებოდა ჩაფიქრებული ნახატი - ამის შემდეგ არც კი ეკარებოდა ფანქრებს და ფუნჯებს.

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

**აცხადებს კონკურსს**

**კინოხელოვნების პოპულარიზაციისთვის**

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ნაწილობრივ (მაქსიმუმ 50%-ით) დაფინანსდება ეროვნული კინოცენტრის მიერ.

ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 20 ათასი ლარი

პროექტი უნდა განხორციელდეს 2005 წლის დასრულებამდე.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge




საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ MS Excel.
■ Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ჭ.ჭუბინაშვილის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




